ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№95 (156) 30 ნოემბერი 2010 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

გისამძიმრებთ!

2003 წლის 23 ნოემბერს მოხდა “ვარდების რევოლუცია”, რაც მალე “დარდების რევოლუციად” ეძცა სრულიად საქართველოს. თავიანთი ხელისუფლებაში მოთესვლის იუბილე, საქართველოს გასანადგურებლად, „ნაციონალებმა“ იმით აღნიშნეს, რომ წყალი გააძვირეს და კიდევ უფრო დაუმძიმეს ყოფა სვეგამწარებულ მოსახლეობას. მათ ჯერ ადამიანები დააშინეს – თუ წყლისა და ნაგვის გატანის ფულს არ გადაიხდით, შუქს გამოგირთავთო, ამის შემდეგ კი წყლის ტარიფი თბილისში 0-75 თეთრით გააძვირეს.

ნეტა ყაჩაღობა, თავხედობა და ცინიზმი სხვა რამეა? უკვე ნათელია, რომ ევროპამ და ამერიკის შეერთებული შტატების მასონურმა ლობამ მწვანე შუქი აუნთო მიხეილ სააკაშვილს საქართველოს ძირ-ფესვიანად ამოსაგდებად და გასანადგურებლად! სწორედ ამას გისამძიმრებთ და გისურვებთ გონზე მოსვლას, ვიდრე მთლად არ აღვგვილვართ მიწისაგან პირისა!

ილორის ტაძარი ხელშეუხებელია!

ამ მცნების არმცოდნეებს არაერთგზის დატყდომიათ თავზე ღვთის რისხვა, რადგან, ღვთიური საზომით, “არცოდნა” ყოველთვის არ შეიძლება იყოს “არცოდვა”!

ილორის წმინდა ტაძრისადმი ამქვეყნიური ტაბუ ყველაზე კარგად აფხაზებმა იციან და, სწორედ მათი დიდი იმედი გვაქვს, რომ ილორის წმინდა ეკლესიის უძველეს ფრესკებს არავინ შეეხება!

ამას წინათ, ტელეარხმა „რუსთავი-2“, გაავრცელა ინფორმაცია ილორის სალოცავის ხელყოფის თაობაზე, რაც მათთვის ჩვეულ ბინძურ პროვოკაციად მივიჩნიეთ. ჩვენი მოსომხო ხელისუფლების სადარდელი მხოლოდ ისაა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის არ მომძლავრდეს ის სახალხო დიპლომატია, რაც ხელს შეუწყობს მათი დაახლოების პროცესებს.

მართლაც, ვის რა ხელი უნდა ჰქონდეს ქრისტიანობის გარიჟრაჟზე – მე-11 საუკუნეში აგებულ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლზე – ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაზე. მაშინ ხომ ბევრმა ერმა საერთოდ არ იცოდა, თუ რას წარმოადგენდა ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა. ილორის სალოცავი ხომ ყოველთვის საქართველოს უმნიშვნელოვანეს სიწმინდეს წარმოადგენდა. ქართველებსა და აფხაზებს სწორედ იმისი ეშინოდათ, რომ ჩადენილი ავკაცობისათვის მათი საგვარეულო ილორის ეკლესიაში არ გადაეცათ ხატზე, რადგან, ამ შემთხვევაში, ღვთის წყრომა გარანტირებული იყო.



ქართული სალოცავები უკვე მეორე საუკუნეა შერჩნენ მუსულმანური თურქეთის ტერიტორიას, მაგრამ მათი შებღალვა არასოდეს არავის უცდია. შეიძლება, ისინი მოუვლელობით ინგრევა, მაგრამ არა მსახვრალთა ხელით – მაშ, რა ჭირი უნდა შეეყაროს რომელიმე მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურს, რომ ვანდალურად გაანადგუროს ქართული ხატწერის განუმეორებელი ნიმუშები?

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ქართველები შეჩვეული ვართ ამგვარ “სიურპრიზებს” – მეცხრამეტე საუკუნეში, საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებში ხელმრუდებმა ერთიანად გადათხუპნეს თეთრად ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ფრესკები, მაგრამ დრომ თავისთავად წარხოცა რელიგიურ ვანდალთა მიერ კედლებზე მისხმული ფერ-უმარილი და ფრესკებმა კვლავ დაიბრუნეს ძველებური ბრწყინვალება.

ასე იქნება ყოველთვის!

ჩვენ მოძმე აფხაზებს მოვუწოდებთ, რომ დაიცვან ის სიწმინდეები, რომლებიც ერთნაირად სანუკვარი იყო ჩვენი წინაპრებისათვის!

ღმერთმა ყველას აცილოს ილორის წმინდა გიორგის რისხვა!

თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს გაზეთს “ილორი” ჰქვია!

ყველას უნდა ახსოვდეს: საეკლესიო სიწმინდისათვის ბინძური (თუნდაც სუფთა) ხელის შეხების უფლება არავის აქვს!

პატრიარქმა ახალგაზრდებს წიგნიერებისკენ მოუწოდა

უწმინდესის თქმით, დღეს ადამიანები ყველაფრის ცოდნას ზედაპირულად ეკიდებიან და ვერ ხვდებიან, რომ ახალ აღმოჩენებს, კომპიუტერს, ტელევიზიასა და რადიოს მათთვის ზიანიც მოაქვს.

„ყველა ადამიანი ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდება. სახით, თვალებით, ყურით, არ არსებობს ერთნაირი ხმის მქონე ადამიანი მსოფლიოში, მაგრამ არის კიდევ ერთი განსხვავება – ზოგი ნაკლებად აზროვნებს, მაგრამ მეტყველებს, ზოგი კი პირიქით, ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ ნაკლებად აზროვნებს. უნდა მოვერიდოთ ზედაპირულ ცოდნას და ანალიტიკური აზროვნება უნდა შეგვეძლოს. ისევე , როგორც კუნთებს სჭირდება ვარჯიში, ტვინსაც უნდა გავარჯიშება. ყველა ადამიანი დღეში ნახევარი საათით უნდა განმარტოვდეს და იფიქროს საკუთარ თავზე, ქვეყანაზე, მის როლზე ამ ცხოვრებაში. შემთხვევით არაფერი ხდება, წინასწარმეტყველს უთხრა ერთხელ უფალმა, შენ ჩასახული არ იყავი დედის მუცელში, მე რომ გიცნობდიო, უფლისთვის აწმყო, წარსული და მომავალი ნათელია. უფლის გონებაშია ყოველი ჩვენგანი... – ბრძანა პატრიარქმა საკვირაო ქადაგებაში. პატრიარქმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ სკოლის დირექტორები, რომლებიც თანამდებობიდან გაათავისუფლეს, დაუბრუნდებიან კუთვნილ ადგილებს.

დევნილები ლტოლვილთა სამინისტროსგან დახმარებას ითხოვენ

როგორც საქინფორმს კახეთიდან აცნობეს, თელავში, თბილისის გზატკეცილის N 26-ში მცხოვრები 26 დევნილი ოჯახი, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უყურადღებობაში ადანაშაულებს და უწყებას შეშით უზრუნველყოფას სთხოვს. ერთ-ერთი დევნილი თამარ ბაციკაძე რამდენიმე პრობლემაზე საუბრობს.

მათ შორისაა ვაუჩერის სახით თითოეულ ოჯახზე გამოყოფილი 50 ლარი, რომელიც ბუნებრივი აირის გადასახადისთვის ერიცხებათ. დევნილი ქალბატონი ამბობს, რომ თანხა არასაკმარისია, რადგან თვეში ერთ ოჯახს გასათბობად საშუალოდ 120 ლარი მაინც სჭირდება.

„დახმარების გარდა სხვა შემოსავალი არ გაგვაჩნია. გვცივა, რადგან გაზს პერიოდულად ვრთავთ, თანხის დაზოგვის მიზნით. ამ დროს ბავშვები ცივდებიან და ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემები გვექმნება. ომის დროს ტყვიას გადავურჩით, აქ კი ხელისუფლება სიცივეში გვკლავს“, - აღნიშნავს თამარ ბაციკაძე.

გარდა ამ პრობლემისა, იძულებით გადაადგილებულების თქმით, სამსართულიან საერთო საცხოვრებელში კარ-ფანჯრები დამპალია, წვიმისას წყალი ოთახებში შედის, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ.

ოჩი წლის წინ და ოჩი წლის შემდეგ...
7
თენგიზ კუბლაშვილი



ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია
9

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

აფხაზეთის ღირსეული შვილები

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში. რუბრიკით *"აფხაზეთის ღირსეული შვილები"*, ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

ბჟანია მელიტონ მერკურის ძე

პედაგოგიური მოღვაწეობა მისი სიცოცხლის საქმე იყო.

თვალსაჩინო აფხაზ მოღვაწეს, სულგანათლებულ მელიტონ მერკურის ძე ბჟანიას ღირსეული ადგილი უკავია აფხაზეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებლების პირველ თაობის წარმომადგენელთა შორის. მიუხედავად მის ოჯახში არსებული დიდი ეკონომიკური პრობლემებისა, მიიღო რა სპეციალური სასკოლო მომზადება, მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს. მელიტონ ბჟანიამ 50 წელიწადი იმუშავა აფხაზეთის სოფლის სკოლებში, რაც იმ მძიმე პერიოდში ჩადენილ დიდ გმირობად შეიძლება შეფასდეს.

მელიტონ მერკურის ძე ბჟანია დაიბადა 1864 წელს კოდორის (ახლანდელი ოჩამჩირის) მაზრის სოფელ ილორში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ნიჭიერმა ყმაწვილმა 1883 წელს დაამთავრა სოხუმის მთიელთა სასწავლებელი და იმავე წელს წარმატებით ჩაირიცხა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიაში.

1886-1890 წლებში მელიტონი მასწავლებლად გახლდათ მივლინებული ზუგდიდის მაზრის სოფელ ლესიჭინეს დაწყებით სკოლაში, რა დროსაც გაეცნო და დაუმეგობრდა ცნობილ ქართველ რევოლუციონერ მოღვაწეს მიხა ცხაკაიას. სწორედ ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბა ლესიჭინეში **"ანტისამთავრობო უჯრედი"**. როგორც მოგვიანებით თავად მელიტონ ბჟანია აღნიშნავდა თავის ბიოგრაფიაში, ახალგაზრდა მასწავლებელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ პოლიტიკური უჯრედის საქმიანობაში და სხვა სარისკო რევოლუციურ საქმეებშიც. სწორედ ამ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისა და თანაბრძოლის გამოძახილი გახლდათ ის, რომ 1928 წელს, როცა მიხა ცხაკაია უკვე საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ, მან ვრცელი დეპეშა გაუგზავნა კოდორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს დ.ლ. გაბუნიას, სადაც ხაზგასმით აღნიშნავდა: **"1886-1888 წლებში მე ვმეგობრობდი შესანიშნავ პიროვნებასთან და უღალატო ადამიანთან მელიტონ ბჟანიასთან, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა ჩემი ინიციატივით სოფელ ლესიჭინეში შექმნილ არალეგალურ რევოლუციურ-პოლიტიკურ უჯრედში".**

მელიტონ ბჟანია ყოველთვის იქ იყო, სადაც სამშობლოს უჭირდა. მისთვის არ არსებობდა შიმშილი, უძილობა, სიცივე, დაღლა... მისთვის არსებობდა მხოლოდ სკოლა და მოსწავლე, განათლება და პროფესიონალიზმი.

1890 წელს მელიტონ ბჟანია აფხაზეთში გადაიყვანეს სამუშაოდ, სადაც იგი შვიდი წლის განმავლობაში ასწავლიდა დრანდის სასულიერო-სამრევლო სკოლაში. შემდეგ, 1897 წლიდან 1902 წლამდე გადაიყვანეს დრანდის დაწყებითი სკოლის უფროს მასწავლებელად, ორი წელიწადი იმოღვაწევა გუდაუთაში და 1904 წელს კვლავ დრანდის სასწავლებელს დაუბრუნდა.

1905 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, მელიტონ ბჟანია, სოფელ ილორის დაწყებით სკოლაში აქტიურად და მაღალნაყოფიერად მოღვაწეობდა. იგი იყო სკოლის უფროსი მასწავლებელი, ამავე დროს, ასწავლიდა გეომეტრიას, ხაზვას, სიმღერას, მიწის აზომვებს, სახარატო და საზეინკლო ხელსაქმეს, წიგნებისა და სხვადასხვა დოკუმენტაციის კინძვით სამუშაოებს, მებოსტნეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობას...

მელიტონ ბჟანიას იმ დროს უწევდა პედაგოგიური მადგაწეობა, როცა როგორც აფხაზეთი, ისე სრულიად საქართველო განიცდიდა კვალიფიციური სპეციალისტების დიდ დეფიციტს, ეს კი ხელს უშლიდა ჩვენი დიდი ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოვლენის პროცესებს.

1928 წელს აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატმა თავისებურად შეაფასა მელიტონ ბჟანიას მიერ გაწეული ღვაწლი. სპეციალურ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ **"რომ მელიტონი იშვიათი გამონაკლისია პედაგოგიურ წრეებში, რადგან იგი გამოირჩევა მრავალმხრივი განათლებით, რაც მისი წარმატებული მოღვაწეობის ქვაკუთხედი გახლავთ. მელიტონ ბჟანიამ 43 წელიწადი მიუძღვნა სკოლას და სამშობლოს აღუზარდა ასობით სპეციალისტ და პატრიოტი. ბჟანია ყოველთვის გვერდში ედგა გლეხებს, მხარს უმაგრებდა მათ, ეხმარებოოდა სიტყვითა და საქმით. აქტიურ მონაწილეობას იღებდა არა მხოლოდ იმ სოფლის ცხოვრებაში, რომლის სკოლაშიც იგი მოღვაწეობდა, არამედ დახმარებას უწევდა მთელ კოდორის მაზრას... სწორედ მისმა უანგარობამ და პატრიოტულმა თავდადებამ განაპირობა ის ფაქტორი, რომ მელიტონ ბჟანია დღეს უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მთელს აფხაზეთში..."**

მელიტონ ბჟანია, სხვა მისი აფხაზი და ქართველი კოლეგის მსგავსად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოხუმის სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტთა საზოგადოების საქმიანობაში. სწორედ აქ მიიღო მან დამატებითი ცოდნა სოფლის მეურნეობის განხრით, რასაც მერე თანასოფლელ გლეხებს და სკოლის მოსწავლეებს უზიარებდა. სწორედ მისი თაოსნობით დაინერგა სკოლებში პრაქტიკული მეცადინეობები, რაც კოდორის მაზრის მოსახლეობას დიდად უადვილებდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის უნარიანად გაძღოლის საქმეს.

მელიტონ მერკურის ძე ბჟანია გარდაიცვალა 1933 წელს. მისი ცხედარი დიდი პატივით დაკრძალეს მშობლიურ ოჩამჩირის რაიონში.

ქურთი თემური
(დოკუმენტური მოთხრობები)

თემური ჩვენი ქუჩის დამლაგებელია. იგი, როგორც ამბობენ, ოცდაათ წელიწადზე მეტია სიყვარულით ემსახურება ამ საქმეს. თემური ახლა ბაბუაა, ხუთი შვილი და ჩვიდმეტი შვილიშვილი ჰყავს.

ადრე სვამდა, უფულობას არ უჩიოდა, რადგანაც რამდენიმე ქუჩას უვლიდა ერთდროულად. ორი წლის წინათ გავიცანი. თოვლში, მსუბუქად ჩაცმული, წვერმოშვებული და მოკუნტული, კუნძზე იჯდა. საცოდავ, ღვთისა და ყველასგან მიტოვებულ არსებად მეჩვენა.

სიგარეტი მთხოვა, ბოლო ღერი **„ასტრა"** გავუტეხე; ვებოდიშე, ხელმოკლეობით ვიმართლე თავი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, არ მისმენდა, უფრო ზუსტად, გულში დამცინოდა კიდეც, მერე რაო, უარესიც მინახავსო. უსიამოვნო გრძნობით დავშორდი.

ერაყში ომის სამზადისის ბოლო ფაზა მიმდინარეობდა. ქუჩაში თემურს შევხვდი. მომიახლოვდა და თითქოს ასი წლის ძმაკაცები ვყოფილიყავით, ერთი ლარი მთხოვა. ორი მქონდა და ორივე მივეცი. მიმქრალ თვალებში შუქი ჩაუდგა.

ერაყში ომი დაიწყო. თემურიც გაქრა. მე ეს ომი ერაყელი ხალხის წინააღმდეგ უსამართლო ომად, ინტერვენციად მიმაჩნდა, ამიტომ ალ-ჯაზირას ინფორმაციებს ვუსმენდი.

დაახლოებით ხუთ-ექვს თვეში თემური, თავისი გრძელტარიანი ბზის ცოცხით კვლავ გამოჩნდა ჩვენს ქუჩაზე. დაღლილი, ერთბაშად დაბერებული, მაგრამ ბედნიერი მეჩვენა. გამიკვირდა რომ მომეხვია, მაკოცა, კაფეში შესვლა შემომთავაზა. ვიფიქრე, რამ გადარია, როგორ გადაიხდის-მეთქი.

ცნობისმოყვარეობამ დამძლია, კაფე **„საოჯახოში"** შევყევი. ისეთ რამეები შეუკვეთა ოფიციანტს, რომ უმალ კაფეს მეპატრონე გამოჩნდა. ჩემი პიჯაკის და ჰალსტუხის მოერიდათ ალბათ, და შეკვეთილი კერძები **„სარაჯიშვილის"** დიდ ბოთლთან ერთად მოგვართვეს.

თემურმა ორლარიანი გამომიწოდა, ძველი ვალი, რომელიც არც მახსოვდა. ვიუკადრისე, არ გამოვართვი. ახლა ის გაბრაზდა – ქურთი კი ვარ, მაგრამ მათხოვარი არაო. ვიჭიდავეთ, მაინც არ დავუთმე. დამემუქრა, სამაგიეროს მალე გადაგიხდიო.

ნახევარი ბოთლი კონიაკი დავლიეთ. თემური გაიხსნა: იქ ჩასულებს კარგად გვიხდიდნენ, თუმცა მე თავად წავედი და არავისგან არაფერი არ მომითხოვიაო. ბედნიერი კაცი ვარ, ამჟამად ერაყის ქურთისტანი თავისუფალი ქვეყანაა და მალე დიდი ქურთისტანიც აღდგებაო. კიდევ თითო ჭიქა დავცალეთ. თემურს ხმარებისაგან გაცრეცილი საბჭოთა იარლიყიანი ჯემპერი ეცვა, წელიდან ყელამდე ზეასწია. გავოცდი, ტანს, გულ-მკერდს და მუცლს ჯერ კიდევშეუხორცებელი განივი ჭრილობა უსერავდა. ოცდაათამდე ნაკერი დავთვალე. ამიტომაც ჩამოვედი ადრე, თუმცა დარჩენას არც ვაპირებდიო, თითქოს დაიმორცხვა თემურმა. აქაც არ იყო სამოთხე,

ბევრი წყენა და დამცირება მახსოვს, მაგრამ იმდენი სითბო უბრალო ადამიანებისგან, რომ თბილისს არასოდეს გავცვლიო სხვა ქალაქზე...

– მე ვალი მოვიხადე ჩემი ხალხის და შვილიშვილების წინაშე, ისინი კი რა გზას დაადგებიან, ეს მათი საქმეა, ამაყად წარმოთქვა;

– მე იქ ვიღაც არაბის დიდი სახლი მომცეს, ერთი თვე ვიკოტრიალე შეიხის აბაზანაში, მაგრამ თბილისში ჩემი ჭუჭყიანი, ცივი, ბნელი ბინა სიზმარშიც არ მასვენებდა. თემურს ისიც სცოდნია, თუ როგორ გვიძახა მეზობლად სონიამ აფხაზეთიდან ჩამოთრეულები და როგორი დიდსულოვნად ვაპატიეთ ამ ქალბატონს ჩვენი შეურაცხყოფა. კიდევ გადავკარით. მან ხარჯი გადაიხადა, ამასთან კიდევ იმდენი ჰქონდა, რომ ნორჩ, მოკლეკაბიან და სქელთეძოიან ოფიციანტს თვალი ზედ შერჩა.

ბოთლის ბოლო წვეთები ჭიქებში ჩავწურეთ. თემურმა თვალების დახუჭვა მთხოვა. შარვლის ჯიბეში მისი უხეში თითები და დოლარების ტკაცუნი ვიგრძენი: – შენ გიჭირს, შენს ოჯახს უჭირს, არ გამაწბილო, გამომართვიო. გავძალიანდი, არ გამოვართვი, მადლობა ვუთხარი და ვთხოვე ეს ფული რუსთაველის გამზირის მათხოვრებისთვის დაგვერიგებინა. განრისხდა, ადგა და მიმატოვა. სარდაფიდან გასულმა მომაძახა, – აფხაზეთს ლანგრით არავინ მოგართმევთ, გამოდით ძილქუშიდან, ტვინი გაანძრიეთ, ხალს დაელაპარაკეთო!

შეურაცხყოფამ გამომაფხიზლა, თუმცა მალევე დავმშვიდდი. ცამდე მართალი იყო ეს ძონძებში გახვეული, აბურძგნილ წვერიანი დამლაგებელი, რომელმაც თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა და მამაპაპური ვალი მოიხადა თავისი ხალხის და მისი ოდესღაც ძალით დაშლილი ქვეყნის წინაშე.

მომდევნო სამი დღე თემური და მე თბილისის მათხოვრებისთვის ათლარიანების დარიგების სიამოვნებით ვტკბებოდით. ამას წინათ ისევ შევხვდი. მეეზოვის ადგილი შეუკვეცავთ. დაბერდი, ქუჩას და ცოცხს ახალგაზრდული ენერგია სჭირდებაო და გაუნთავისუფლებიათ. ბინა გაუყიდია და გარეუბანში გადასულა საცხოვრებლად, დის ოჯახთან ახლოს.

ყოველ დილით ამოდის მთაწმინდაზე, მეტროს პირველ მატარებელს მოჰყვება. დიდი გასტრონომის წინ ჩამოჯდება, გაზეთს აიღებს, აბრუნებს აქეთ-იქეთ და ნაცნობი გოგონებისგან მირთმეულ ყავას მადიანად შეექცევა.

სამურზაყანოს ორაგულები

შავი ზღვის ორაგულის გენეტიკაში ჩადებულია კოდი, რომ მხოლოდ მშობლიურ ადგილებში დაბრუნებულს შეუძლია გააჩინოს ჯანსაღი შთამომავლობა. ორაგულები თავს არ ზოგავენ შინ დასაბრუნებლად. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ბრუნდება ცოცხალი დედო სახლში, რათა გადაიხადონ ქორწილი, დაყარონ ქვირითი, საკუთარი ხორცით გამოზარდონ ლიფსიტები და ვალმოხდილნი გაუჩინარდნენ უსასრულობაში.

ორაგულებს ჰგვანან აფხაზეთის ქართველები, რომლებიც ცოცხლები თუ გარდაცვლილები საბოლოოდ უსათუოდ ბრუნდებიან აფხაზეთში.

აფხაზეთის ორაგულები შავი ზღვის ორაგულთა ოჯახის წევრები არიან, თუმცა მათთვის უცხო არ არის ხმელთაშუა ზღვის და ატლანტის ოკეანის უკიდეგანო სივრცეების გაჭრაც.

ჩვენი ორაგულები შავი ზღვის სხვა ორაგულებს ჰგვანან და არ ჰგვანან კიდეც, რადგან ისინი აქაურები, ჩვენებურები არიან, ამ მიწის და ამ წყლის ნაწილი, ზურმუხტის და ლილისფერი სამყაროს შვილები. ისინი აქ იბადებიან, იზრდებიან, მიდიან, მოდიან, მაგრამ უთუოდ შინ ბრუნდებიან.

გალელი ორაგულების უშველებელი ქარავნები აარილ-მაისშიშავის ზღვის აფხაზეთის ნაპირებზე მარაოსავით გაიშლებიან და თავიანთ ოდაბადეს ეძებენ.ორაგულების დიდი ქარავანი, ანაკლიასთან, წინაპრის ამოუცნობი ინსტინქტით, ენგურის ვიწრო შესართავებს გადალახავს და მდინარის ძველ, თითქმის უწყლო, ნადინარებში ეშვება იმ იმედით, რომ იქნებ უკვე აღარ არის ჯვარის მაღლივი კაშხალი, რომელიც ენგურის სათავის, სვანეთის მყინვარებისკენ მიმავალ გზაზე ზღუდედ ჩადგა.

ორაგულები ახლა განარჯიას მუხურის, მეორე ოტობაიის, ზარწუფა-ხურჩას, ოტაბაია-შამგონის, თაგილონ-ჭუბურხინჯის წყალმარჩხ ღარებს მიაპობენ. ერთხანს სცილდებიან ერთმანეთს, მდინარის ტოტებში იფანტებიან, შენაკადებს, ხაიებს აფარებენ თავს.

აქ მეტად საშიშია, ყველგან მონადირეა ჩასაფრებული. ახლა ისინი ორაგულებისთვის უწვეულო ენაზე ლაპარაკობენ.

ენგურის გადასასვლელებზე ხალხმრავლობაა, ძირითადად ქალები არიან, მათ ორაგულებისთვის არ სცალიათ. ნაღვლიანი და ჩამოძონძილები მძიმე ტვირთებს მიათრევენ.

დიხაზურგა-ზენი-სამქვარიც არ არის უხიფათო, აქ ბადეებია დაგებული. თხილის წკნელებისგან დაწნული ფაცრები და კუნოები ვიწრო ნაკადებში მიმოუფანტავთ. თუმცა, ამ ყველაფერს გვერდს უქცევენ და გზას აგრძელებენ. ირგვლივ სამარისებურისიჩუმეა,მხოლოდღამით გამოჩნდებიან ჩონჩხად ქცეული მამაკაცების ლანდები, რომლებიც მათსავით ფრთხილად მიემართებიან სადღაც.

ორაგულები საბერიოს **„პერებროსკაზე"** შენიშნეს ფორმიანმა და თოფიანმა მონადირეებმა. აქ ისინი განსაცდელში სხვა მხრივაც არიან: წინ ბეტონის ზღუდეა. ახტომაა საჭირო, კუდის და ფარფლების ძლიერი მოქნევა. ფახულან-ჭალეს უბანზე გადასვლა ახლაც ჯოჯოხეთია, თუმცა მაინც მოახერხა უმეტესობამ.

და აი, ჯვრის წყალსაცავის მაღლივი, ქვეყნად ყველაზე მაღალი კაშხალის უსაშველო ურჩხული გამოჩნდა. აქ არაფერი შეცვლილა, გზა დასრულდა. რა ძლიერია და რა უგუნური ადამიანი, განა ძნელი იყო აქ გასავლელის დატოვება, – სწუხან ორაგულები თავის ენაზე და უკან ბრუნდებიან...

ორაგულთა გადარჩენილი ქარავანი მეორე გუდავას მიადგა. რა დიდებულად ერთვის აქ ოქუმწყალი და გუდაწყალი შავ ზღვას. ირგვლივ პატარა, ქვიშიანი კალაპოტები და ნაკალაპოტარები გაფანტულა, ისლით და შვიტებით დაფარული დაჭაობებული წყლები, ცათამბჯენ ხეებად ქცეული მურყნები, რომელთა ჩრდილში გაზაფხულის მწველი მზის სხივებიც ძლივს ატანენ. მეწამულ წყალში ლოქოები და ქარიყლაპიები მბრძანებლობენ, დასისინებენ

ჭრელი და წითელი გველები, ნაპირზე ზურგებს ითბობენ კოლხეთის მკვიდრი კუები. აქაც კვდარი სიჩუმეა, ადამიანი არსად ჩანს.

წინ მდინარე ოქუმია. სამანქანო ხიდთან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და შეიარაღებული ადამიანები დგანან და ისინიც გაუგებარ ენაზე ყვირიან. უმალ ძლიერ იქუხა, ათამდე შადრევანი ავარდა წყალში, წითლად შეიღება მორევი.

შეყოვნდნენ ორაგულები, მოცდა დაღამებამდე არჩიეს. ფუწყურთან კვლავ ააფეთქეს ლაღუმები მკვდარი ორაგულებით გაივსო მდინარეთა შესართავი. ორაგულების ერთმა ნაწილმა ოხოჯესკენ გაუტია, მეორემ წარჩეწყალს შეაფარა თავი, მესამე, ყველაზე დიდი ქარავანი მთია-

ნი ოქუმის დალაშქვრას შეუდგა...

ჯოჯოხეთური გზაც დასრულდა. ხელის გაწვდენაზეა ოჭაკეს, ოხაჩქუეს, ჟეპიშხას მთები, იმათ იქით თოვლი და მყინვარებია. კირქვის ძაბრის მაგვარი კედლებიდან მოწანწკარებენ პატარა ნაკადულები და ორაგულების სანუკვარ აკვანს-წყალმარჩხ

ქარაფებს ქმნიან. ნაგვემ-ნაცემი, დაღლილ-დაქანცული, მაგრამ

ბედნიერი ორაგულები წითლად, მეწამულად, ლილისფრად იმოსებიან, ზეიმი აქვთ და ქორწილებს მართავენ, მერე ორმოებს თხრიან და შიგ ქვირითს ყრიან, რომელსაც მამალი ორაგული უმალ მოასხამს **„მოლოკს"**. ქვირითიან ორმოებს ფრთხილად მოაყრიან შლამს და ერთხანს დარაჯობენ, რადგან ქვირითს უამრავი მტერი ჰყავს.

ზეიმსაც აქვს დასასრული და კვდებიან ვალმოხდილი მდედრი და მამრი ორაგულები. დახოცილი ორაგულებს მდინარე დაბლა მიატივტივებს და ახალგამოჩეკილი ლიფსიტები თავიანთ მშობლების სხეულს წიწკნიან და სწრაფად იზრდებიან...

ღვთიური წესია, ორაგული საკუთარი სიცოცხლის ფასად მრავლდება, ოღონდ და უთუოდ ამისთვის მშობლიურ ადგილებში დაბრუნებაა აუცილებელი.

თითქმის ათი წელიწადია აფხაზეთის ქართველები, გალის რაიონის მოსახლეობა, ორაგულებივით მტკიცედ და ზუსტად ასრულებენ უფლისაგან დადგენილ წესს და გონისთვის აუხსნელ ნებას.

ბევრი მათგანი ტანჯვით და წამებით, გოლგოთის გზით დაბრუნდა და ცხოვრობს აფხაზეთში.

ენგურს გამოღმა მიმოფანტული გალელები, როგორც წესი, უბრუნდებიან სამურზაყანოს.შემზარავი სანახავია ქართველთა დაბრუნება აფხაზეთში, მაგრამ მათ სხვანაირად არ შეუძლიათ.

რაფიელ გელანტია

ანაკლია-ზუგდიდი, ივნისი, 2004 წ.

კიდევ ერთხელ ე.წ. ვენეციის კომისიის, საქართველოს კონსტიტუციისა და მიხეილ სააკაშვილის «realpolitik»-ის თაობაზე

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გაშუქებისას ხშირად წააწყდებით რიგითი მოქალაქისთვის საკმაოდ ბუნდოვან სიტყვათშეთანხმებას: **ვენეციის კომისია**. ამ ორგანოს ოფიციალური სახელია ევროპის კომისია დემოკრატიისთვის სამართლის საშუალებით. ის შეიქმნა 1990 წელს და როგორც მის საიტზე წერია, **„წამყვანი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ კონსტიტუციების მიღებაში, რომლებიც პასუხობდნენ ევროპული საკონსტიტუციო მემკვიდრეობის სტანდარტებს“.**

თუ შექმნის მომენტში კომისია შედგებოდა 18 სახელმწიფოსგან, რომლებიც წარმოადგენდნენ ევროპის საბჭოს, 2002 წლის თებერვლიდან ის გადაიქცა გაფართოებულ შეთანხმებად; მას შეუერთდა ევროპის საბჭოში შემავალი ყველა ქვეყანა, ასევე, არაევროპულმა ქვეყნებმა მიიღეს მასში გაწევრების უფლება.

2010 წლის დასაწყისისთვის კომისია ითვლიდა 57 წევრს, მათ შორის იყო ევროპის საბჭოს ქვეყნები, აგრეთვე, ყირგიზეთი, ჩილე, კორეის რესპუბლიკა, მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ისრაელი, პერუ, ბრაზილია და მექსიკა. დამკვირვებლის სტატუსი აქვთ: ყაზახეთს, კანადას, ამერიკას, ურუგვაისა და იაპონიას.

წესდების მიხედვით (შესწორებული წესდების მუხლი 1), ვენეციის კომისია შედგება **„დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო ცნობადობა თავიანთი სამუშაო გამოცდილების გამო ან მათი წვლილის გამოისობით სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების დარგში. კომისიის წევრები მუშაობენ ინდივიდუალური წესით, არ იღებენ და არ ემორჩილებიან არავითარ ინსტრუქციებს“.**

როგორც ვხედავთ, ვენეციის კომისია ამაყობს იმით, რომ ხელი შეუწყო და **„საკვანძო როლი შეასრულა“** იმაში, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა (ანუ ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრებმა) მიიღეს **„ევროპული საკონსტიტუციო მემკვიდრეობის“** შესაბამისი კონსტიტუციები. მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში (მაგალითად, ბალკანეთის ქვეყნები, უნგრეთი, სლოვაკია, ბალტიის ქვეყნები) ისტორიულად თითქმის არ არსებობდა პარლამენტარიზმი, როგორც ხელისუფლების მოწყობის ელემენტი, ანუ გამოდის, რომ მათ თავს მოახვიეს დასავლეთევროპული სტანდარტები, თუმცა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაშიც პარლამენტარიზმი მთლიანობაში არ იყო სახელმწიფო მოწყობის წამყვანი ფორმა ბოლო დრომდე (მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე).

დასავლური დემოკრატიული სისტემა ამჟამად ფორმალურად აღიარებულია მთელს მსოფლიოში, მსხვილი და წამყვანი ქვეყნებიდან ის არ არის წარმოდგენილი მხოლოდ ჩინეთში და ნაწილობრივ, - ირანში, ასევე ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც აბსოლუტური მონარქიაა (მაგალითად, საუდის არაბეთი). არსებობს, ასევე, სოც. ბანაკის ნაშთები – კუბა, ჩრდილოეთ კორეა. თავის მხრივ, დემოკრატიული სისტემა იყოფა საპრეზიდენტო და საპარლამენტო ფორმებად (ასევე არსებობს შერეული ფორმა – საპარლამენტო-საპრეზიდენტო). დასავლეთ ევროპაში გავრცელებულია სწორედ საპარლამენტო მოდელი, რაც იქნა კიდეც თავსმოხვეული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, გარდა რუმინეთის, სერბეთისა და ნაწილობრივ, პოლონეთისა (სადაც შერეული სისტემაა). დსთ-ს ქვეყნებსა და საქართველოში ყველგან საპრეზიდენტო ფორმაა. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ უკრაინა, სადაც 2004 წელს ჩატარდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომელმაც ქვეყანა საპარლამენტო-საპრეზიდენტო მოდელზე გადაიყვანა. თუმცა ახლახან უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ეს რეფორმა და უკრაინა ისევ დაუბრუნდა მთლიანად საპრეზიდენტო მოდელს.

საინტერესოა, რომ იმავე 2004 წელს, უშუალოდ ე.წ. **ვარდების რევოლუციის** შემდგომ, საქართველოში ასევე მოხდა კონსტიტუციის კორექტირება. მაგრამ უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოში ე.წ. ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო სისტემა გადაიქცა სუპერსაპრეზიდენტო სისტემად, სადაც პარლამენტი და მთავრობა მეორეხარისხოვანი ორგანოებია. აქამდე პრეზიდენტს არ შეეძლო, მაგალითად, პარლამენტის დათხოვნა, ისევე, როგორც აშშ-ში პრეზიდენტს არ შეუძლია კონგრესის დათხოვნა.

მაშინ ვენეციის კომისიამ გამოთქვა მკაცრი პროტესტი ამ ცვლილებების წინააღმდეგ. მაშინდელი ოპოზიცია ხშირად იყენებდა ამ ფაქტს ტელედებატებში. კომისიამ აღიარა, რომ ცვლილებებმა მმართველობის ფორმა გახადა დაუბალანსებელი, პარლამენტმა თითქმის დაკარგა გავლენა, ხოლო მთავრობა გადაიქცა პრეზიდენტის დანამატად, იმ დროს, როცა შემოღებული იქნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა (2004 წლამდე ეს თანამდებობა არ არსებობდა, პრემიერის ნაცვლად იყო ე.წ. სახელმწიფო მინისტრი). ანუ, პრეზიდენტმა მიიღო ახალი უფლებამოსილებები, კერძოდ, პარლამენტის დათხოვნის უფლება, მაგრამ ამავე დროს აღარ აგებდა პასუხს მთავრობის კაბინეტის საქმიანობაზე, რადგან მიიღო **„განტევების ვაცი“** უუფლებო პრემიერის სახით.

თუმცა საქართველოში ბევრ რამეს, თუ ყველაფერს არა, წყვეტს არა ქაღალდზე დაწერილი კანონი, არამედ სხვა გარემოებები. **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ პირველი პრემიერ-მინისტრი ზურად ჟვანია სულაც არ აპირებდა, უბრალოდ, **„განტევების ვაცად“** ყოფნას და პრეზიდენტის ნების უსიტყვოდ შესრულებას. მას საკუთარი პოლიტიკური წონა და გავლენის ბერკეტები გააჩნდა. ასეა თუ ისე, პრემიერად დანიშვნიდან დაახლოებით ერთ წელიწადში ჟვანია მოულოდნელად გარდაიცვალა და შემდგომი კანდიდატურები ამ თანამდებობაზე უკვე სულ უფრო ნაკლებად დამოუკიდებელი და გავლენიანი იყვნენ, რაც კარგად შეესაბამება არსებული კონსტიტუციის ხასიათს.

მაგრამ რა მოიმოქმედა ვენეციის კომისიამ? მისი პროტესტი ჰაერში გამოკიდებული დარჩა. საქართველოს ხელისუფლება ამართლებდა კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებს და პრეზიდენტის როლის გაძლიერებას იმით, რომ ქვეყანაში გასატარებელია რადიკალური რეფორმები, რისთვისაც საჭიროა ე.წ. მტკიცე ხელი. პრაქტიკულად, საქართველოს ევროპელი პარტნიორები დაეთანხმნენ ამას, თუმცა ფორმალურად ვენეციის კომისია აგრძელებდა პროტესტის გამოთქმას ხელისუფლების გადანაწილების არსებული მოდელის გამო. იგი ასევე აპროტესტებდა აჭარის ავტონომიის გადაქცევას ცენტრალური ხელისუფლების უუფლებო დანამატად, რაც მოხდა ასლან აბაშიძის განდევნისა და თბილისის მიერ რეგიონზე მკაცრი კონტროლის დამყარების შემდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საქართველოს ხელისუფლება არ აქცევდა და არ აქცევს არავითარ ყურადღებას ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს.

რა გამოდის სინამდვილეში? 2008 წელს დადგა საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი. იმ დროს, როცა ნატო არის არა სამხედრო, არამედ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, და აცხადებს, რომ მისი მიზანია იმ ქვეყნების დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რომლებსაც სურთ მასში შესვლა, საქართველოში საპირისპირო სურათი იყო. პარლამენტის როლი შესუსტდა, პრეზიდენტი გადაიქცა ქვეყნის ერთპიროვნულ **„პატრონად“**, აჭარის ავტონომია ფიქციად იქცა, ხოლო ოპოზიციას სასტიკად უსწორდებოდნენ (გავიხსენოთ 2007 წლის 7 ნოემბერი). ვენეციის კომისია მკაფიოდ აფიქსირებდა თავის პოზიციას იმ ცვლილებების მიმართ, რაც განხორციელდა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. და მიუხედავად ამისა, ამ ფონზე მაინც დადგა საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი. თუმცა ბოლო მომენტში ზოგიერთი დასავლეთევროპული ქვეყანა უარზე დადგა, რომ საქართველოს (და უკრაინას) მიეღოთ ე.წ. **მაპი**. მაგრამ საიდუმლო არაა, რომ ამაში ძირითადი როლი შეასრულა რუსეთის პოზიციამ, რომელიც უარყოფითად უყურებს ნატოს დაუსრულებელ გაფართოებას აღმოსავლეთით.

ახლა ისევ ვადევნებთ თვალს საინტერესო მომენტს საქართველოს ხელისუფლებისა და ვენეციის კომისიის ურთიერთობებში. როგორც ცნობილია, სააკაშვილს კონსტიტუციის თანახმად, არ აქვს უფლება, კენჭი იყაროს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. მაგრამ, როგორც ჩანს, მას სურს, პოლიტიკაში და, უფრო მეტიც, ხელისუფლებაში დარჩენა. სწორედ ამას უკავშირებენ მიმომხილველები კონსტიტუციაში მორიგი ცვლილებების შეტანას. მთავარი ცვლილებები ეხება ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებას. ვენეციის კომისია თავის წინასწარ შენიშვნებში ასე ახასიათებს ამას: *„ახალი მოდელი ნიშნავს გადასვლას „ნაკლებად საპრეზიდენტო სისტემაზე“, რომელშიც პრეზიდენტი „უნდა იყოს ნეიტრალური არბიტრი სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის“. (ახალი მოდელი) ისახავს მიზნად გადასვლას საპრეზიდენტო სისტემიდან შერეულ სისტემაზე, რომელშიც აღმასრულებელი ფუნქციები დაეკისრება მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პარლამენტის წინაშე“.*

ამავე დროს, კომისია ასევე აღნიშნავს, რომ *„მიუხედავად მთავრობის უფლებამოსილების გაძლიერებისა, პრეზიდენტი ისევ „ინარჩუნებს მნიშვნელოვან უფლებებს“ ისეთ საკითხებში, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, შეიარაღებული ძალები და საგანგებო სიტუაციები, ასევე იმ სიტუაციაში, როცა მთავრობა აწყდება პარლამენტის მხრიდან უნდობლობის გამოცხადებას“.*

„კომისიის აზრით, არსებობს იმის რისკი, რომ წარმოიქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა პრეზიდენტი შეიძლება შევიდეს კონფლიქტში ხელისუფლების სხვა შტოებთან. კომისიის აზრით, ამგვარი სიტუაციის წარმოქმნის ალბათობას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი წესით, საერთო-სახალხო კენჭისყრით, რაც ზრდის მის პოლიტიკურ წონას“.

„მთავრობა შეიძლება ასახავდეს საპარლამენტო უმრავლესობას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს იმ უმრავლესობისგან, რომელმაც მხარი დაუჭირა პრეზიდენტს არჩევნების დროს, რადგან საპარლამენტო არჩევნები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ, საპრეზიდენტო კი - 5 წელიწადში ერთხელ“, - ნათქვამია ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნაში.

„გარდა ამისა, რაც ასევე მნიშვნელოვანია, პრეზიდენტი (არსებულ მოდელში) ასრულებს პოლიტიკურ როლს, რომელიც არ შეესაბამება მიუკერძოებელი გარანტის როლს სახელმწიფო კონსტიტუციური წესრიგის დაცვის საქმეში“, - აცხადებს კომისია“. (Georgiamonitor.org – 08.09.2010)

ამგვარად, ვენეციის კომისია, ფაქტობრივად, **რეკომენდაციას უწევს საქართველოს, რომ მიიღოს არა იმდენად შერეული, არამედ თითქმის მთლიანად საპარლამენტო მოდელი**. კომისია ხედავს რისკებს იმაში, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში, სადაც მთავრობის როლი ძლიერდება, ხოლო პრეზიდენტი, თუმცა აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, მაინც ინარჩუნებს მთელ რიგ უფლებამოსილებებს საგარეო და სამინაო პოლიტიკის სფეროში, გარდა ამისა, საერთო-სახალხო კენჭისყრით არჩეული ფიგურაა.

ამ კალაპოტში ჯდება რეკომენდაციები იმის შესახებ, რომ შემცირდეს პრეზიდენტის უფლებები საგარეო სფეროში, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობაში, საგანგებო სიტუაციების გამოცხადების დროს და ა.შ. სხვათა შორის, საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენის დროს გაითვალისწინა ამ შენიშვნებიდან ზოგიერთი, რასაც მიესალმა ვენეციის კომისია თავისი წინასწარი შენიშვნების მეორე რედაქციაში. უფრო მეტიც, კომისია რეკომენდაციას იძლევა, შენიშვნები იმგვარად შევიდეს, რომ მაქსიმალურად შემცირდეს პრეზიდენტსა და მთავრობას შორის კონფლიქტის რისკი და გადანაწილდეს უფლებამოსილებები მთავრობის სასარგებლოდ. მაგალითად, თავდაპირველ ვარიანტში პრეზიდენტს ჰქონდა საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და მოლაპარაკებების წარმოების უფლება. მეორე მოსმენის დროს, შეტანილი იქნა შესწორება, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს ამისთვის ესაჭიროება მთავრობის თანხმობა. მაგრამ ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ ეს ცვლილება არასაკმარისია, და რომ ის არათუ ამცირებს, არამედ ზრდის კონფლიქტის შესაძლებლობას, ანუ ის რეკომენდაციას იძლევა, რომ საერთოდ ჩამოერთვას ეს უფლება პრეზიდენტს.

ეს ნიშნავს, რომ კომისია რეკომენდაციას იძლევა, პრეზიდენტს მიენიჭოს მხოლოდ ნეიტრალური არბიტრის როლი სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ ძალებს შორის. ეს კი ნიშნავს საპარლამენტო მმართველობას. ამიტომაც ვენეციის კომისია თავის რეკომენდაციებში დაჟინებით ითხოვს პარლამენტის როლის გაზრდას. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ გამარტივდეს პარლამენტის მიერ მთავრობის ფორმირების პროცედურები, და ასევე მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადება. აქ კომისია რეკომენდაციას იძლევა, მთლიანად მოიხნას პრეზიდენტის როლი პრემიერ-მინისტრის დანიშვნისას (ახლანდელ პროექტში პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება პარლამენტის გადაწყვეტილებაზე, პრემიერის დანიშვნის დროს). ასევე გათვალისწინებულია პარლამენტის უფლებების გაზრდა საბიუჯეტო საკითხებში.

როგორც ვხედავთ, ვენეციის კომისია საკუთარი თავის ერთგული რჩება. მისი რეკომენდაციები ფორმალურად მიუკერძოებელია, ის უარყოფს სპეკულაციებს იმაზე, რომ მათში არ ითვალისწინებს **„სააკაშვილის ფაქტორს“**. კომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ამ საკითხის განხილვა და ის თვლის მიზანშეუწონლად, დაიწუნოს პროექტი მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ის შეიძლება აწყობდეს სააკაშვილს. მართლაც, თუ სააკაშვილი გახდა პრემიერ-მინისტრი, მისთვის ხელსაყრელია, რომ პრეზიდენტს არ ჰქონდეს თითქმის არავითარი უფლებამოსილება, მეორე მხრივ, მას არ აწყობს, რომ პარლამენტს ჰქონდეს დიდი ზეგავლენა მთავრობაზე. ჯერჯერობით, არსებული პროექტის თანახმად, სააკაშვილი ნაკლებად უფრთხის შესაძლო კონფლიქტებს მომავალ პრეზიდენტთან, ვიდრე სურს ძლიერი პარლამენტის ხილვა.

კონსტიტუციის ახალი პროექტის მიღება დასკვნით ფაზაში შედის. 12 ოქტომბერს დანიშნულია კენჭისყრა პარლამენტში მესამე, ბოლო მოსმენით. ვენეციის კომისიამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, დაიცადოს მისი საბოლოო რეკომენდაციების გამოქვეყნებამდე და არ მიიღოს პროექტი მანამდე. მან გამოაქვეყნა 5 პუნქტი, რომლებიც ასე ჩამოყალიბდა:

– დაიცადეთ საბოლოო რეკომენდაციების მიღებამდე;

– საჭიროა ვადების კიდევ უფრო შემცირება უნდობლობის გამოცხადების დროს;

– კომისია მიესალმება ზოგიერთ ცვლილებას პროექტში;

– კვლავ რჩება პრობლემები პრეზიდენტისა და მთავრობის საგარეო-პოლიტიკური ფუნქციების გაყოფის საკითხში;

– სასურველია პარლამენტის როლის შემდგომი გაძლიერება.

სააკაშვილი და საქართველოს ხელისუფლება არ აქცევდნენ ყურადღებას ვენეციის კომისიის მოსაზრებებს რამდენიმე წლის განმავლობაში, მათ შორის ხელისუფლების მოწყობის, აჭარის ავტონომიისა და სხვა საკითხებში. როგორც ჩანს, ამჯერადაც ხელისუფლება არ აპირებს სრულად შეასრულოს რეკომენდაციები. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ქვეყნები არ ამბობენ უარს, საქართველო ჩათვალონ **„ნატოში გაწევრების კანდიდატად“**, რაც გვიჩვენებს ე.წ. **Realpolitik**–ის უპირატესობას და არა მათ მიერ დეკლარირებული სამართლებრივი და დემოკრატიული ნორმების პრიმატს.

გიორგი ვეკუა,
სპეციალურად
საქინფორმისთვის



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის პოლიტ-პროპაგანდის სამმართველოს უფროსი, ბრიგადის კომისარი მიხაილოვი კი 6 ივლისს მოახსენებდა წითელი არმიის პოლიტპროპაგანდის მთავარი სამმართველოს უფროსს მეხლისს:

"ზოგიერთი რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები დაბნეულები არიან და ვარდებიან პანიკაში. ბევრმა ხელმძღვანელმა მუშაკმა, ჯერ კიდევ ევაკუაციამდე, საკუთარი ოჯახის წევრებთან ერთად დატოვეს მათდამი რწმუნებული რაიონები.

ნოვგოროდ-ვოლინსკის, კოროსტენსკის და ტერნოპოლის რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები პანიკაში ჩავარდნენ და ოჯახის წევრებთან ერთად დასტოვეს სამუშაო ადგილები ჩვენი ჯარის ნაწილების მიერ ქალაქის დაცლამდე დიდი ხნით ადრე. ნაცვლად იმისა, რომ გამოეტანათ სახელმწიფოს კუთვნილი მატერიალური ფასეულობები, მათ განკარგულებაში მყოფი მანქანებით მათ გაზიდეს პირადი ნივთები..."

11 ივლისს იგივე მიხაილოვი მოახსენებდა მეხლისს ინფორმაციას კომპარტიის ხმელნიცკის, იანუშპოლსკის და ულანოვსკის რაიკომის მდივნების სამარცხვინო გაქცევის თაობაზე... ეს გახლავთ ვინიცის ოლქი, კიევთან ძალიან ახლოს მდებარე. და ყველანი ესენი ხრუშჩოვის კადრები იყვნენ. მაგრამ ისინი კედელთან არ მიუყენებია. იცით რატომ? ისინი ნიკიტა ხრუშჩოვს გამოადგებოდნენ 1953 წლის შემდეგ...

სწორედ ამიტომ, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი დიდი ხანი ცრუობდა იოსებ სტალინზე 1953 წლის შემდეგ. თავს მოახვია რა ყველაფერი უბედურება სტალინს, მას ამით საკმაოდ გაუადვილდა საკუთარი **"შეცოდებების"** მიჩქმალვა. და რა თქმა უნდა, მას ამ დროს ბუნებრივ, ერთგულ თანაშემწედ ამოუდგა მხარში საბჭოთა **"მარშალიტეტი"** და **"გენერალიტეტი"**, იმიტომ, რომ მათაც დიდად არ ეპიტნავებოდათ დიდი სამამულო ომის ომის დაწყებასთან დაკავშირებული, აშკარად არასასიამოვნო, ჭეშმარიტება.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ იოსებ სტალინმა ლამის დაუჯერებელი დიდსულოვნება გამოიჩინა – მან საჯაროდ არ განაცხადა, რომ სამამულო ომს სრულიად მოუმზადებელი შეხვდნენ არა მხოლოდ პავლოვი, არამედ თითქმის მთელი სამხედრო ხელმძღვანელობა. ბოლოს და ბოლოს, საბრძოლო მზადყოფნის კოეფიციენტის გამოთვლა ხდება არა მხოლოდ იმით, იჯდა თუ არა ესა თუ ის შეიარაღებული ჯარისკაცი სანგარში, არამედ ჯარისკაცთა გაწვრთნითა და სწავლა-მომზადების დონით, მათი აღჭურვითა და მომარაგებით...

აშკარაა, რომ საბჭოთა სამხედრო ნაწილებში ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის ორგანიზება შედარებით იოლი გასაკეთებელი გახლდათ, ვიდრე სახალხო მეურნეობაში, იმიტომ, რომ ჯარი არაფერს არ აწარმოებს – იგი მხოლოდ მოიხმარს. გენერლებს მხოლოდ უნდა მოეთხოვათ, მიეღოთ, გაენაწილებინათ და ესწავლებინათ ყოველი რანგის ქვეშემრდომებისათვის, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ მათი წილი.

ვიღაცამ კი საქმეს აშკარად უღალატა...

რაღა რჩებოდა სტალინს? იგი ხომ უშუალოდ 22 ივნისის წინ აღმოჩნდა ძალიან რთულ მდგომარეობაში. მას გენერალიტეტის იმედი ჰქონდა, გენერლებმა კი ყველაფერი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ჩააფლავეს.

უფრო მეტიც! 19-20 ივნისს მერკულოვის მიერ ჩატარებულ ინსპექციას უნდა დამატებოდა კიდევ რაღაც... დავუშვათ, რომ მერკულოვის მოხსენების შემდეგ სტალინმა იგუმანა პავლოვის მიერ მოსალოდნელი ღალატი. ამ შემთხვევაში ხომ არ შეეძლო მას ომის დაწყებამდე გაეცა პავლოვის დაპატიმრების განკარგულება. არ შეეძლო, იმიტომ, რომ ამ საპასუხისმგებლო ჟამს მხოლოდ ეჭვის საფუძველზე გენერლის დაპატიმრებას შეიძლებოდა უფრო უარყოფითად შეეცვალა ჯარისკაცთა განწყობა, ვიდრე მის თანამდებობაზე დატოვებას.

მაგრამ, აი, ომი დაიწყო. მოსალოდნელი ჩავარდნა მწარე რეალობად იქცა. რა უნდა გაკეთდეს? არც ის შეიძლებოდა, რომ ამ მძიმე ჩავარდნისათვის არავინ დაესაჯათ – გენერლებს უნდა დაენახათ, რომ სტალინსა და სამშობლოს მოთმინების ფიალა გადაევსოთ. მაგრამ ბევრი ხალხის დასჯაც არ შეიძლებოდა – ბოლოს და ბოლოს, ვიღაცას მაინც ხომ უნდა ეომა?

გარდა ამისა, თუნდაც კონკრეტულად სცოდნოდათ, თუ ვინ უღალატა სამშობლოს, მათი ღალატში პირდაპირ დადანაშაულება მაინც არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან გენერალიტეტის ნაწილის სამშობლოს ღალატში ოფიციალურად დადანაშაულება უარყოფით დისონანს შეიტანდა სამხედრო ნაწილების მართვის საქმეში.

ამიტომ, სტალინმა თითით არ მიანიშნა კონკრეტულ დამნაშავეებზე და გაჩუმება არჩია. ამიტომ, მან ომის წინა დღეების წარუმატებლობა მტრის ვერაგული და მოულოდნელი თავდასხმით ახსნა. ის, რომ სტალინმა დროებით დააფარა ხელი საბჭოთა სამხედრო დამნაშავეებს, იცოდა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა ვიწრო წრემ, რომელთა ნაწილი ან დახვრეტილ იქნა, ან ომში დაიღუპა.

შემდეგ იყო ომი, რომელიც წარმატებით დასრულდა. ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ კი განა ღირდა წარსულის ცოდვების ამოქექვა?

ასე თვლიდა სტალინი – მან ხომ არ იცოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ყველა მისი მარშალი (როკოსოვსკის გარდა) სულმოკლეობას გამოიჩენდა და ხრუშჩოვს ნებას მისცემდა დაუსაბუთებელი ბრალდებების ნისლში გაეხვია დიდი ბელადის სახელი და ისინი უხვად მიაყრიდნენ ნაგავს სტალინის საფლავს.

და დღესაც, ბევრს სწერენ, რომ დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეების ჩავარდნაში დამნაშავენი არიან **"ტირანი"** სტალინი, **"ჯალათი"** ბერია და არა საბჭოთა გენერალიტეტი. ლავრენტი ბერია ხომ **"თავხედურად უგულვებელყოფდა"** დაზვერვის **"საიდუმლო მუშაკების" ალმასისა** და **კარმენის** გაფრთხილებებს.

სხვათა შორის, 1941 წლის ივნისის დასასრულს, როცა გამარჯვებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა – საჭირო იყო მრავალი საკითხის გადაწყვეტა და ქვეყნის გადაყვანა საომარ რელსებზე.

გაურკვეველი დროით გადაიწია ქვეყანაში მართვის დემოკრატიული პრინციპების დანერგვისა და 1941 წელს ალტერნატიული არჩევნების ჩატარების საკითხმაც. რეალურ ძალად უნდა ქცეულიყო მხოლოდ უსიტყვოდ შემსრულებელი ხელისუფლება.

და აქ, სტალინმა...

და აქ, სტალინმა, როგორც ჩანს, გამოავლინა გარკვეული ადამიანური სისუსტე... მისი გაგებაც შეიძლება – იგი ხომ ისეთივე ადამიანი იყო, როგორიც სხვები არიან... ნერვული უჯრედებიც იმდენი ჰქონდა, რამდენიც სხვებს, მასაც რამდენიმე კილომეტრიც ნერვი გააჩნდა, სხვებივით, სხვებივით ერთი გული ჰქონდა და ხუთი ლიტრი სისხლი სჩქეფდა მის ძარღვებში.

მაგრამ, აი, პასუხისმგებლობა...

ამასთან, მან კარგად იცოდა, რომ როგორც სახელმწიფოს მეთაური, სავსებით სწორად იქცეოდა: დროულად იჩენდა სიფრთხილეს, დროულად მიანება თავი ჭოჭმანს, დროულად გასცა განკარგულება სამხედრო ნაწილებს ომისათვის მზადყოფნაში მოყვანის განკარგულება. მაგრამ იგი გააწბილეს...

თანაც, როგორ გააწბილეს! ომის დაწყებიდან ერთი კვირა გავიდა და უკვე დაეცა მინსკი, გერმანელები სულ წინ და წინ მოიწევენ...

და სტალინი, როგორც ჩანს, მართლაც გაემგზავრა უახლოეს აგარაკზე. ჯერ ერთი, იგი ომის დაწყების პირველ კვირას საშინლად დაიღალა... და მან მოისურვა, რომ საკუთარ თავთან მარტოდმარტო დარჩენილიყო... და მეორეც: ხომ შეიძლებოდა, რომ ისიც ჩავარდნილიყო დეპრესიაში?

თუ სტალინს კრიზისი ჰქონდა, ეს უნდა ყოფილიყო 29 და 30 ივნისს. ერთი დღით ადრე – 28 ივნისს სტალინმა მიიღო ოცზე მეტი სტუმარი, მათ შორის ტიმოშენკო, ჟუკოვი, გენშტაბის სადაზვერვო სამმართველოს უფროსი გოლიკოვი, გასცა ბრძანებები და განკარგულებები, რომლებიც 29 ივნისითაა დათარიღებული.

28 ივნისის ღამის 10 საათიდან ათი წუთის განმავლობაში მასთან იმყოფებოდნენ მფრინავი-გამომცდელები სუპრუნი და სტეფანოვსკი – რომლებიც სუპრუნის ინიციატივით შექმნილ მრინავ-გამომცდელთა გამანადგურებელ პოლკს ჩაუდგნენ სათავეში. სტალინთან მისული ჩვენთვის საინტერესო პიროვნებების სავიზიტო დრო კი ასე გამოიყურება:

მოლოტოვი – 19.35-00-50
მალენკოვი – 19.35-23.10
მერკულოვი – 19.45-20.05
ბერია 22.40-00.05
მიქოიანი – 23.30-00.50
მერკულოვი – 00.00-00.15

როგორც ხედავთ, 29 ივნისს მთელი საღამო – 19.35 საათიდან თითქმის ღამის პირველ საათამდე სტალინთან მხოლოდ მოლოტოვმა გაატარა. მაგრამ შუაღამემდე ერთი საათით ადრე, როცა სტალინის კაბინეტში იმყოფებოდა ბერიაც, იქ შევიდა მიქოიანი და მოლოტოვთან ერთად ბოლომდე დარჩა.

ყველა მათ შორის, ვინც იმ დღეს სტალინის კაბინეტში იმყოფებოდნენ, მხოლოდ ეს ორნი იყვნენ პროფესიონალი რევოლუციონერები და სტალინს იცნობდნენ ჯერ კიდევ რევოლუციამდე. და არა მხოლოდ იცნობდნენ, ისინი ერთად ამზადებდნენ ამ რევოლუციას... და ალბათ, ამ დროს, ისინი საუბრობდნენ არა მხოლოდ საქმეზე, არამედ ყველაფერზე.

შემდეგ კი, მომსვლელთა აღრიცხვის ჟურნალში ორი დღის განმავლობაში ჩანაწერი არ გაკეთებულა. აი, სწორედ მაშინ, 29 ივნისის ღამეს, როგორც ჩანს, სტალინი, მოლოტოვი და ბერია აგარაკზე გაემგზავრნენ. 1953 წელს, წერილში, რომელიც ბერიამ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრებს ციხის საკნიდან გაუგზავნა, იგი მოლოტოვს შეახსენებდა:

"თქვენ ძალიან კარგად გახსოვთ რომ ომის დაწყების მძიმე დღეებში, როცა სტალინთან ერთად უახლოეს აგარაკზე გავემგზავრეთ. ჯერ კიდევ მანამდე, საუბარი იყო ერთიანი სამთავრობო ცენტრის შექმნის თაობაზე, რომელსაც სამშობლო უნდა დაეცვა მტრის შემოსევისაგან. მე მაშინ, მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე თქვენ სრულიად დაგიჭირეთ მხარი და წინადადება მოგეცით, რომ გამოგეძახათ გიორგი მალენკოვი... შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ ამხანაგ სტალინთან და დავარწმუნეთ იგი, რომ სასწრაფოდ შექმნილიყო სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი..."

მაშ ასე, ისინი იმყოფებოდნენ აგარაკზე წასულ სტალინთან და თან გაიყოლიეს არა მხოლოდ მალენკოვი, არამედ კაგანოვიჩიც, მიქოიანიც... და, როგორც ჩანს, სტალინთან მათი საუბარი არც თუ მხიარულ ტონზე მიმდინარეობდა – უმხიარულოდ, იმიტომ, რომ ომის დაწყების პირველ დღეებში სტალინი აშკარად არ იქნებიდა კარგ ხასიათზე. გამორიცხული არ არის ისიც, რომ მას ღრმა სულიერი კრიზისი ჰქონოდა.

დროებითი...

მაგრამ სტალინმა ეს კრიზისი რამდენიმე საათში დაძლია და მას რაიმე გავლენა მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე არ მოუხდენია. უკვე პირველ ივლისს სტალინი თავის კრემლის კაბინეტში იმყოფებოდა და ომის დამთავრებამდე არ მიუტოვებია. 1 ივლისს მას ბევრი ხალხი არ მიუღია, სამაგიეროდ 16 საათსა და 40 წუთზე მიიღო ტიმოშენკო და ჟუკოვი.

თუ რაზე ისაუბრეს მათ, მხოლოდ მათვე და ღმერთმა უწყიან, მაგრამ სავარაუდოა, გაცხარებულმა იოსებ სტალინმა მათ პირში მიახალა, თუ რას ფიქრობს მთლიანად წითელი არმიის გენერალიტეტზე. შეიძლება საქმეზეც საუბრობდნენ, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით. სტალინმა ხომ კარგად იცოდა, რომ მალე საკუთარ ხელში უნდა აეღო როგორც ფრონტის, ასევე ზურგის ხელმძღვანელობა.

დიდი სამამულო ომის გაძღოლის მხრივ მთელი ძალაუფლება მიენიჭა მთავარსარდლობის ბანაკს, რომელიც მალე გადაკეთდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამხედრო მთავარბანაკად, იოსებ სტალინის თავმჯდომარეობით.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, აქ ხელისუფლება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის თანახმად ებარა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს. მაგრამ, ახლა მმართველობის ეს ორგანოები ერთ მუშტად უნდა შეკრულიყვნენ. და 1941 წლის 30 ივნისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით შეიქმნა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

აი, რას გვაუწყებს ამის თაობაზე ენციკლოპედიის ერთტომეული **"დიდი სამამულო ომი 1941-1945 წლებში"**, რომელიც გამომცემლობა **"საბჭოთა ენციკლოპედიამ"** დასტამბა 1985 წელს:

"თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა (თსკ), როგორც ომის გაძღოლის კომპეტენტურმა ორგანომ დიდ ძალაუფლებას მოუყარა თავი საკუთარ ხელში. იგი ასეთი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: ი.ბ. სტალინი (თავმჯდომარე), ვ.მ. მოლოტოვი (თავმჯდომარის მოადგილე), წევრები კ.ე. ვოროშილოვი, გ.მ. მალენკოვი. მოგვიანებით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში შეყვანილ იქნენ ნ.ა. ბულგანინი, ნ.ა. ვოზნესენსკი, ა.ი. მიქოიანი"

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენციკლოპედისტებს **"რატომღაც"** დაავიწყდათ, რომ თსკ-ს შემადგენლობაში 1942 წელს იმყოფებოდა კაგანოვიჩიც, ბულგანინი კი თსკ-ს წევრი გახდა მხოლოდ 1944 წელს.

ბოდიშით, მაგრამ სად არის თსკ-ს წევრი 1941 წლის 30 ივნისიდან, თსკ-ს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (ე.ი. სტალინის შემდეგ მეორე კაცი, ხოლო 1944 წლიდან (მისი შექმნის დღიდან) თსკ-ს ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარე ლავრენტი პავლეს ძე ბერია?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

25 ნოემბერი, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი

(პირდაპირი რეპორტაჟი საპროტესტო აქციიდან)

სახალხო კრებაში მონაწილეობის მისაღებად რეგიონებიდან ხალხი ორგანიზებულად მოდის. ამის შესახებ საქინფორმს **''სახალხო კრების''** საინიციატივო ჯგუფის წევრმა განუცხადა, რომელიც საკუთარ ვინაობას მიზეზთა გამო არ ასახელებს. როგორც მან აღნიშნა, სახალხო კრებას დელეგატები ყველა რეგიონიდან დაესწრებიან. ისინი რეგისტრაციას პარლამენტის წინ 13:00 საათზე გაივლიან.

კრება 15:00 საათზე დაიწყება და კენჭი ეყრება პროექტს **„უნდობლობის ვერდიქტი“**, სადაც ხელისუფლების მიმართ უნდობლობაა გამოხატული. მას შემდეგ, რაც ხალხი მიიღებს გადაწყვეტილებას, შესაბამისი სტრუქტურები შეიქმნება. ჩამოყალიბდება გადაწყვეტილების აღსრულების ჯგუფი და ამ ჯგუფს ხალხი ნდობის მანდატს მისცემს. კრების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ დღევანდელ გადაწყვეტილებებს ლეგიტიმურობის ძალა ექნება. მათივე თქმით, ისინი პროცესის დასრულებას სასურველი შედეგის გარეშე არ აპირებენ.

13.30

პარლამენტის შენობის წინ მობილიზებულია საპატრულო პოლიციის ჯგუფები. როგორც საქინფორმის კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, საპატრულო პოლიციის ფორმასა და თეთრ ჟილეტებში გამოწყობილი სამართალდამცავები პარლამენტის შენობას იცავენ, ამასთან სამართალდამცავთა ერთი ჯგუფი ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმყოფება. ამ დროისთვის სრულდება სცენის მოწყობა და მიმდინარეობს ხმოვანი აპარატურის დამონტაჟება. რუსთაველის გამზირზე შეკრებილი საზოგადოება და ჟურნალისტები **„წარმომადგენლობითი სახალხო კრების''** საინიციატივო ჯგუფის წევრების გამოჩენას ელოდებიან. რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მოსახლეობა პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს.
მოქალაქეებმა თავიანთი აზრი საქინფორმს გაუზიარეს. ნონა ახალაია თვლის, რომ პრეზიდენეტი სააკაშვილი დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. **„ხელისუფლების წევრები დაბადების დღეებს პარიზში იხდიან, მე კი ჩემი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის პურის ფული არ მაქვს, ''**- ამბობს ახალია. ყოფილ პედაგოგს, გიორგი მაისურაძეს კი მიაჩნია, რომ სირცხვილია, ისეთი ხელისუფლება ჰყავდეს ქვეყანას, ლისაბონში მეძავების დასაქირავებლად და სასტუმროში გასართობად რომ ჩადის. ამ წუთებში იქ უკვე 3000-ზე მეტი ადამიანია შეკრებილი.

14.00

რუსთაველის გამზირზე პირველი ინციდენტი დაფიქსირდა: ორმა ქალბატონმა აქციის მონაწილეებს კითხვით მიმართა, თუ სად შეიძლებოდა აეღოთ 20 ლარი, რომელსაც **''წარმომადგენლობითი სახლახო კრება''** ურიგებდა რუსთაველის გამზირზე მისულ ადამიანებს. საზოგადოების მხირდან ქალბატონების ქმედებას აგრესია მოჰყვა. საბოლოდ კი, საპატრულო პოლიციის ჩარევით, ინციდენტი ამოიწურა. **''წარმომადგენლობითი სახალხო კრების''** პრესსამსახურის უფროსმა თიკო მჟავანაძემ საქინფორმს აცნობა, რომ შიდა ქართლიდან, კერძოდ კი სურამიდან, ხაშურიდან და გორიდან შეწყვეტილია სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა. მოქალაქეები თბილისკენ საკუთარი მანქანებით მოემართებიან.

14.30

რუსთაველის გამზირზე შეკრებილ საზოგადოებას რამდენიმე წუთის წინ რეგიონებიდან ჩამოსულ დელეგატთა პირველი ჯგუფი, დაახლოებით 500 კაცი, შეუერთდა. ესენი არიან ბათუმის, ხელვაჩაურის, ხულოს, შუახევის, ლანჩხუთის, ქობულეთისა და ქედის წარმომადგენლები. სიღნაღიდან და ქუთაისიდან კი 300-მდე წარმომადგენელი ჩამოვიდა. მათ **''კრების''** საინიციატოვო ჯგუფის წევრი ირაკლი ბათიაშვილის შეეგება. ამ დროისთვის რუსთაველის გამზირზე 4 ათასამდე კაცია შეკრებილი.

15:15

ამ წუთებში პარლამენტის წინ **''წარმომადგენლობითი სახალხო კრების''** აქცია ოფიციალურად დაიწყო. კრება რეჟისორმა და მსახიობმა გოგი ქავთარაძემ გახსნა, რომელმაც მოუწოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს, გიორგი ჭანტურიას, რომ პირველ არხზე განახორციელოს აქციის პირდაპირი ტრანსლაცია. რუსთაველის გამზირზე კრებას ესწრება რუსთავის, მარნეულის, ახალქალაქის, ასპინძის, ბორჯომის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ყვარლის, სენაკის, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და მარტვილის მოსახლეობა. ამ რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანების რაოდენობამ 3 ათასს გადააჭარბა. რუსთაველის გამზირზე მივიდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერებიც. ამ დროისთვის იქ იმყოფებიან ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი, გუბაზ სანიკიძე და სხვები. ამ დროისთვის რუსთაველის გამზირზე 15 000 ადამიანზე მეტი იმყოფება.

15.30

გამომსვლელები მსოფლიოს მოუწოდებენ, დადგეს ქართველი ხალხის გვერდით

ისინი სთხოვენ, დაეხმაროს ქართველ ხალხს ავტორიტარული რეჟიმისგან გათავისუფლებაში.

15.50

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდან ''თბილისი მერიოტამდე'' ტერიტორია ხალხითაა სავსე

ხალხის ნაკადი მატულობს. **''კრების''** საორგანიზაციო ჯგუფის განცხადებით, რეგიონიდან ჩამოსული მხარდამჭერები თბილისის შემოსასვლელებში იმყოფებიან. იმ დელეგატების რეგისტრაცია კი, რომლებიც უკვე პარლამენტთან არიან, ამ წუთებშიც მიმდინარეობს. რეგისტრაციის გავლის უფლება აქვთ იმ დელეგატებს, რომლებიც 35-ზე მეტი ადამიანის ხელმოწერას წარუდგენენ საორგანიზაციო ჯგუფს. დელეგატებს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც 170 ადამიანის ხელმოწერაც კი აქვთ. როგორც სახალხო კრების ორგანიზატორები განმარტავენ, ეს ხელმოწერები მიუთითებს, რომ დელეგატებს სხვა მოქალაქეებისგან ნდობის მანდატი აქვთ. რეგისტრაციის გავლის შემდეგ დელეგატებს სარეგისტრაციო ნომერი ეძლევათ, რომლითაც კენჭისყრაში მონაწილეობენ.

16.00

''სახალხო კრებამ'' საკონსტიტუციო ცვლილებებს უნდობლობა გამოუცხადა

პარლამენტის წინ შეკრებილმა **''სახალხო კრებამ''** 2010 წლის ოქტომბრის საკონსტიტუციო ცვლილებებს უნდობლობა გამოუცხადა. აღნიშნულ საკითხს, რომელიც ხალხის სამსჯავროზე მსახიობმა გოგი ქავთარაძემ გამოიტანა, დელეგატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. როგორც გოგი ქავთარაძემ განაცხადა, 2010 წლის ოქტომბრის საკონსტიტუციო ცვლილებები ბათილად გამოაცხადა ხალხმა, რადგან ისინი ხალხის ინტერესებს არ შეესაბამება, ამ ცვლილებების მიღებაზე ხალხისთვის აზრი არავის უკითხავს.

16.15

სახალხო კრებაზე კრების წესდება დაამტკიცეს

წარმომადგენლობით სახალხო კრებაზე უკვე დაამტკიცეს დღის წესრიგი, აირჩიეს ხმის დამთვლელი და სამანდატო კომისიები. თითოეულ კომისიაში სახალხო კრების ასამდე მხარდამჭერია გაწევრებული. კრებამ მათ ერთხმად გამოუცხადა ნდობა. კრების მონაწილეებს, ასევე, დაურიგდათ სახალხო კრების წესდება, სადაც დაწერილია ის ნორმები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს სახალხო კრებამ. წესდებაში, ძირითადად, საუბარია ქვეყანაში სამართლის უზენაესობის პრინციპების დამკვიდრებაზე, ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის შენარჩნუებით თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ. ასევე, საუბარია აფხაზ და ოს ხალხებთან ნდობის აღდგენის, სასამართლოს, მედიისა და ბიზნესის თავისუფლების შესახებ; თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებზე და სამართალდამცავი სტრუქტურების პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე. წესდებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ სახალხო კრება შედგება იმდენჯერ, რამდენჯერაც ამის აუცილებლობა ქვეყნის დღის წესრიგში დადგება და იხელმძღვანელებს აღნიშნული წესდებით. სახალხო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები კი მიიღება კრებაზე დელეგატთა ხმათა უმრავლესობით. სახალხო კრების მიერ არჩეულ სათათბიროში ორგანიზაციების ან ცალკეულ პირთა მიღების საკითხი გადაწყდება სათათბირო დარბაზის მონაწილე პირთა უმრავლესობით. ეს არის წესდება, რომელშიც, შესაძლოა, კრების დარსულების შემდეგ მცირეოდენი ცვლილებაც შევიდეს.

16.30

„წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ“ სააკაშვილსა და მის მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. პრეზიდენტისა და მთავრობის პირველი პირებისადმი უნდობლობის ვერდიქტი დღეს რუსთაველის გამზირზე მიიღეს. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, **„მიხეილ სააკაშვილმა შერყვნა პრეზიდენტის სამსახურის ღირსება და მისდამი ხალხის ნდობას ძირი გამოუთხარა“. „საქართველოს ხალხი უშუალო დემოკრატიის მეშვეობით თავის თავზე იღებს პრეზიდენტ სააკაშვილის თანამდებობიდან გადაყენების უფლებამოსილებას მისთვის უნდობლობის გამოცხადებით და ქვეყნის დაღუპვისგან გადასარჩენად იმ ძირითად დემოკრატიულ ღირებულებათა დასაცავად, რომელსაც ყოველი ღირსეული ერი ესწრაფვის და აღწევს კიდეც“.** რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ხალხს აღნიშნული ვერდიქტი **„ქართული აკადემიის“** წევრმა გია ბურჯანაძემ გააცნო. პარლამენტის შენობის წინ შეკრებილმა ხალხმა აღნიშნულ ვერდიქტს მხარი დაუჭირა.

16.45

კრებამ რუსთაველის გამზირზე შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა, სახალხო დაუმორჩილებლობა გამოუცხადონ მმართველ რეჟიმს.

16:50

სახალხო კრებამ მასობრივი დაუმორჩილებლობის გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე ამ წუთებში გახდა ცნობილი. ამასთან, საქინფორმისთვის ცნობილი გახდა, რომ აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და არ შეწყდება მანამ, სანამ არ დაინიშნება ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

17:10

დღევანდელი წარმომადგენლობითი სახალხო კრება დასრულდა. რუსთაველის გამზირზე შეკრებილი საზოგადოება სახლებში მიდის. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ აუცილებელია აქციებში საზოგადოების მეტი ნაწილის ჩართვა და აქტიურობა. **„მას შემდეგ, რაც დელეგატები თავიანთი რაიონებიდან, ქვეყნის ყველა სოფლიდან ჩამოიყვანენ მოქალაქეებს, სააკაშვილს უკვე აღარ ექნება იმის რესურსი, ჩვენს მოთხოვნებს არ დასთანხმდეს,''**- აცხადებენ აქციის ორგანიზატორები. **„ჩვენ დღეს დავიშლებით და შემდეგი შეკრების თარიღს გაგაგებინებთ,''** - განუცხადეს აქციაზე შეკრებილ საზოგადოებას.

არნო ხიდირბეგიშვილი

რუის–ურბნისის მიტროპოლიტმა 25 ნოემბრის აქცია აკურთხა და ერსა და ბერს ფეხზე დადგომისკენ მოუწოდა

რუის-ურბნისის მიტროპოლიტმა, მეუფე იობმა წარმომადგენლობითი სახალხო კრება რუის-ურბნისის ტაძარში დალოცა და 25 ნოემბრისათვის დაგეგმილი აქცია აკურთხა. მეუფე იობმა საინიციატივო ჯგუფს წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა და **„წარმატება და მხნეობა“** უსურვა.

სახალხო კრების დალოცვის შემდეგ მეუფე იობმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვითაც მიმართა და საქართველოს დასაცავად ერს და ბერს მოუწოდა.

„საქართველოს ფიზიკური ოკუპაცია უკვე მომხდარია, ახლა კი მისი სულიერი ოკუპაცია მიმდინარეობს. ქვეყნის გადასარჩენად ერი და ბერი ფეხზე უნდა დადგეს,“ – განაცხადა რუის-ურბნისის საკათედრო ტაძარში მეუფე იობმა.

სახალხო კრების საინიციატივო ჯგუფი მეუფე იობის მიერ კრების დალოცვას მიესალმება. მათი თქმით, კრების რუის-ურბნისის ტაძარში დალოცვა მნიშვნელოვანია, რადგან ეს ის ადგილია, სადაც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა.

გურამ ფირცხალავა: „მიშა და კომპანია“ სამშობლოს გვართმევს!

საქინფორმის კორესპონდენტი **''სახალხო წარმომადგენლობითი კრების''** აქციას ესწრებოდა, რომელიც **„ბუკიას ბაღთან“** გაიმართა. შეკრებაზე საზოგადოებას გააცნეს 25 ნომებრისთვის დაგეგმილი დიდი სახალხო კრების მომქედების გეგემა. ჩვენი კორესპოდენტი ესაუბრა ცნობილ მსახიობს - გურამ ფირცხალავას, მას **''სახალხო კრების''** არც ერთი შეხვედრა არ გამოუტოვებია. გურამ ფირცხალავა: – ხალხში რწმენა და იმედი ბრუნდება. გულგატეხილობა და უიმედობა წარსულს ჩაბარდა. ტერორი და შიში, რომლითაც არსებული რეჟიმი სულდგმულობს გაუფერულდა. ყველამ შეიგნო, რომ ესენი არც ისეთი მაგრები არიან, როგორიც ჩანან.

– როგორ ფიქრობთ, ხალხს დარბევის არ ეშინია? ყველას კარგად ახსოვს 7 ნომებერი...

– ზონდერებისა და ვანოს ბიჭების თვითონ მიშას ეშინოდეს! მე ხალხში შიში არ შემიმჩნევია. აღარ გვაქვს შიშის დრო, **„მიშა და კომპანია“** სამშობლოს გვართმევს. ქართულს ინგლისურით ცვლიან, ტრადიციას, წესს, ადათს გვართმევენ. ნახევარი საქართველო ციხეში ზის, ჩვენი თანამოძმეების უდიდესი ნაწილი ქვეყნიდან გადახვეწილია. სიცრუის ჭაობში ჩაგვძირეს, ლაბორატორიად გადაგვაქციეს, სადაც ჩვენზე ცდებს ატარებენ. ამის მოთმენა უკვე შეუძლებელია. ვთხოვ ყველას, ერთად გავუშვათ ეს რეჟიმი სახლში, მან ხომ მრავალი უბედურება მოგვიტანა.

სვანების თვითსახელწოდების მუშუან-ის, ტერმინების ზანარ-ის და მარე-ს ეტიმოლოგიის შესახებ

ქართველური ტომების ეთნიკური სახელწოდებების წარმომავლობის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის წარმომავლობისა და ჭეშმარიტი ისტორიის შესწავლისთვის.

ეთნიკურ-ტომობრივი სახელწოდების წარმომავლობის შესწავლისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტომის, თუ ერის თვისახელწოდების წარმომავლობას. სწორედ თვითსახელწოდების უცოდინარობის გამო ამა თუ იმ ერს სხვადასხვა ეროვნების ხალხი სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს.

„მუშვან-სვანური წყაროებით, მოსხვინიკი. „მოსხვინიკები ხის კოშკებში ცხოვრობდნენ და ამგვარ კოშკებს მოსხვნე ერქვაო“. ივანე ჯავახიშვილი ამბობს, რომ ისინი „მეგრულ-ჭანური შტოს წარმომადგენელი ტომის ხალხი ყოფილა. ტ. I. გვ. 419, აქედანაა სვანების სახელი წარმომდგარი“, — ვკითხულობთ სვანურ-ქართულ ლექსიკონში (იხ. ასლან ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლორული კილო), თბ. 1994).

ტერმინიდან **მუუ-შვან** ქართული სახელწოდების **სვანი**-ს წარმოშობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჩოლორულ კილოზე სვანთა თვითსახელწოდება **მუუშვან**, ცხადია, არ არის ტერმინ **სვანი**-ს თავდაპირველი ფორმა. ეს უკანასკნელი, ჩანს, ჩამოყალიბდა ზემოსვანურ და ლენტეხურ დიალექტებზე მოსაუბრე სვანთა თვითსახელწოდებაზე **მუშუან** ქართული ენის გავლენით, ხოლო ჩოლორული **მუუშვან**-ის მოსხვინიკიდან წარმოშობა საეჭვოდ მიგვაჩნია. ჩვენი ამოცანაა წარმოვაჩინოთ საიდან წარმოსდგა ტერმინი **მუშუან.**

პროფესორების ვარლამ თოფურიასა და მაქსიმე ქალდანის მიერ შედგენილ სოლიდურ **სვანურ ლექსიკონში** ვკითხულობთ:

„მუშნ (ᲝᲨ, ᲨᲐᲜᲠ) ზემოსვანურ-ლენტეხურად, მᲨᲨᲐᲜ (ᲨᲐᲜᲐᲠ) ლაშხურად-სვანი. მᲨᲨᲜ ᲛᲠᲐ ᲛᲠ ᲮᲐᲜᲬᲛ ᲚᲫᲑᲠᲘ ᲫᲘᲜ (ბალსზემოური 11) – სვან კაცს მკვდრის სული ძალიან სწამს. ᲘᲛᲫᲘ ᲐᲫᲖᲘᲑᲐᲜᲮ ᲨᲐᲜᲠ? (ბალსქვემოური 82) – როგორ დასახლდნენ სვანები? ᲐᲚᲔ ᲛᲨᲨᲐᲜ ᲚᲛᲠ (ლაშხური 84) – ეს სვანი ყოფილა. მᲨᲨᲜ ᲛᲐᲠᲔ ᲑᲐᲖᲐᲠᲮᲝ ᲐᲡᲮᲠᲘ ᲚᲐᲦᲐᲯᲐᲠᲫ(სვანი კაცი ბაზარში მიდის სავაჭროდ (იხ. ვ. თოფურია მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ. 2000).

როგორც ვხედავთ, მხოლოობით რიცხვში გამოითქმება: მᲨᲜ (სვანი), ხოლო მრავლობითში კი ᲨᲐᲜᲠ (სვანები). ცხადია, ქართული **სვანი** წარმოსდგა შემდეგი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად:

ᲨᲐᲜᲘ–ᲨᲨᲐᲜᲘ–ᲡᲕᲐᲜᲘ,

ხოლო სვანთა მეგრულ სახელწოდებას **შონი** ჩამოყალიბებამდე შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები უნდა განეცადა:

ᲨᲐᲜᲘ–ᲨᲣᲝᲜᲘ–ᲨᲝᲜᲘ

მაგრამ როგორ წარმოსდგა მუშუან?

დ ო კ უ მ ე ნ ტ უ რ - წ ე რ ი ლ ო ბ ი თ წყაროებში არაფერია თქმული ეთნიკურ-ტომობრივი თვითსახელწოდების **მუშუან**-ის ეტიმოლოგიაზე. გამყრელიძე-ივანოვის აზრით, სვანური პროტოქართულს (ჩვენი აზრით, იგივე იბერიულს) გამოეყო ძვ. წ. აღ-ით სამი ათასწლეულის წინათ. იმ ხანაში, შეიძლება, ჩვენი წინაპრების მეტყველებაში შემოსული ყოფილიყო ხმოვანი ბგერები, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, ძირითადად მაინც გაბატონებული იყო თანხმოვნური მეტყველება. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ **მუშუან**-ი წარმოადგენს სიტყვათა კომპოზიტს, წარმოშობილს არქაული პერიოდის შემდეგი წინადადებიდან: მ შ მ ნ [ჩვენი აზრით, **ა** ბგერა მა (ქართულად, მე)-ს ნაცვეთია, რომლის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო **მ**].

რამდენადაც მეგრული (იგივე იბერიული) ენა ინახავს ბგერების წარმოშობის არქაულ მექანიზმებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთ ამ ენაზე წარმოიშვა მეტყველებაც (იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები , 1999, გვ. 390). ადრე გამოცემულ ნაშრომებში ჩვენ განხილული გვაქვს ბგერების წარმოშობასთან ერთად მათ მიერ მნიშვნელობების მიღების საფუძვლები: მ//მა// მე; შ//შუ//ახსოვს; მ ნ//ან (მესთვის წყარო სოცოცხლისა) //ცა// სამყარო (იხ. კოჩა კოლხი, ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი, თბ. 2004, გვ. 41-57, 60-61; კუკური ფიფია, მეგრული (იბერიული) ენის ბგერათა წარმოშობისა და მნიშვნელობების ზოგიერთი საკითხი, თბ. 2006, გვ. 22-23). მაშინ ახალ იბერიულ ენაზე - ქართულზე მ შ მ ნ ნიშნავს: მე ახსოვს მესთვის წყაროს სიცოცხლისას, ანუ ცას, სამყროს. ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება: მე-თაგან შემდგარი უძველესი ეთნოსის დაბადება ახსოვს მხოლოდ სამყაროს ანუ ეს მოდგმა არის დასაბამიერი. ასეთი შინაარსით ახსოვს სვანურ ენას წინაპართა უძველესობა, რადგან ეთნიკურ ტომობრივ სახელწოდებაში **მუშუან** შემავალი უან//ვან სვანურ ენაზე დასაბამიერს გამოხატავს (ეს ცნობა მოგვაწოდა ცნობილმა მწერალმა და მკვლევარმა გასავ (აკაკი) გასვიანმა. ასეთ შემთხვევაში ჩვენი თვალსაზრისი ემთხვევა მის აზრს, რამეთუ დასაბამიერია ყველაფერი, რომლის წარმოშობა ახსოვს მხოლოდ სამყროს.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, ბგერას მიდრეკილება აქვს გახმოვანებისაკენ და რიგ სიტყვებში ის ხმოვანდება **უ** ბგერით, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაზე ადრე გახმოვანდა ბგერა სიტყვაში **მ** და მივიღეთ **მა შ ან**. შ (ახსოვს) - დღესაც ასე გამოთქვამენ ამ ბგერათა კომპლექსს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში, ხოლო მეგრული ენის მარტვილურ-სენაკურ დიალექტზე აღნიშნულ ბგერათა კომპლექსში ბგერა გახმოვანებულია **უ**-თი და გამოთქვამენ **შუ**. შ ბგერათა კომპლექში ბგერის გახმოვანების შემდეგ **მა შ ან**-ის ნაცვლად მივიღებდით: მა შუ ან-ს (მე ახსოვს ან-ს). ვფიქრობთ, მოგვიანებით განვითარდა ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენა - პროგრესული ასიმილიცია, ე.ი. **უ** ბგერამ დაიმსგავსა წინა **ა** ბგერა და მივიღეთ მუშუან, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო **მა** ბგერათა კომპლექსის თავდაპირველი მნიშვნელობის დავიწყების შემდეგ.

აქ ვერ გავექცევით ერთ გარემოებასაც:

შესაძლოა, როცა დღეს სვანებად წოდებული ეთნოსი გამოეყო პროტოქართულს, ჩვენი აზრით, იგივე იბერიულს და ჩამოუყალიბდათ იბერიულისგან განსხვავებული დიალექტი, ამით უკმაყოფილო იბერებმა მათ დაუსვეს კითხვა: ვინ ხართ თქვენ, იბერიულის მსგავსად მაგრამ მაინც განსხვავებულად მეტყველებთო. ამაზე მათ შეეძლოთ ეპასუხათ: ჩვენ ვართ ის, **მუ(თ) შუ ან**-ც (რაც ახსოვს ან-ს). ეს ნიშნავს: ეს ეთნოსი არის იმდენად უძველესი, ანუ დასაბამიერი, რომელთა საწყისი შეიძლება ახსოვდეს მხოლოდ **ან**-ს, ანუ მარად არსებულ სამყაროს.

ცხადია, ასეთი ახსნა თანამედროვე ენათმეცნირებისათვის მიუღებელია, მაგრამ მთლად გამოსარიცხიც არ უნდა იყოს.

მეცნიერებას ჯერ კიდევ დაზუსტებული არა აქვს, რომელი თანამედროვე ქართველური ენაა უფრო ახლოს პროტოქართულ, ანუ, ჩვენი აზრით, პირველი ცივილიზაციის შემქმნელ ლეგენდარულ იბერთა ენასთან. ამასთან დაკავშირებით სხვადსხვა აზრი არსებობს, მაგრამ რომელია ჭეშმარიტება, დაუდგენელია.

იმის გამო, რომ ბევრი სვანური სიტყვის ეტიმოლოგია თანამედროვე ეტაპზე გაურკვეველია, ფიქრობენ მეგრულთან და ქართლურთან შედარებით, უძველესი და პირველადი არქაული ფორმები სვანურს აქვს შენარჩუნებული. ამიტომ, მათი აზრით, პროტოქართულ ენასთან სვანური უფრო ახლოა, ვიდრე სხვა ქართველური ენები.

როგორც აღვნიშნეთ, გამყრელიძისა და ივანოვის აზრით, სვანური გამოეყო პროტოქართულ ენას დაახლოებით სამი ათასწლეულის წინათ ძვ. წ. აღ-ით; აკად. რისმაგ გორდეზიანის აზრით დაახლოებით მე-15 საუკუნის მიჯნაზე ძვ. წ. აღ-ით მოხდა სვანურის გამოყოფის შემდეგ არსებული პროტოქართული ენის ქართლურად და ზანურად დიფერენცირება, ბოლოს ზანურიც დაიყო მეგრულად და ჭანურად.

ზოგნი კიდევ თვლიან, რომ უძველესი არქაული ფორმები, სვანურთან და მეგრულთან შედარებით, ქართლურს უფრო აქვს შენარჩუნებული და, ამდენად, ქართლური და სალიტერატურო ქართული უფრო ახლოა პროტოქართულთან ვიდრე დანარჩენები (ტ. ფუტკარაძე, ო. მიქიაშვილი).

მეგრული ენის უძველესობას, სხვა ქართველურ ენებთან შედარებით მეცნიერულად ასაბუთებს პროფ ი. ყიფშიძე. მას მეგრული ენა მიაჩნდა უშუალოდ იბერიულ ენად, რომელიც არსებობდა ჩვენთვის ცნობილ კოლხურ კულტურამდე ათასწლეულების წინათ.

სხვებიც კიდევ, ბიბლიურ სამსართულიან ნოეს კიდობანს უკავშირებენ სამ ქართველურ ენას. ისინი ჩვენს წინაპართა პირველი საფეხურის ენად სვანურს მიიჩნევენ, მეორე საფეხურისად - მეგრულს, ხოლო მესამე საფეხურის ენად - ქართულს, თუმცა ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის მეცნიერული საფუძველი, როგორც საერთოდ არ არსებობს, არც მათ გააჩნიათ.

აკად. არნოლდ ჩიქობავას აზრით, სვანური ენა კოლხურისა (ზანურისა) და ადიღეური ენის შერწყმის, სინთეზირების შედეგია. აკადემიკოსის ამ აზრს ადასტურებს სვანური ენის მიერ დღემდე შენარჩუნებული სიტყვებიც, რომელთა ეტიმოლოგიის დადგენა ამ ენის საშუალებით, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება, ხოლო მეგრული ენით - მარტივად.

ლექსიკონებში ვერ ვიპოვეთ საკვლევი ტერმინების ეტიმოლოგია. ვერც სვანური ენის კარგად მცოდნე სპეციალისტებმა დააკმაყოფილეს ჩვენი თხოვნა, მოეწოდებინათ ტერმინების **ზანარ**-ისა და **მარე**-ს ეტიმოლოგია. მათ მიაჩნიათ, რომ **ზანარ** მომდინარეობს ეთნიკური სახელწოდებიდან **ზანი** (თეიმურაზ მიბჩუანი, გერონტი გასვიანი), მაგრამ მათ ვერ ახსნეს თვით **ზანი**-ს წარმომავლობა. ჩვენი აზრით, პირიქით, **ზანი** უნდა იყოს ნაწარმოები სვანური ეთნიკური სახელწოდებიდან **ზანარ**. მაგრამ საიდან უნდა მომდინარეობდეს თვით ტერმინი **ზანარ**?

როგორც თანამედროვე მეგრელები, უძველეს ხანაშიც, ბარში მცხოვრები იბერები მთაში მცხოვრებ თვისტომს უწოდებდნენ **გვალაში** (მთისა). მაგ., გვალაში კოჩიქ გეგმართ (მთის კაცი ჩამოვიდა). ხოლო მთაში მცხოვრები იბერები ბარში მცხოვრებ თვისტომთ უწოდებდნენ რზენიში-ს // რზენაში-ს (ბარისა). მაგ., რზენიში კოჩიქ ეკილ (ბარის კაცი ამოვიდა). დროთა განმავლობაში, ერთიანი ენისაგან, სვანურის გამოყოფის შემდეგ მათს ენაზე **გვალა** შეიცვალა **ლახვ**-თი, ხოლო **რზენი // რზენა - ბარი**-თ, მაგრამ თითქმის შემოინახა პროტოქართულისათვის დამახასიათებელი კუთვნილების გამომხატველი სუფიქსი აშ(ი) და დღეს გამოთქვამენ **ლახვაშ** (მთისა) და **ბარაშ** (ბარისა). ეს მხოლოობით რიცხვში. მაგრამ როცა მრავალს ეხება საქმე, იტყვიან: **ლახვ-აშ-არ** (მთიელები, ზედმიწევნით მთისაები) და **ბარ-აშ-არ** (ბარელები, ზედმიწევნით, ბარისაები). თავდაპირველად, პროტოქართულიდან სვანურის გამოყოფის შემდეგ, სანამ ტერმინი **ბარაშარ** (ბარელები) დამკვიდრდებოდა სვანურ მეტყველებაში, გამოთქვამდენენ: **რზენაშარ** (ბარისაები) (სუფიქსი **არ** მრავლობითობის გამომხატველია).

ალბათ, ქართული ენის გავლენით სვანურ მეტყველებაში სიტყვა ბარის და ბარელების დამკვიდრებით იმავე მნიშვნელობის **რზენაშარ** დავიწყებას მიეცა, როგორც ბარელების გამომხატველი სიტყვა, მაგრამ მათს მეხსიერებას შემორჩა ბარში მცხოვრები თანამოძმეების ეთნიკურ სახელწოდებად, როგორც უწოდებდნენ როცა იბერიულ ენაზე მეტყველებდნენ.

დროთა განმავლობაში ტერმინმა **რზენაშარ** განიცადა შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები: რზენაშარ-ზენაშარ (თავკიდური **რ** ბგერა შეიკვეცა) ზანაშარ (პროგრესული ასიმილაცია, **ა**-მ დაიმსგავსა **ე** ბგერა) ზანაარ (**შ** ბგერა შეიკვეცა) და ბოლოს **რ** ბგერის წინ მჯდარი ორი **ა**-დან ერთი შეიკვეცა და მივიღეთ მეგრელთა სვანური სახელწოდება **ზანარ** (მეგრელები).

სამწუხაროდ ვერც **მარე**-ს ეტიმოლოგია ახსნეს კომპეტენტურმა სვანმა მეგობრებმა. ისინი თვლიან და ჩვენც ვეთანხმებით, რომ **მარე** პროტოქართული ტერმინია, რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აისახა სიტყვების **სამარე**-ს და **ქმარი**-ს შემადგენლობაში. **სამარე**-ს ხსნიან, როგორც კაცის სამყოფელს, კაცისთვის განკუთვნილ სათავსოს, რადგან ცნობილია, რომ ადამიანები ოდესღაც მიწისქვეშა სადგომებში ცხოვრობდნენ, მაგრამ თანდათანობითი განვითარების შემდეგ მათ დატოვეს მიწისქვეშა სადგომი, რომლის შემდეგ **სამარე** სახელად მხოლოდ საფლავს შერჩა.

ქმარ-ს ხსნიან, როგორც შემოკლებულ ფორმას, ნაწარმოებს ორი სიტყვის კომპოზიტისაგან: **ქალის მარე**, ანუ **ქალის კაცი** (**მარე** კაცს ნიშნავს სვანურად), რაშიც ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ თვით **მარე**-ს წარმომავლობას ვერ ხსნიან.

ჩვენი აზრითაც, ტერმინი **მარე** პროტოქართული იგივე ძველიბერიული სიტყვაა, მაგრამ იგი უნდა წარმოადგენდეს სინტაგმას: **მა რე** (მე არის). **მა** // მე; **რე** // არის. ვინაა მე? მე არის კაცი, ადამიანი და ამიტომაც ჰქვია კაცს **მარე**, ანუ მე არის.

რამდენადაც ზემოთ აღნიშნული ტერმინების **მუშუან**-ის **ზანარ**-ის და **მარე**-ს, ასევე **მეგრელისა** და **ქართის** და, კიდევ, მრავალი სხვა თანამედროვე ქართული სიტყვების ეტიმოლოგიას ხსნის მეგრული ენა, მასთან ეს ენა ფლობს სამეტყველო ბგერათა წარმოშობის მექანიზმებს, უნდა ვაღიაროთ, რომ მეგრული, იგივე იბერიული ენა არის დასაბამიერი ენა და ზოგი ვაიმეცნიერის სურვილი მეგრული და სვანური ენები ჩათვლილ იქნეს დიალექტებად, ესაა სურვილი, რომელიც საფუძველს აცლის ქართველი ერის წარმომავლობის ჭეშმარიტ ისტორიას და აშკარად ემსახურება მიხეილ სუსლოვის, სურენ აიგაზიანისა და მათი თანამოაზრეების ვერაგული გეგმის განხორციელებას.

კუკური ფიფია,
“ფაზისის ”აკადემიის
ნამდვილი წევრი

რამაზ კუპრა

ქესატობა, დო არდება,
ვით წანა რე ვა მორკუნა...
ლაგვანს ღვინი ვენიქვანთუ,
ჭა ანწალას ვამკობუნა...
ჩქინ ნახანდი ოზე – კარსი,
მი ენორე, ვა მიჩქუნა,
ირკოჩი ჩქი მაღორენა
ვა მაფინა შურიშ ბუნა...

მონეშ ნახანტა

მორჩე, ქექე მინაფეფი
მენჩურუნა თუდინ ცას,
ბუა ზღუას დუს ინწყუანსი დო
ცა გი მონეშ ნახანტას...

ბირინ კოჩი

შხვაშ ყებურსუ ეკოხე დო
ღვინსი უყურწუასინი,
ნინას უტაბაჩუანსი
“ქემელს” უფუთქუანსინი...
დუნორთისი ღაჭალანსი,
უკუ-მადას თქუანსინი,
ჰამო ბირაშ მანგიორო
გერიცალო ყურანსინი...
თუთას ენორენ ფერ ოსურს
ქურსის უქურსუანსინი,
გარე ირჯვებ თოფურცალო
ყუდეს გიოჭუანსინი

“არგოჟ” ფუთის ქიმკადირთ

გენათ რუმექ, გეითონათ,
ტირუ-ტარუს – ფიასცო,
ფუთიშ ზღვაპის მედეა ხვად
თეშვანს მულირ იაზონს...
“არგოჟ” ფუთის ქიმკადირთ
ჯვეშ ხოპებით დო ნერით,
შეხვალამა ოკო რდუკო
კოლხურ “კუჩხა-ბედინერით”...
სევერინქ თქუ: ქუმობღუთი,
“არგოთ” ერქემხუნაფილო,
ოკოლხეში სიცოდილით
იბრუქ თოლებმუნაფილო...
ტიმ სევერინს ქუმვოშინი:
– მი ვორეთ დო სოვრე მურთი,
კოლხურ მორდებიანობათ
ფუთიშ მინალს რაგად გუთი...

კახურ ბირათ მიდაზარეს
ჯვეშ ფაზისის, ამდღარ ფუთის...

ღორონთ რთხულე, სქან სანთელო!

წაკინდაქ მუთ მომიღესი
ამარ, წოხლე აწომძუნა,
წიმი წირცალო ქიუდა
ჩქი ფარსაკი ვამობძუნა,
წარტ ანდაქ დო წკორო გინირთ,
წაწამს ურჩქილენან ფერო,
შურწაულირიშ ჭყალაქ გერთუ
კერძ-მოჯგირექ გინირთ ნტერო
ირ დღა უჩათ მითანდუნა,
დორთაშ იმენდ ვარე შურო,
ვორეთ წუმოცუმილეთი
ქესატო დო უმინჯურო...
რულაიათ, მალა-მალას,
მოთხოზ, გეყუნს წანას-წანა,
სოიშახ ოკო ენობდირათ
შხვაშ ოზეს დო შხვაში ყვანას...
ნექ გინომილ, ღვალეფ მაფუ
ქინჯილოჯიშ მაყვინთელა,
ჩქინ ყუდეშა დუმორთინეთ
ღორონთ რთხულე, სქან სანთელო!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი წლის წინ და ოცი წლის შემდეგ...

გავიდა ოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც **"მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო"**-ს საარჩევნო ბლოკმა კანონიერების სრული დაცვით დამაჯერებლად გაიმარჯვა. უზენაეს საბჭოში 155 დეპუტატი გაიყვანა.

ეს გამარჯვება **იოლი არ იყო**. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩანერგილმა **სუკ**-ის **აგენტებმა, ბეცმა და ამბიციურმა** ლიდერებმა, **წითელმა ინტელიგენციამ** შესძლეს ეროვნული მოძრაობის გახლეჩვა და შემდგომ კანონიერი ხელისუფლების დამხობა იარაღის ძალით.

1990 წლის მარტში გაიმართა საგანგებო კონფერენცია, რომელიც შეეცადა პარტიულ საწყისებზე ორი დაპირისპირებული მხარის გამაერთიანებელი ორგანოს – ეროვნული ფორუმის შექმნას. ეს წამოწყება **"იმელის"** შენობაში **"მხედრიონელთა"** პროვოკაციული სროლების შედეგად ჩაიშალა.

კონფერენციაზე ზვიად გამსახურდიამ მოითხოვა ამ პროვოკაციის მომწყობი ორგანიზაციის დაგმობა, მაგრამ ამ სამართლიან მოთხოვნას მხარი სხვა ორგანიზაციებმა არ დაუჭირეს.

შერიგება-გაერთიანება არ მოხდა. ფორუმში დარჩენილმა პარტიებმა ბრძოლა გამოუცხადეს **"მრგვალ მაგიდა – თავისუფალ საქართველოს"**.

ფორუმელებმა 1990 წლის 23 მაისს მოიწვიეს **"ეროვნული ყრილობა"**, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება **"ეროვნული კონგრესის"** არჩევნების შესახებ.

ამ გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ამართლებდნენ: **არ შეიძლება მონაწილეობა მივიღოთ იმ ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში, რომელსაც ვებრძვითო.**

მახსოვს ირაკლი წერეთელი იმასაც კი მოითხოვდა, რომ **ჯერ გაერო გვეიძულებინა საქართველო ეღიარებინა როგორც კოლონია და ამის შემდეგ გვებრძოლა მის გასანთავისუფლებლად!**

ბედკრულ საქართველოს ჰყავდა და ჰყავს მსგავსად მოაზროვნე პოლიტიკოსები!

ამავე წლის სექტემბერში ჩატარდა **"ეროვნული კონგრესის"** არჩევნები. მისმა ლიდერებმა კონგრესი არჩეულად გამოაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებზე თითო-ოროლა კაცი თუ მივიდა. ეს არჩევნები სამარცხვინოდ ჩაფლავდა.

ბრძოლა ეროვნული ხელისუფლების და პირადად ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ამით არ დამთავრებულა. **პროვოკაცია, ცილისწამება, დაბეზღება – აი, მათი საბრძოლო არსენალი!**

ისტორიკოსი მიხეილ მჭედლიშვილი ასე აღწერს კონგრესმენთა **"პოლიტიკურ პატიოსან"** ბრძოლას: **"ყველაზე უფრო ამაზრზენი ის იყო, რომ თავიანთი კარიერისტული მიზნების მისაღწევად, თვით საკუთარ სამშობლოსაც არ ზოგავდნენ. ასე მაგალითად, იმ დროს, როცა ოსებმა თვით გამოდევნეს ქართველობა სამაჩაბლოდან, გიორგი ჭანტურიამ პრაღაში გამართულ ნაცუმცირესობათა კონფერენციაზე, საქართველოს პრეზიდენტის სახელის გასატეხად, პირიქით, ქართველებსა და მის პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას დასდო ბრალი "ოსების გენოციდში", რისთვისაც მჭუხარე ტაშით დაჯილდოვეს იგი იქ დამსწრე სომხურმა და აზერბაიჯანულმა დელეგაციებმა"** (**"საქართველო ბოროტების იმპერიის 500-წლოვან მარწუხებში"**, თბილისი, 2004 წელი, გვ. 457).

როგორც ჩანს, **პრეზიდენტის სახელის გასატეხად "მერსედესით" მგზავრობა უცხოელთა თვალში ეფექტური არ გამოდგა და ამიტომ ოსების გენოციდი დააბრალეს!**

ამგვარ ბეზღობას, ცილისწამებას უცხოეთში მცხოვრები ქართველები ძმები გუდავები, ჯ. კაშია და სხვანი დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით ავრცელებდნენ!

ჯერ კიდევ 28 ოქტომბრის არჩევნებამდე ბევრად ადრე, **ზვიად გამსახურდიას ბელადომანიას აბრალებდნენ,** ხოლო ქართველ ერს ვანდალებსა და კერპთაყვანისმცემლებს უწოდებდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა გაზეთი **"ქართული ფილმი"**...

ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს აქეზებდნენ, მხარს უჭერდნენ და მათ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს იდეოლოგიურად უზრუნველყოფდნენ ქართველი ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, მწერლები... მეცნიერების და ხელოვნების მუშაკები, ანუ ინტელიგენცია... მათი მზაკვრული, ვერაგული, მოღალატური პოზიციის გარეშე ვერავითარი ჯაბა-კიტოვან-სიგუა მოახდენდა სახელმწიფო გადატრიალებას, რომელსაც ბატონი ელიზბარ ჯაველიძე ასე აფასებს: **"1992 წლის 6 იანვარს დაიწყო საქართველოს სრული გახრწნა და სულიერი დაცემა, რაც დღემდე გრძელდება უფრო მეტი თავზარდამცემი სისწრაფითა და სიმძაფრით"** (**"ავაჰმე, ჩემო მამულო!.."** თბ. 2007წ. გვ. 22).

მარქსისტი-ფილოსოფოსი მ. მამარდაშვილი, რომელმაც მთელი თავისი **"ფილოსოფიური"** მოღვაწეობა ბოლშევიზმის განდიდება-განმტკიცებას მიუძღვნა, 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნული ძალების დიდი უპირატესობით გამარჯვებამ უცვლ **"გარდაქმნა"** და განაცხადა: **"საქართველოში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა სუფთა სახით".**

ეს ცნობილი კოსმოპოლიტი, დემაგოგი, ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი, პუტჩისტების მიერ **"ბრძენკაცად"** მონათლული არარაობა თავის **"ფილოსოფიურ"** ნაცოდვილარში წერს: **"ქართული ხასიათი ეფუძვნება კერპთაყვანისმცემლობის მოთხოვნილებას, ყალბად გაგებულ პატრიოტიზმს, ჩამორჩენილობას, საკუთარ თავში შეყვარებულობას, ამპარტავნობას, რწმენას, რომ ყველაზე კარგები, ჭკვიანები ვართ"**!

ეროვნული ნიჰილიზმის დამკვიდრებაში, ქართული ხასიათის დამცრობაში მამარდაშვილს არც სხვები ჩამორჩნენ.

ცნობილი ფილოსოფოსი ნიკო ჭავჭავაძე, რომელიც თავის დროზე საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას მხარს უჭერდა და ცდილობდა ქართველთა შორის პატრიოტიზმის გაღვიძებას, 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რატომღაც ისე გარდაისახა, რომ ერის პატრიოტული აღტკინება **"მასობრივ ფსიქოზად"** მიაჩნდა. 90-იან წლებში ქართველი ერის ერთ მუშტად შეკვრას, მის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი ლიდერების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასადმი ერთგულებას ხსნიდა ქართველი კაცის ზედმეტი ემოციურობით, ამბიციურობით და ფსიქოზური განწყობის გამოვლენით. ცოტა მოგვიანებით, როცა შევარდნაძემ აფხაზეთი რუსეთს ჩააბარა პრეზიდენტის ტახტის სანაცვლოდ, ბატონი ნიკო **"ზედმეტად ემოციურ"** ქართველებს იმით გვამშვიდებდა, რომ **ძირძველი მიწების დაკარგვას ძველი ტანსაცმლის გადაყრას ადარებდა!**

ფილოსოფოსებს არც ფსიქოლოგები ჩამორჩნენ.

მთელი მათი ფსიქოლოგიური **"ცოდნა"** მიმართული იყო და არის იქით, რათა ქართული ეროვნული ფენომენი დაეკნინონ, ქართული ხასიათი წარმოაჩინონ უარყოფითად, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა წარმოაჩინონ ნეეროფილურ მოძრაობად, როგორც ფსიქიკურად არაჯანსაღი ერის, ბრბოს ამბოხად... მათი მიზანია ქართველი დედის კულტის ამოძირკვა, ქალწულობის ინსტიტუტის მოშლა, ეროვნული ღირსების, თავმოყვარეობის, ეროვნული გრძნობების მოსპობა... ჩამონათვალი აშკარად ესადაგება ჟიდო-მასონთა, **"ახალი მსოფლიოს არქიტექტორთა"** პროგრამას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ფსიქოლოგ-სოციოლოგები ნ. სარჯველაზე, ბ. ჩეკურიშვილი და სხვანი ასრულებენ უცხოეთის გარკვეული ძალების დაკვეთას და მათი ამგვარი ნაშრომები სათანადოთ ფინანსდება (**"ავაჰმე, ჩემო მამულო!..",** გვ.57).

ამ ვაი-მეცნიერებს არც ქართველი მწერლები ჩამორჩნენ.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, განსაკუთრებით ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, სამწუხაროდ და საუბედუროდ, მწერლების დიდი უმრავლესობა, აგრეთვე მსახიობები, რეჟისორები, ლიტერატორები, კრიტიკოსები დაუპირისპირდა ქართველი ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას, პირადად ზვიად გამსახურდიას.

აი, როგორ ცდილობს ეს ინტელიგენცია უცხოელი ჟურნალისტის დარწმუნებას გამსახურდიას დიქტატურაში... აჯანყების აუცილებლობაზე... რუსის ჯარის ნეიტრალიტეტში...

ვნახოთ, რას წერს ფრანგი ჟურნალისტი პეტერ შოლლატური, რომელიც პუტჩის დღეებში თბილისში იმყოფებოდა: **"ჩვენი მასპინძლის სახლში თავი მოეყარათ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მწერლებს, პროფესორებს. მანდილოსნები ყველაზე მეტად აქტიურობდნენ და საუბარს მძაფრ ტონს აძლევდნენ. ქალები ირონიით და დაცინვით მოიხსენიებდნენ მათ მიერ დიქტატორად შერაცხულ ზვიად გამსახურდიას... "ოჰ, ეს ზვიად მეფე",– ქირქილებდნენ წარამარა განუწყვეტელ სადღეგრძელოებსა და ერთმანეთისადმი გაუთავებელ დითირამბებს შორის... ჩემი მდიდარი მასპინძლის ოჯახში ინტელიგენტები მიმტკიცებდნენ, რომ საქართველოში დაბანაკებული რუსის ჯარი ერთმანეთს დაპირისპირებულ ძალთა შორის არ ერევა. თითქოს სანიმუშოდაც კი იქცევიან, მაგრამ სინამდვილეში არსებობს საიდუმლო არხები, რომლის მეშვეობითაც პუტჩისტებს КГВ-ს აპარატი აიარაღებს"** (ჟურნალი **"კარდუ-2000"**, №3, 1996წ. გვ. 36-37).

რა ვუწოდოთ ამგვარ ინტელიგენციას?

ეს ინტელიგენცია დიდი ზარზეიმით შეხვდა შევარდნაძის თბილისში დაბრუნებას. დაიწყეს მისი ბინძური გულის და მუნდის ლოკვა. **"იგი უნიჭიერესი კაცია, უშიშარი, ჭკვიანი, ბრწყინვალე პოლიტიკოსი, სოციოლოგი და თუნდაც ფუტუროლოგია... შორსმჭვრეტელი, ჩვენი უპირველესი მტრის უბადლო ექსპერტი, მთელ მსოფლიოში პოპულარული დიპლომატი, კონტაქტების დამყარების ნამდვილი გენიოსი, შეუდრეკელი პიროვნება, მომხიბლავი ადამიანი, გველივით ბრძენი, ლეოპარდივით ულმობელი..."** – წერს ცნობილი პოეტი (გვარს არ დავასახელებ, რადგან იგი ამ ინტელიგენციის სახეა, ტიპია ტიპიურ გარემოში).

როგორც მოსალოდნელია ამგვარი ინტელიგენციისაგან, მამამარჩენალს უცვლ ზურგს შეაქცევს და ახალ პრეზიდენტს ჩვეული უტიფრობით ემლიქვნელება: **"ჯერ კიდევ როდის იწინასწარმეტყველა რუსთაველმა ის, რაც საქართველოში მოხდა – შევარდნაძის წასვლა და სააკაშვილის მოსვლა... ვარდების ფონზე!..", "ჩემი ნება რომ იყოს, საქართველოში 21-ე საუკუნის ათვლას 2003 წლის 23 ნოემბრიდან დავიწყებდი!"**

აი, ამგვარი ინტელიგენცია ებრძოდა კანონიერად არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებასა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას!

"განა ასეთი პარლამენტი, ხელისუფლება ეკადრებოდა ნორმალურ ქვეყანას, ჩვენ რომ გვყავდა? ვინ არიან, საიდან მოვიდნენ ეს ხალხი?სად, რომელ კუთხეში არ მყავს ნაცნობ-მეგობრები, მაგრამ რამდენიმე კაცის გარდა ამ პარლამენტის წევრთაგან არც არავის ვიცნობ და არც არაფერი მსმენია მათზე. მე ვკითხულობ, საიდან მოვიდნენ ეს ადამიანები... გუშინდელმა ხელისუფლებამ დახურა კინოსტუდია, ტელევიზია, ორად გახლიჩა ქვეყანა, დევნიდა განსხვავებულ აზრს... ამიტომაც ჩავდექი ოპოზიციაში!" – წერდა ცნობილი მსახიობი (**"ლიტერატურული საქართველო"**, 17.01.1992 წ.). გვარს არ დავასახელებ ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო.

ბატონო მსახიობო! პარლამენტის კრიტერიუმად ძმაკაცობა, ძველბიჭობა, ნაცნობ-მეგობრობა, ნათლიმამობა არ გამოდგება!

ის ხალხი, რომელსაც მსახიობი ვერ ცნობს და არ იცის საიდან მოვიდნენ, საქართველოს შვილები არიან და პარლამენტში ეროვნული მოძრაობიდან მოვიდნენ. **მათი თავგანწირული ბრძოლის შედეგია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა!**

ეს ხალხი ცნობილ **"აქტივის კრებაზე"** წითელი ინტელიგენციის მსგავსად არავის მოუწვევია და ტაშის ცემით არ გამოუხატავს 9 აპრილის ტრაგედიის ნახვის სურვილი... ერთი რეჟისორი, ლავრენტიჩად წოდებული, მოითხოვდა გამსახურდიას ადგილზე ლიკვიდაციას. საუბედუროდ, ეს ერთი კაცის მანიაკალური ახირება არა ყოფილა, სხვებიც მოითხოვდნენ... ამ ადამიანებს 9 აპრილის ტრაგედიისა და სამხედრო გადატრიალების დროს დაღუპულთა სისხლში აქვთ ხელები გასვრილი და მონანიების ნაცვლად ქართველ ხალხს კვლავ მოძღვრავენ...

ზვიად გამსახურდიას მიერ **"დახურული"** კინოსტუდია დღეს საერთოდ აღარ არსებობს, ხოლო ტელევიზია ქართული ენის, ქართული ცნობიერების, ქართული კულტურის და, საერთოდ, ადამიანის ზნეობის გადაგვარების ზემძლავრ საშუალებად რომ აქციეს, ამას ბატონო მსახიობი და ძმანი მისნი კარგად უნდა ხედავდნენ, მაგრამ ისინი მუდმივად ვერაფერს ხედავენ, არაფერი ესმით, არ სურთ აღიარონ და მოინანიონ დანაშაული!

ისტორიკოსი მიხეილ მჭედლიშვილი **"წითელი ინტელიგენციის"** ამგვარ ანტიეროვნულ პოზიციაზე დოგმას, ანუ მოღალატურ პოზიციას, იმით ხსნის, რომ მათ დაკარგეს ის კომფორტი და მატერიალური კეთილდღეობა, რაც მათ **"კომუნიზმის"** საქებარი ლექსების წერაში, კინოფილმებისა და თეატრალური დადგმებისათვის ენიჭებოდათ.

ზვიად გამსახურდიამ, მთელს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის მიხედვით, ასე დაუყენა საკითხი: გამოეცით თქვენი ნაშრომები თქვენივე ხარჯით და ჰონორარიც მიიღეთ იმის მიხედვით, როგორი მასშტაბითაც იგი გასაღდებაო.

"მაგრამ ეს როდი აწყობდათ კომუნისტური ხელისუფლების მიერ გაზულუქებულ ჩვენს წითელ ინტელიგენციას. ამიტომ, იმით დაიმედებულნი, რომ დაგვიბრუნდება თუ არა ედუარდ შევარდნაძე, კვლავაც არ მოგვაკლებს ჩვეულ კომფორტსო", მარტო სიტყვით კი არა, იარაღითაც დაუპირისპირდნენ ეროვნულ ხელისუფლებას, რისთვისაც შევარდნაძის გულითადი მადლობა დაიმსახურეს იარაღის ხელში აღებისათვის. "მე თვითონ ვარ მოწმე, როგორი ველური აღტკინებით ლოშნიდნენ ერთმანეთს ეს არაკაცები ასეთი შეძახილებით: გავიმარჯვეთ! დავამარცხეთო!

უბადრუკთ, პირადი ამბიციებით შეპყრობილთ, ვგონებ არც ესმოდათ, რომ ეროვნული მთავრობის დამარცხებით თვით საქართველო დაამარცხეს..." (**"საქართველო ბოროტების იმპერიის 500-წლოვან მარწუხებში"**, თბილისი, 2004 წელი, გვ. 459).

28 ოქტომბრის არჩევნებიდან ოცი წლის შემდეგ საქართველოს ჰყავს ისეთი **"ოპოზიციონერი"** პოლიტიკოსები, რომლებიც დიდად არ განსხვავდებიან **"პადოშასაგან"**!.. მათი უმრავლესობა ებრძოდა ეროვნულ ხელისუფლებას, რაც შევარდნაძემ დაუფასა და დეპუტატის მანდატები და სარფიანი თანამდებობები დაურიგა... შემდგომ, რაღაც მიზეზთა გამო დეპუტატები რომ ვერ გახდნენ და სარფიანი სამსახურებიც დაკარგეს, შევარდნაძეს ოპოზიციაში ჩაუდგნენ და **"ვარდების რევოლუციის"** მებრძოლებად მოგვევლინენ... გახდნენ დეპუტატები, მინისტრები, სარფიანი სამსახურების უფროსები...რაღაც მიზეზთა გამო დეპუტატობა და შემოსავლიანი სამსახურები რომ დაკარგეს, მაშინვე ოპოზიციონერების ქურქში გაეხვივნენ ყოფილი ვიცე-სპიკერები, მინისტრები, პრემიერ-მინისტრები... კომუნისტებისაგან ნაშობი მოქკავშირელები, მოქკავშირიდან ნაშობი ნაცები, ნაცებიდან ნაშობი ქრისტიან-დემოკრატები, ქრისტიან-კონსერვატორები, არაქრისტიანი დემოკრატები, არაქართული პარტიები, ქართული პარტიები და ა.შ, და ა.შ.

ეს ე.წ. **"ოპოზიციონერები",** ერთ დროს ძალაუფლებით აზავებულნი სასტიკად, გულბოროტად ებრძოდნენ ყოველივე იმას, რასაც დღეს სიტყვით თავგამოდებით იცავენ, რისი დაცვაც ცხოვრების მიზნად დაუსახავთ!

არა მგონია, ბუნებაში არსებობდნენ ისეთი ცოცხალი ორგანიზმები, რომელთაც ჰქონდეთ ჩვენი ოპოზიციონერების მსგავსი მეტამორფოზის, შეგუების, გარდასახვის, მიმიკრიის გასაოცარი უნარი!

ეს ადამიანები, ახალ-ახალ ორგანიზაციებში გაერთიანებულნი, იბრძვიან ძალაუფლებისათვის რათა შური იძიონ მათზე, ვინც ერთგულება არ დაუფასეს და **"უპარდონოდ"** დაატოვებინეს პარლამენტის შენობა და მინისტრის პოსტები!

ეს ადამიანები ცდილობენ ამომრჩეველთა გულის მოგებას დემაგოგიით, სიცრუით, დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე გაუთავებელი ლაყბობით...

საქართველო ემზადება ახალი ხელისუფლის დაბადებისათვის შორს, თეთრ სახლში მორჭმით მჯდომარე ამერიკელი ბებია-ქალი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს მშობიარის ტკივილებს, ნაყოფის ვარგისიანობას და როცა დრო მოვა, მისი დახმარებით საქართველოს ახალი ხელისუფალი მოევლინება და თან აუცილებლად შევარდნაძე-უხსენებლის პოლიტიკის გენეტიკური მემკვიდრე!

28 ოქტომბრის არჩევნებიდან გავიდა ოცი წელიწადი და კოლხიბერიული მოდგმა კვლავ არჩევნის წინაშეა: ან ქრისტეს გზა, ან ბარაბას გზა!

იმედი მაქვს, პოლიტიკური ბრძოლის არენაზე გამოჩნდება ახალი პოლიტიკური ძალა, ფსევდოოპოზიციონერთა გარეშე, მამულიშვილები, პატრიოტები, სამშობლოს ინტერესების დამცველნი, გენეტიკურად ძველქართველნი, იბერიელნი, რომლებიც შესძლებენ ამერიკელი ბებიაქალის ჩამოშორებას და ქართველ ერს საშუალებას მისცემენ თავად აირჩიოს ხელისუფლება, ოცი წლის წინ ზვიადის მიერ მითითებული გზა!

თენგიზ კუბლაშვილი

ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს ანზორ შონიას ამავე სახელწოდების წიგნიდან



ცნობილი ქართველი ისტორიკოსები რადაცნაირად თავს იკავებენ ცნებების – კოლხეთის (ეგრისის) და კოლხების (ეგრების) არა მარტო ზოგადქართული მნიშვნელობის აღიარებისაგან, არამედ ეჭვქვეშ აყენებენ იმას, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ძირითად მოსახლეობად მოიაზრებიან მეგრელები და მათ სამეტყველო ენად – მეგრული. თითქოს რაიმე ჩრდილი ადგებოდეს ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ტერიტორიაზე დასახლებული წვრილ-წვრილი ტომების და ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში წარმოჩენილ საერისთავოების მკვიდრების პატივსა და ღირსებას, თუ მათი საერთო სახელი იყო მეგრელი, რომელსაც ბერძნებმა უწოდეს კოლხი, მათი სამეტყველო ენა კი – მეგრული, ან მისი რომელიმე კილოკავი.

წყაროთა უქონლობის გამო, ძნელია დადგინდეს კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახლებული წვრილ-წვრილი ტომების ვინაობა, ეთნოსი, სამეტყველო ენა და ა.შ., თუმცა, ვფიქრობ, არსებობს რეალური საფუძველი, რათა ისინი მივიჩნიოთ მეგრელებად, რომლებიც ამ სახელებით იმიტომ შემორჩნენ ისტორიას, რომ ცხოვრობდნენ ეგრისის იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ.

ყოველ შემთხვევაში, ეს სიტუაცია მეტნაკლებად გასაგებია, მაგრამ ქართველ მეცნიერებს არ ეპატიებათ, რომ დაახლოებით იგივე სიტუაციაა ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში ეგრისის სამეფოში წარმოჩენილი საერისთავოების მკვიდრების ვინაობისა და სამეტყველო ენის საკითხში, მაშინ, როდესაც მათი ზუსტი ვინაობის დასადგენად საკმარისზე მეტი მასალა არსებობს. სხვა თუ არაფერი, ის, რომ ბერძნებმა ეგრისის სამეფოს დაარქვეს კოლხეთი და მის მკვიდრ მოსახლეობას – ეგრებს (მეგრელებს) კოლხები, მეტყველებს იმაზე, რომ, დასავლეთ საქართველო მთლიანად ერთი სამეფო იყო და მისი მოსახლეობა ერთგვაროვანი.

შესაძლებელია, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს მთელი მოსახლეობა მხოლოდ მეგრელები არ ყოფილიყვნენ, მაგრამ, ვფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს, რომ მოსახლეობის ძირითად ნაწილს მეგრელები შეადგენდნენ: მით უმეტეს, დასახლებული წვრილ-წვრილი ტომებიდან ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში თითქმის არცერთი არ შემორჩა, მეგრელების გარდა. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ეგრისის სამეფოში თუ ცხოვრობდნენ შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით სხვადასხვა ტომები, ჩანს, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში დამთავრდა მათი ასიმილირება მეგრელების მიერ.

მართლაც, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ეგრისის სამეფოში უკვე აღარ ჩანან წვრილ-წვრილი ტომები, მაგრამ წარმოჩინდნენ ახალი საერისთავოები – მარგვეთის, აფხაზეთის და ლაზეთისა; სათანადოდ, იქ მცხოვრები მეგრელები პირობითად იწოდებოდნენ მარგველებად, ლაზებად და აფხაზებად.

სხვათა შორის, ბიზანტიის იმპერიის წარმოქმნის ეპოქაში (IV საუკუნე), ეგრისის სამეფოს სათავეში იმყოფებოდა ლაზიკის საერისთაოს მმართველი დინასტია, რის გამოც ბიზანტიელები ეგრისის სამეფოს უწოდებდნენ ლაზიკის სამეფოს და მკვიდრ მოსახლეობას ლაზებს, თუმცა ქართულ და სომხურ წყაროებში დასავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს ყოველთვის ეგრისის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, ხოლო მოსახლეობას – მეგრელებად.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებას თითქოს რეალური ალტერნატივა არ გააჩნია, მეცნიერებს ამ საკითხზე ერთი აზრი არ აქვთ; მეტიც, მათი ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები ამ საკითხზე ეჭვქვეშ აყენებს ეგრისის სამეფოს მოსახლეობის ერთგვაროვნებას, მათში საერთო ეთნოსის არსებობას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქართველი მეცნიერები შეგნებულად არიდებენ თავს ეგრისის მოსახლეობის საერთო სახელად მეგრელი აღიარონ, განსაკუთრებით ეგრისის საერისთავოების მკვიდრების მარგველებთან, აფხაზებსა და ლაზებთან მიმართებაში.

მართალია, მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ ბერძნებმა ეგრისის სამეფოს დაარქვეს კოლხეთის სამეფო და მის მკვიდრ მოსახლე ეგრებს – კოლხები, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არც მეცნიერულ შრომებში, არც დიდ ქართულ ენციკლოპედიაში, არც სასკოლო სახელმძღვანელოებში არ წერია, თუ ვინ მოიაზრებოდა ეგრებში და რა ენაზე მეტყველებდნენ ისინი, მაშინ, როდესაც ქართველ მეცნიერებს ჰქონდათ როგორც მეცნიერული, ისე მორალური უფლება ეთქვათ, რომ ეგრები იგივე მეგრელებია და მათი სამეტყველო ენა, ბუნებრივია, იყო მეგრული.

მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა მეგრელების საერთო სატომო სახელად მიიჩნევდა **"ზანს"** და ამას მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე ამბობდა, თითქოს **"ზანი"** იგივე იყო, რაც **"სანი"**, როგორც უწოდებდნენ ბერძენი სწავლულები მცირე აზიაში, ტრაპეზუნტის მიმდინარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს, თუმცა დადგენილი არ არის, ისინი **"სანებად"** ჭანებს მოიხსენიებდნენ, ჰენიოხებს თუ სხვას.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ვარაუდობდა, რომ სამხრეთ კოლხებს ერქვათ **"სანები"** და ჩრდილოეთ კოლხებს **"ზანები"**; ალბათ უმჯობესი იყო ეხმარა სამხრეთის მეგრელები და ჩრდილოეთის მეგრელები, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი უწოდებდა მათ.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რამ აიძულა ისინი ეს გაეკეთებინათ, როდესაც არავითარი ისტორიული წყარო არ არსებობს, რომ მეგრელებს ოდესმე ზანები რქმეოდათ. არც ხალხშია ასეთი რამ ცნობილი. მით უმეტეს, გაუგებარია მეცნიერის, ბატონ არნოლდ ჩიქობავას მოსაზრება, თითქოს ზანი მეგრელების საერთო სატომო სახელია; მაშინ რაღაა თვითონ დასახელება **"მეგრელი"**, თუ არა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის საერთო სახელი? – ვერ გეტყვით, სხვები რას ფიქრობენ ამ საკითხზე, ვინაიდან არცერთ ქართველ მეცნიერს სადაოდ არ გაუხდია ბატონ არნოლდ ჩიქობავას ვარაუდი. ვფიქრობ, აქაც ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც ბატონ თამაზ გამყრელიძესთან: ეტყობა ის, რომ კოლხებში მოიაზრებიან მეგრელები და ისინი ითვლებიან კოლხური კულტურის შემოქმედებად, გარკვეული წრეების გაღიზიანებას იწვევდა, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ საზოგადოებისათვის რაღაც სხვა ვერსია შეეთავაზებინათ, თუნდაც რამდენადმე აბსურდულიც კი.

დღეს ძალზე ძნელი სათქმელია, თუ რას ითვალისწინებდა დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს ძირითადი მოსახლეობის საერთო სახელი **"მეგრელის"** ხელოვნურად მოგონილი ტერმინით **"ზანით"** შეცვლამ მაგრამ, ვფიქრობ. ამას არავითარი გამართლება არა აქვს, და აი რატომ: ეს ერთგვარად შეურაცხყოფას აყენებს მეგრელების ღირსეულ წინაპრებს, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე ამაყად ატარებდნენ მეგრელის სახელს, და ეჭვქვეშ აყენებს მეგრელების დამსახურებას საქართველოს წინაშე.

ის, რომ ე.წ. **"ზანურ"** ტომებად ითვლებიან მხოლოდ მეგრელები და ლაზები (ჭანები), აშკარად საშიში დატვირთვის მატარებელია. ჯერ ერთი, ეს მოასწავებს იმას, რომ თითქოს მეგრელები და ლაზები ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ეთნიკური ჯგუფები არიან, მაშინ, როდესაც ეგრისი და მეგრელები არსებობდნენ უხსოვარი დროიდან (ძველი წელთაღრიცხვის XIV-XV საუკუნიდან მაინც), ხოლო ლაზიკა და ლაზები ეგრისის სინამდვილეში წარმოჩინდნენ მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. ლაზიკა ეგრისის ერთ-ერთი პროვინცია იყო და ლაზები მეგრელების ტერიტორიული ჯგუფი, როგორც ეს სწერია **"ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში"**. უფრო სწორად, ეგრისის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოში – ლაზიკაში მცხოვრები მეგრელები იწოდებიან პირობითად ლაზებად.

ანზორ შონია

"ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული განათლების ბნელი ლაქები

რისთვის მოუბოდიშა განათლების მინისტრმა სკანდალურ ინგლისურის მასწავლებელს

ქალაქ ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლაში ცოტა ხნის წინ ატეხილ სკანდალს გაგრძელება მოჰყვა.
პროექტ **„ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“** თანახმად, ამ სკოლასაც მიუჩინეს უცხოეთიდან ჩამოყვანილი ინგლისურის მასწავლებელი.
ამ სკოლას **„გაუმართლა“** და ზუგდიდელ ბავშვებს ინგლისურ ენას 22 წლის თომას ფლეთჩერი ასწავლის, რომელმაც სოციალურ ქსელში თავისი ამორალური ფოტოები გამოაქვეყნა. დავით ფიფიამ, რომლის ოჯახში ცხოვრობს თომას ფლეთჩერი, განაცხადა, რომ ესაუბრა უცხოელს, რომელსაც უთქვამს, ბიჭები დავთვერით და ვიმაიმუნეთ, არატრადიციული ორიენტაციის რომ ვიყო, არ დავმალავდი, დასამალი არაფერიაო. რაც მთავარია, ფლეთჩერს გაჰკვირვებია, საქართველოში არატრადიციული ორიენტაცია ასე მკაცრად რატომ განისჯებაო. ამ ამბავმა სრულიად საქართველო, განსაკუთრებით კი ზუგდიდელები გააღიზიანა. ამიტომაც, ჟურნალ **„ღია ბოქლომის“** რედაქტორმა, ჟურნალისტმა ილია ჩაჩიბაიამ გადაწყვიტა, თომას ფლეთჩერს შეხვედროდა და გასაუბრებოდა:
ილია ჩაჩიბაია: - თომას ფლეთჩერით ზუგდიდელების ინტერესი რომ დაგვკმაყოფილებინა, მე და იქაური ჟურნალისტი სოსო ხოფერია ვეწვიეთ დავით ფიფიას, რომელიც ზუგდიდის საავადმყოფოს მენეჯერია. განათლების სამინისტრომ დავით ფიფიას შეუსახლა თომას ფლეთჩერი და მასზე ზრუნვა-პატრონობაც დააკისრა. როცა ოჯახის დიასახლისმა შინ შეგვიპატიჟა, უცებ მისაღები ოთახის კარი გაიღო და ორი სოლიდურად ჩაცმული პიროვნება შეგვეფეთა, რომლებიც, ვფიქრობ, ძალოვანი სტრუქტურების, კერძოდ კი, კუდის თანამშრომლები არიან.
მათ ქუჩაში გამოგვყარეს და მხოლოდ ეს გვითხრეს - ფლეთჩერის ამბავი დამთავრდა და რაღაცების ქექვას თავი დაანებეთო. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ ფლეთჩერთან შეხვედრა. მე და სოსომ ჩავიცვით მოსწავლის ფორმა, გადავიკიდეთ ჩანთები, ხელში დავიჭირეთ საქართველოს ისტორიის წიგნები და მივედით მე-4 საჯარო სკოლაში. გვინდოდა, ფლეთჩერისთვის საქართველოს ისტორიის წიგნები გადაგვეცა, რათა გასცნობოდა ჩვენს კულტურას.
9 საათზე გამოჩნდა ფლეთჩერიც. სამასწავლებლოში შევყევით და ვკითხე, რას გვეტყვით იმ სკანდალზე, რომელიც თქვენმა სურათებმა გამოიწვია-მეთქი. ფლეთჩერმა უხეშად გვიპასუხა, აქედან გაეთრიეთ, დაუყოვნებლივ დატოვეთ სამასწავლებლოო. ჩვენ არ ვეშვებოდით, მაგრამ ამასობაში სამასწავლებლოში შემოცვივდნენ პედაგოგები, რომლებიც **„საწყალ ბიჭს“** გადაეფარნენ, ყვიროდნენ, თომასი კარგი ბიჭია და თავი დაანებეთო, თითქოს მის მოსაკლავად ვიყავით მისული. ამ ამბავში ჩაერთვნენ მანდატურები, იგივე ტურები და გამოგვათრიეს გარეთ.
დაგვაბრალეს, რომ მთვრალები ვიყავით. დაგვიზიანეს კამერა, შეურაცხგვყვეს ფიზიკურად და სიტყვიერად. ამ ძიძგილაობაში პატრული გამოჩნდა, რომელმაც მანდატურებისგან დაგვიცვა.
ეს ე.წ. პედაგოგი ინტერნეტში გამოქვეყნებულ ფოტოებზე ისეთ პოზებშია გამოსახული, რომ თქმაც კი მიჭირს... შაშკინი კი გამოდის და ამბობს, ეს საკითხი ჟურნალისტებმა გაამწვავეს, თორემ საგანგაშო არაფერია, ჟურნალისტებმა დაივიწყეს სტუმარმასპინძლობაო. ფლეთჩერის ორიენტაცია ვის აინტერესებს, მაგრამ როცა მას ბავშვებთან აქვს ურთიერთობა, უთქმელობა დანაშაულის ტოლფასია.
კახა მიქაია, „ქართული პარტიის“ წევრი: - ცოტა ხნის წინ სააკაშვილი და შაშკინი სამეგრელოში ჩამოვიდნენ და სოფელ შამგონაში სკოლა გახსნეს. ამის შემდეგ შაშკინი შეხვდა ფლეთჩერს და მას ჯერ ბოდიში მოუხადა, ხოლო შემდეგ მადლობა გამოუცხადა. როდესაც ტელეკომპანია **„მაესტროს“** ჟურნალისტმა ჰკითხა, მართლა შეხვდით ფლეთჩერსო? ასეთი გამართული ქართულით უპასუხა: **„ის, ვის შევხვდები, არავის საქმეა“.** ასეთი **„განათლებული“** განათლების მინისტრისგან არაფერია გასაკვირი. რისთვის მოუბოდიშა და რისთვის გადაუხადა მადლობა ფლეთჩერს - ეგ მხოლოდ შაშკინმა იცის!

„კუპრიმის ფორმულა“, ანუ დიმიტრი შაშკინის მასტერკლასი

როგორც ცნობილია, თბილისის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეები 8 საატესტატო გამოცდის გაუქმებას ითხოვენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მეთორმეტეკლასელებს ხვდება და საატესტატო გამოცდების მნიშვნელობას განუმარტავს. ბატონი დიმიტრი ამას წინათ თბილისის 23-ე საჯარო სკოლასაც ეწვია. მასთან შესახვედრად მეთორმეტეკლასელები ერთ დიდ დარბაზში შეუყვანიათ.
საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება ქიმიის გამოცდას დასთმობია. მინისტრს განუმარტავს მოსწავლეებისთვის: სკოლას რომ დაამთავრებთ, კუპრუმის ფორმულა (?!) უნდა იცოდეთო. ბავშვებს გაოცებისგან მხრები აუჩეჩავთ, - ჩანს, ისინი **„ფორმულის“** ხსენებამ დააბნია, რადგან მენდელეევის ტაბულის ელემენტი CU, ანუ სპილენძი კი იცოდნენ, მაგრამ **„კუპრუმის ფორმულაზე“** არაფერი სმენიათ...
მოსწავლეებს საპატიო სტუმრისთვის შეკითხვებიც დაუსვამთ. ერთ მეთორმეტეკლასელ გოგონას მინისტრისთვის უთქვამს: ქიმიის შესწავლა ძალიან გამიძნელდა, რადგან დასაწყისიდანვე ვერ შევიყვარე. გამოდის, ქიმიის გამო ცხოვრება უნდა დამენგრესო? განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გოგონას გადარწმუნება თავისი ცხოვრებისეული მაგალითით უცდია:
მეც თქვენსავით არ მიყვარდა ქიმია და სწავლაც მეზარებოდა. მახსოვს, საქართველოში უშუქობისა და უგაზობის პერიოდში მეცადინეობა სანთლის შუქზე მიწევდა. ერთხელ თეფშზე დავამაგრე ანთებული სანთელი, თეფში მეტისმეტად გახურდა და გასაგრილებლად ცივ წყალს შევუშვირე. გავარვარებული თეფში წამში გასკდა და მაშინვე ვინანე, ქიმიას რომ არ ვსწავლობდი. ქიმია რომ მცოდნოდა, ცხელ თეფშს ცივ წყალში ხომ არ ჩავდებდიო. ამის გამგონე ბავშვები აფხუკუნებულან. ვიღაცას რეპლიკაც უსვრია: ეგ ქიმია კი არა, ფიზიკაა, ბატონო მინისტროო. თუმცა ბატონ მინისტრს იხტიბარი არ გაუტეხავს: ცოტა ქიმიაც ხომ არისო(?!).

ნინო გაბაშვილი

თელავის ტელევიზიის დირექტორს ესროლეს

თელავის ტელეკომპანია „თანამგზავრის“ დირექტორს გენრი კობახიძეს გუშინ საღამოს უცნობმა პირებმა ესროლეს. სროლის შედეგად კობახიძის მეგობარი დაიჭრა. დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უცნობია. ერთ-ერთი ვერსიით, კობახიძეს პოლიციის თანამშრომელმა ესროლა (ჩვენთვის უცნობმა, თორემ, გამორიცხულია, რომ ხელისუფლებამ მათი ვინაობა არ იცოდეს).

როგორც ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა თელავიდან გვაცნობა, გენრი კობახიძე ამ საკითხზე პრესკონფერენციის ჩატარებას გეგმავს. თელავის ტელევიზიის დირექტორი აპირებს , რომ პირადი და სხვა ჟურნალისტების სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებს სპეციალური განცხადებით მიმართოს, რადგან თავისუფალი ჟურნალისტური საქმიანობს საქართველოში უკვე საკმაოდ სახიფათო ფენომენი ხდება. ჯერჯერობით გაურკვეველია, მომხდართან დაკავშირებით აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე. შინაგან საქმეთა კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი დავით ქოქიაშვილი, თელავის პოლიციის უფროსი შოთა ბეჟანიშვილი და კახეთის საოლქო პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი სატელეფონო ზარებს არ პასუხობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

ვახტანგ მეფეს ჯერ ომის სამზადისი არ დაესრულებინა, რომ საქართველოს სპარსეთის დიდძალი ჯარი შემოესია. ვახტანგმა დაინახა, რომ მტერს მარტოკა ვერ გაუმკლავდებოდა; მაშინვე თავისი ჯარითურთ ქართლისა და სომხეთის საზღვარზე გაიხიზნა და იქ მთებში შეეფარა; ამასთანავე ვახტანგ მეფემ სომხებს შიკრიკები გაუგზავნა და შეატყობინა: საქართველოში დიდძალი ჯარი შემოვიდა და რაკი დავინახე, რომ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი სომხეთის სამზღვრისაკენ გამოვიხიზნეო (**ib**. 457). ეს რომ სომხებმა შეიტყეს, ვახტანგ მეფისკენ გაეშურნენ, რომ შეერთებული ძალით სპარსეთის ჯარი დაემარცხებინათ (**ib**. 458). ვახტანგი ჰუნნების მოლოდინში იყო და შვიდი დღე უცადა; მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ აქაც იმედი გაუცრუვდა და ქართველები და სომხები სპარსელებს მარტოკა უნდა შებრძოლებოდნენ, მთებიდან ბარად ჩამოვიდნენ.

ამ დროის განმავლობაში მათ კვალს მიჰრანაანთ შაბურმა მიაგნო და თავის ჯარით მტკვრის ნაპირას დაიბანაკა (**ib**. 460). ბრძოლის წინა ღამეს ბევრნი წავიდნენ სომხეთის ჯარიდგან და სპარსეთის სარდალს ჩააგონეს: ჩვენ ჩვენის ნებაყოფლობით არ გამოვსულვართ სპარსელებთან საბრძოლველად, სულ ვაჰან მამიკონიანის ბრალია, იმან წამოგვიყვანაო, და ბრძოლის დროს სპარსელების მხარეზე გადასვლა აღუთქვეს (**ib**. 461). თავისი დაპირება აასრულეს კიდეც. მეორე დღეს, ბრძოლის დროს შეერთებული ჯარი შედრკა და სომხებიცა და ქართველებიც ძლეულნი აქეთ იქით გაიფანტნენ; ვახატანგ მეფემაც თავი დააღწია (**ib**. 467-468). ამ გამარჯვების შემდგომ სომხეთში მდგომ სპარსელთა ჯარის მთავარ-სარდალს ჰაზარავუხტს პეროზ მეფისაგან (458-484) ბრძანება მოუვიდა (ეს ბრძანება 483-4 წლებში უნდა მოსულიყო. იგი პეროზ მეფის გამოგზავნილი იყო, რომელიც 484 წლამდე მეფობდა, ხოლო ვახტანგმა ამბოხება 483 წელს დაიწყო, და სწორედ ამის შემდეგ არის ეს ბრძანებაც გამოცემული): საჩქაროდ გაემგზავრე მთელის ჩვენის ჯარით ქართლში, სომხეთში-კი იქაური ჯარით შაბური მიჰრანის გვარის შვილი დასტოვე, და ქართველთა მეფე ვახტანგი ან დაიჭირე, ან მოჰკალ, ან ქვეყნიდან განდევნეო. ჰაზარავუხტმა მაშინვე აასრულა თავისი ხელმწიფის ბრძანება. მივიდა თუ არა საქართველოში, ჰაზარავუხტს მაშინვე სპარსეთის მთავრობის ერთგული ქართველები მიეშველნენ, მათ მიემხრნენ ბევრი ისეთნიც, რომელნიც თავდაპირველად ვახტანგ მეფის მხარეზე იყვნენ და სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ, მაგრამ ჰაზარავუხტმა რომ შაჰის წყალობა და ჯილდო აღუთქვა, თავის ქვეყანასა და მეფეს განუდგნენ და უღალატეს (**ib**. 507). როცა ვახტანგ მეფემ დაინახა, რომ თავისიანებმაც უმტყუვნეს და ბევრი ქართველი სპარსელების მხარეზე გადავიდა, ქართლიდან გაიქცა და სამეგრელოში გადაიხიზნა (**ib**. 508).

ამავე 484 წელს მოკვდა პეროზი და სპარსეთის დიდებულებმა ჰაზარავუხტი ქართლიდან დაიბარეს სახელმწიფო საქმეებზე მოსალაპარაკებლად (**ib**. 540). სამეფო ტახტზე აიყვანეს ვალარში, მაგრამ დიდხანს არ უმეფნია: 488 წელს იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგიერ კავადი (488-531) დასვეს. ამ დროს დაიწყო თავის შესანიშნავი ქადაგება მაზდაკმა; მას უნდოდა რომ ხალხში მშვიდობიანობა და სიყვარული დამყარებულიყო, ხოლო ამისთვის საჭიროა მოვსპოთ და ძირიანად აღმოეფხვრათ ადამიანთა შორის სიძულვილისა და უთანხმოების მიზეზიო, ამბობდა მაზდაკი, ხოლო ყოველგვარ უსიამოვნებისა და ერთი-ერთმანეთის მტრობის დედაბუდე საკუთრებისა და ლხინისადმი მისწრაფებაო. მაშასადამე, თუ ჩვენ გვსურს, რომ ქვეყნიერობაზე მშვიდობიანობა დამყარდეს, ამისათვის მთელი საკუთრება უნდა გაიყოს და მთელ ხალხს თანასწორად მიეცეს; ცოლებიც კი კერძო საკუთრებას არ უნდა შეადგენდნენ; უნდა მოისპოს აგრეთვე წოდებრივი უსწორ-მასწორობა და სულდგმული ცხოველების დახოცვა და ჭამა აიკრძალოსო.

მეფე კავადი მაზდაკს მიემხრო, ალბად იმ აზრით, რომ დიდებულები დაემხო, მაგრამ განრისხებულმა სპარსელმა დიდებულებმა 497 წელს მეფე დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს (**Iust. Herrschaft der Sassaniden**. გვ. 531), ხოლო მის მაგიერ მისი ძმა ჯამასპი გაამეფეს; კავადის ცოლმა თავისი ქმარი მაინც ციხიდან გაანთავისუფლა და 499 წელს ჯამასპმა ისევ თავის ძმას დაუთმო სამეფო ტახტი (**ib**. 531-532).

გამეფების დროს კავადს ჰუნნები დაეხმარნენ და ამისათვის მათთვის სასყიდელი უნდა მიეცა. თითონ რომ საჭირო ფული არ ებადა, ბიზანტიელებს 503-504 წლებში ომი აუტეხა, მაგრამ დიდი ვერაფერი შეუძენია. 517 წელს ახლო ხანებში კავადმა შერიგება ირჩია და ამისათვის ორივე მხარემ ერთმანეთს დესპანები გაუგზავნეს მოსალაპარაკებლად. როცა ელჩები ერთად შეიყარნენ და ურთი-ერთს გამოემცნაურნენ, სპარსეთის ერთმა წარმომადგენელმა სეოსმა (შიოშ, **pahl**. სიავუშ) სიტყვა ლაზიკაზე ჩამოაგდო და ბიზანტიის მოციქულებს უმტკიცებდა, თქვენ კანონიერ უფლების ძალით კი არა, ძალმომრეობით გიჭირავთო კოლხიდა: იმთავითვე სპარსელების მფლობელობას შეადგენდაო. ბიზანტიელებს ეს არაფრად ეჭაშნიკათ; მოლაპარაკება ერთ სხვა მიზეზის გამოც უსიამოვნობით გათავდა და ორივე მხარე თავის სახელმწიფოში დაბრუნდა (პროკოფი კესარიელი, **De bello persiko**, I, წიგ. II – დესტუნის, გვ. 132-136).

მეფე კავადი ბიზანტიელებზე გულმოსული იყო და უნდოდა ჯავრი ამოეყარა, მაგრამ ამ დროს იბერიაში ამბოხება დაიწყო. პროკოპი კესარიელის სიტყვით ქართველები იმის გამო აჯანყებულან, რომ კავადმა მოიწადინა ცეცხლთაყვანისმცემლობა კვლავინდებურად იბერიაში გაებატონებინა და ბრძანება გასცა, რომ იბერიაში ყველა მოგვობის წესები მტკიცედ დაეცვათ, სხვათა შორის მიცვალებულები მიწაში არამც და არამც არ დაემარხნათ. ასეთმა მომეტებულმა მბრძანებლობამ ქართველები ისევ მოთმინებიდან გამოიყვანა. მეფე გურგენმა იუსტინე კეისარს (518-527) მოციქულები გაუგზავნა და შეუთვალა: მოგემხრობით და თქვენკენ გადმოვალთ, თუ-კი პირობას მოგვცემ, რომ თქვენ ქართველებს არას დროს სპარსელებს აღარ გაგვცემო. გახარებულმა კეისარმა თანხმობა გამოაცხადა და მაშინვე ბოსფორში ერთი პატრიკი, სახელად პრობი გაგზავნა და თან ფულებიც გაატანა, რომ ჰუნნები ქართველებს მიჰშველებოდნენ (პროკოპი კესარიელი, **DDe ello persiko**, I, წიგნი 12, დესტუნისის გვ. 140-143); მაგრამ გაგზავნილმა პატრიკმა ვერა გაარიგა რა: ამიტომ კეისარმა კოლხიდაში, ანუ ლაზიკაში პეტრე სარდალი გაგზავნა და თან რამდენიმე ჰუნნები გააყოლა, რომ გურგენ მეფეს მიჰშველებოდნენ; კავადმა ქართველების ამბავი შეიტყო თუ არა, მაშინვე იბერიაში დიდი ჯარი გამოგზავნა; მაგრამ ბიზანტიელების მეშველი რაზმი იმდენად რიცხვმცირე იყო, რომ სპარსეთის ახალმოსულ ლაშქარს გურგენი ვერ გასცემდა პასუხს. ამის გამო მეფე გურგენი თავის ოჯახითა და შვილით პერრანით (უეჭველია **"ფირანი"** იქნებოდა) და ქართველი დიდებულები ლაზიკაში გაიქცნენ (**id**. I, წიგნ.12, დესტუნისის გვ. 144-145); თუმცა სპარსეთის ჯარი უკან დაედევნა, მაგრამ ლაზიკაში ქართველ მეფეს და დიდებულებს ვერა დააკლეს რა, ვიწრო ხეობები დიდად აბრკოლებდა სპარსელებს.

ლაზიკიდან გურგენი თავის სახლობითა და ამალით ბიზანტიაში წავიდა; მალე სარდალი პეტრეც უკან დაიბარეს; რაკი ლაზიკის სამზღვარზე მდებარე ორი ციხე ცარიელი დარჩა, ხოლო ადგილობრივმა მკვიდრებმა უარი გამოაცხადეს, – ჩვენ ამის დამცველები აღარ ვართო, სპარსელები დაეპატრონნენ (პროკოპი კესარიელი, **DDe ello persiko**, I, წიგნი 12, დესტუნისის გვ. 148-150). ბიზანტიელებმა მხოლოდ იმით გადაუხადეს მაგიერი, რომ სპარსეთის ბატონობის ქვეშე მყოფ სომხეთს შეესიენენ, ქვეყანა ააოხრეს და მრავალი ტყვე წამოასხეს (**id**. I, წიგნ.12, დესტუნისის გვ. 151-152).

531 წელს გარდაიცვალა სპარსეთის მეფეთ-მეფე კავადი; მისმა მემკვიდრეებმა ხოსრო 1-მა (531-579) და ბიზანტიელებმა მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება დაიწყეს. ეს საქმე თვით ბიზანტიელებმა ითავეს და სპარსეთის ბატონს თავიანთი წარმომადგენლები გაუგზავნეს. ხოსრომ ელჩებს გამოუცხადა, რომ იგი ბიზანტიელებთან საუკუნო ზავის ხელშეკრულებას დასდებდა, თუ კი მას 110 კენდინარს ჩაუთვლიდნენ (კენდინარი ას (კენტ – **centum**) დინარსა მიშნავს, ოქროს ფული იყო და ას ლიტრა ოქროს იწონიდა (იხ. პროკოპი კესარიელი **De dello persiko,** I, წ. 22, დესტუნისის I, 291); დაახლოვებით ეხლანდელ ფულის კვალობაზე 110 კენდინარი 60.065 მანეთს უდრის) და სხვათა შორის ლაზიკის იმ ორ ციხის დაბრუნებაზე, რომელსაც სპარსელები დაეპატრონენ, ამიერითგან ლაპარაკი აღარ იქნებოდა. ბიზანტიის კეისრის ელჩებმა ამ უკანასკნელ პირობაზე უპასუხეს, რომ თუ კეისარს არ შევეკითხეთ, იმის გადაწყვეტას ჩვენდა თავად ვერ ვიკისრებთო (პროკოპი კესარიელი, **DDe ello persiko**, I, წიგნი 12, დესტუნისის გვ. 290-292). თუმცა იუსტინიანე (527-565) კეისარმა რომ ხოსროს პირობები შეიტყო თაბდაპირველად ლაზიკის ორი ციხის დათმობის თანხმობაც გამოაცხადა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ინანა; მაშინვე სპარსეთში მიმავალ თავის დესპანს უკან წერილი დაადევნა, არამც და არამც სპარსელებს ლაზიკის ციხეები არ დაუთმოო (**id**. I, წიგნ.22, დესტუნისის I, გვ. 292-293); ამის გამო სპარსელები და ბიზანტიელები ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკება ჩაიშალა. მაგრამ ცოტა ხნის შემდგომ ორივე მხარემ მოლაპარაკება ისევ დაიწყეს და 532 წელს **"საუკუნო ზავის"** ხელშეკრულობა დასდეს, რომელიც შემდეგ პირობებს შეიცავდა: ორივე მხარე დაპყრობილ ქვეყნებს ერთმანეთს დაუბრუნებს და სპარსეთის წინააღმდეგ ბიზანტიელებს სამზღვარზე საგანგებო მხედართმთავარი დარაში აღარ ეყოლებოდათ; იბერიიდან გამოქცეულ ქართველებს სურვილისამებრ შეეძლოთ ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ან არა და ბიზანტიაში დარჩენილიყვნენ (პროკოპი კესარიელი, **DDe ello persiko**, I, წიგნი 12, დესტუნისის გვ. 293-294). ხელშეკრულობის თანახმად სპარსელებმა მართლაც ლაზიკის ორივე ციხე ბიზანტიელებს დაუბრუნეს. ბევრი გაქცეული ქართველი დაბრუნდა ბიზანტიიდამ სამშობლოში, მაგრამ ბევრი მაინც არ ენდო სპარსეთის მთავრობას და ისევ ბიზანტიის სახელმწიფოში ირჩიეს დარჩომა (**ibid.**); იბერიის სამეფო სახლობაც, რასაკვირველია, სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. პერანი (ფირანი) ბიზანტიელების სამხდრო სამსახურში შევიდა და სარდლად იყო დანიშნული (პროკოპი კესარიელი, **DDe ello persiko**, I, წიგნი 28 და 26, დესტუნისის II, გვ. 203 და 195, და I, გვ. 145-146, შენიშვნა 9).

მას შემდეგ, რაც ქართველები გურგენ მეფის მეთაურობით სპარსელებს აუჯანყდნენ, ბიზანტიის მფარველობას მიჰმართეს, მაგრამ კეისრის მხრივ პირობის აუსრულებლობის გამო ძლეულ იქმნენ, ხოლო სამეფო სახლობა და ამბოხების მოთავე დიდებულები იძულებული იყვნენ ბიზანტიაში გაქცეულიყვნენ, ამის შემდგომ სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ, და მეფობა გააუქმეს (**DDe ello persiko**, II, წიგნი 28, – დესტუნისის II გვ. 208). მართლაც, წიგნ ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში (544-545), რომელიც თანამედროვეს მიერ არის დაწერილი, ქართველი მეფე მოხსენიებული არ არის და ქვეყნის მთელი უზენაესი გამგეობა სპარსეთის მთავრობის მოხელეებს აბარია: ამ დროს მეფობა, როგორც, ეტყობა, მოსპობილი ყოფილა. სცდება, მაშასადამე **"ქართლის მოქცევაის"** ქრონიკის ავტორი, რომელიც წერს: **"ჰას ბაკურის ზე დაესრულა მეფობა ქართლისა"**-ო (ე. თაყაიშვილი, სამ. ისტ. ქრ. 33), იმიტომ, რომ გურგენისზე დაესრულა მეფობა. **ქართლში მეფობის უფლება გაუქმდა მაშინვე**, როცა თავის შვილითა და სახლობით ბიზანტიაში გაიხიზნა, ესე იგი 527 წელზე უწინ. მაგრამ საბოლოოდ წეს გაუქმება 532 წლის **"საუკუნო ზავის"** ხელშეკრულებამ დააკანონა, იმოტომ, რომ ქართველების ვითომცდა მფარველმა ბიზანტიელებმა სპარსელებთან მოლაპარაკების დროს თავი არ შეიწუხეს და იბერიის მეფობის არსებობის შესახებ არავითარი განსაკუთრებული პირობა არ დაუდვიათ, არამედ მხოლოდ გაქცეულ ქართველებისათვის სამშობლოში დაბრუნების ნება ითხოვეს; მაშასადამე მეფობის გაუქმების წინააღმდეგ არაფერი უღონიათ და ამით, რასაკვირველია, თითქოს თანხმობაც გამოუცხადებიათ. ასე სამწუხაროდ დაბოლოვდა იბერიისათვის ბიზანტიელების მფარველობა.

საუკუნო ზავის შემდეგ, შეშინებულმა ბიზანტიელებმა, ვაი თუ სპარსელებმა იბერიას ლაზიკაც ზედ მიაყოლონ და ხელიდან გამოგვტაცონო, ლაზიკაში ჯარი გაგზავნეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ბიზანტიელებმა ლაზიკაში ჯარი ჩააყენეს, წინად ამისთანა მაგალითი არა ყოფილა (პროკოფი კესარიელი, **DDe ello persiko**, II, წიგნი 12, დესტუნისის გვ. 107, 109-110). რასაკვირველია, ლაზებს ეს არაფრად მოეწონათ, მაგრამ ამას კიდევ როგორც იქნებოდა აიტანდნენ. განსაკუთრებით კეისრის მიერ ამ ჯარის უფროსად დანიშნულ პეტრეს ემდუროდნენ ყველანი: მეტად ბრიყვი კაცი იყო და სხვის შეურცხყოფა არაფრად მიაჩნდა (**ib**. II, თ. 15; დესტუნისის II, გვ. 107-108). პეტრეზე უარესი გამოდგა ის ჯარის უფროსი, რომელიც იუსტინიანე კეისარმა დასავლეთ საქართველოში პეტრეს მაგიერ გამოგზავნა. სახელად მას იოანეს, მეტსახელად კიდევ **"ცივ"**-ს ეძახდნენ. მისი თანამედროვე ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი ამბობს, რომ ივანე ცივმა მხოლოდ გაიძვერაობით მიიღო ეს თანამდებობა: საძაგელი კაცი იყო და ყოველგვარ უწესო საშუალების გამოძებნა და მოხერხება იცოდა – ოღონდ თვითონ გამორჩენა – სარგებლობა ჰქონოდაო (**ib**. II, თ. 15, დესტუნისის II, გვ. 108-109). მან ურჩია კეისარს, რომ შავი ზღვის ნაპირას მდებარე პატარა ციხე – დაბა ქალაქად ექცია (**ib**. II, თ. 15, დესტუნისის II, გვ. 119-128). იუსტინიანე კეისარმა თავისი ჯარის უფროსს დაუჯერა, გარშემო კედლებით შემოზღუდა, გაამაგრა და შიგნით გაამშვენიერა (**ib**. II, თ. 15, დესტუნისის II, გვ. 119); ამ ციხე-ქალაქს სახელად პეტრა დაარქვეს; ბიზანტიელების ჯარი და თვით სარდალი იოანე ცივიც იქ დაბინავდნენ.

ბრიყვი და თავხედი ბიზანტიელების მხერადო-მთავარი იმდენად გათამამდა, რომ ლაზიკის სამეფოს ყველა სერიოზულ საქმეებში უხეშად და დაურიდებლად ერეოდა; მეფე გუბაზი ისე შეაწუხა, რომ მას მარტოოდენ მეფის სახელი და შერჩა, თორემ ნამდვილად საქმეების გამგეობას თითოს ჩემულობდა (**ib**. II, თ. 15, დესტუნისის II, გვ. 112).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



მე ჯერა ბატონ ვახტანგ (ლოთი) ქობალიასი!

გვეხმაურება ჩვენი მკითხველი

საქართველოს ვერასოდეს ვერ გააერთიანებს თუნდაც 10 შევარდნაძე, ნატო, ამერიკა, რუსეთი, ვერც, თუნდაც ჩინეთი, ინდოეთი, მით უმეტეს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება.

საქართველოს გააერთიანებს მხოლოდ აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ადამიანი, რომელიც ბატონმა ვახტანგ ქობალიამ ამას წინათ გაახმიანა გაზეთ **"ილორში"**, თუმცა მას ეს პიროვნება არ დაუსახელებია. ფაქტია, რომ ამას არ დაუშვებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ეს თავის დროზე არ დაუშვა პირსისხლიანმა ედუარდ შევარდნაძემ.

პირადად მე ბატონ ვახტანგ ქობალიას მოსაზრებას 15 წელზე მეტია გულით დავატარებ. იგი დღემდე არ გამიხმაურებია მრავალ მიზეზთა გამო.

ბატონმა ასლან აბაშიძემ ჯერ კიდევ 2000 წელს საკუთარ თავზე აიღო საქართველოს გაერთიანების – აფხაზეთის დაბრუნების კონკრეტული ღონისძიების რეალური პასუხისმგებლობა (იხ. აბაშიძის მიმართვა შევარდნაძისადმი, 24.10. 2000 წ.). შევარდნაძემ, ამ ვერაგმა და პირსისხლიანმა ავანტიურისტმა ბატონ ასლან აბაშიძის წინადადება დაბლოკა, უფრო მეტიც, – მან ბოროტად გამოიყენა თავისი სუბორდინაციული უპირატესობა ბატონ ასლან აბაშიძისადმი, ოსტატურად გაამასხარავა იგი ამ თაოსნობისათვის...

...შევარდნაძეს რომ 1995-2001 წლების საპრეზიდენტო არჩევნებიც ვერაგულად არ გაეყალბებინა, დღეს აფხაზეთი დიდი ხნის დაბრუნებული იქნებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სამაჩაბლოზე, ეს უკანასკნელი დღესაც ყოველმა ამომრჩეველმა, ყოველმა მოქალაქემ ძალიან კარგად იცის. ხალხმა ისიც იცის, თუ ვინ გაიმარჯვა 1995-2001 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

ბატონ ასლან აბაშიძეს თავის დროზე მედგარი თადარიგი რომ არ დაეჭირა, შევარდნაძე მასაც ფიზიკურად მოსპობდა, როგორც ზვიად გამსახურდია მოსპო.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის დაკარგვა და სამაჩაბლოს ტრაგედიაც უპირატესად განაპირობა ასლან აბაშიძის გაძევებამ ქვეყნიდან, რამაც გააძლიერა აფხაზებისა და ოსების უნდობლობა საქართველოს ხელისუფლების მიმართ. არ იყო საჭირო აბაშიძის ასეთი მეთოდით ქვეყნიდან გაძევება. შეიძლებოდა მისი თანამდებობიდან გაშვება მშვიდობიანი გზით – არჩევნებით, შემდეგ კი დრო გვიჩვენებდა ყველაფერს. ამას კი დრო და მოთმინება სჭირდებოდა, რაც არ აღმოაჩნდა საქართველოს ხელისუფლებას. დღემდე არავის სჯერა, რომ ასლან აბაშიძეს იმაზე მეტი დანაშაული ჰქონოდეს, რამდენიც გააჩნია მის გამძევებლებს. ეს ძალიან კარგად იცის აფხაზმა და ოსმა ხალხმა, მთლიანად საქართველომაც. აბაშიძის ფენომენი ქვეყანაში ნამდვილად არსებობს და იგი საქართველოს ისტორიაშიც იარსებებს, რადგან ვერავინ ვერასოდეს შესძლებს ისტორიის საბოლოოდ გაყალბებას. ყველაზე კარგად ბატონმა ასლანმა უწყოდა, რომ არ შეიძლებოდა შევარდნაძის ნდობა. რომ არა ბატონი ასლანი, შევარდნაძის ბანდები აჭარის მიწასაც მიასწორ-მოასწორებდნენ, როგორც ეს აფხაზეთსა და სამეგრელოში გააკეთეს. აჭარის ჯავრი შევარდნაძეს საფლავში მიჰყვება, ეს კარგად იცის აჭარელმა ხალხმა, მაგრამ ლაგამი აქვთ ამოდებული პირში. შევარდნაძე **"მხედრიონის"** – ჯაბა იოსელიანის მხრებზე იდგა, დღედაღამ უჩიჩინებდა აჭარის დარბევაზე, მაგრამ აბაშიძის მდგრადმა პოზიციამ დარბევას გადაარჩინა ეს ულამაზესი მხარე. აფხაზეთისა და სამეგრელოს მრავალგზის დაწიოკებისათვის კი შევარდნაძემ იოსელიანს დიდების პანთეონში მიუჩინა მიუჩინა განსასვენებელი, რაც საქართველოსათვის დიდი სამარცხვინო ლაქაა.

მე ბატონი ვახტანგ ქობალია არ მიცნობს, არც ის აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი ქართველი მიცნობს, რომელსაც ნამდვილად ხელეწიფება აფხაზეთის დაბრუნება. მაგრამ მე კარგად ვიცნობ ბატონ ვახტანგ ქობალიას, რომელიც მიკლე ხანში გაახმაურებს იმ პიროვნების ვინაობას, რომელსაც დიდი ხანია შენატრის ქართველი ერი. სწორედ ამისი მეშინია, რადგან არც შევარდნაძე და არც საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება არავის აპატიებენ აფხაზეთის დაბრუნებას. მათ ეს სურთ გააკეთონ საკუთარი ძალებით, მაგრამ არა მშვიდობიანად, არამედ ომის გზით, რაც ახალ მსხვერპლს და სხვა მრავალ უბედურებას მოიგვიტანს.

მთელმა სამეგრელომ ძალიან კარგად იცის – რომ არა ვახტანგ ქობალია, ედუარდ შევარდნაძის ბანდფორმირებები სამეგრელოში ქვას ქვაზე დაადუღებდნენ.

გროზნოდან დაბრუნებულ, ქვეყნიდან გაძევებულ კანონიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარანტირებული ჰქონდა ხელისუფლებაში დაბრუნება და მხოლოდ იგი თუ შესძლებდა საქართველოში გაჩაღებული ძმათამკვლელი ომის შეკავებას, მაგრამ ვერაგმა შევარდნაძემ ნაძარცვი ფულით დაიქირავა უცხო ქვეყნის ჯარები და განმეორებით დაამხო ეროვნული ხელისუფლება, ვახტანგ ქობალიას კი შეუთითხნა ბინძური კომპრომატები, დილეგში ჩააგდო და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ბატონ ვახტანგს უწუნებენ, რომ მას განათლება ამერიკაში არა აქვს მიღებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სრულებითა არ არის სავალდებულო ადამიანი ეზიაროს ყალბ, მავნებლურ, ალენ დალესისა და ჯორჯ სოროსის დოქტრინებზე აგებულ ფასეულობებს. საკმარისია ადამიანი იყოს გულანთებული პატრიოტი, რაც ბატონ ვახტანგ ქობალიას მოჭარბებულად აქვს...

შევარდნაძის ისტორია დღესაც მეორდება – საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მშვიდობიანი გზით დაბრუნების უმცირესი რესურსიც კი. მათ მხოლოდ ამერიკის, ნატოს, ევროკავშირისა და სხვა ცვედანი წარმონაქმნების დახმარების იმედი აქვთ, რაც სრული აბსურდია. ვერავინ შებედავს იმ ტერიტორიას, სადაც რუსული ჯარები დგანან. როდის ყოფილა, რომ რუსეთს ვინმეს ბაქი-ბუქის შეშინებოდეს და უკან დაეხიოს. ჩვენ მიერ დაწყებულ ომში აფხაზებმა გაიმარჯვეს და როგორ გინდა ამდენი სისხლისღვრის შემდეგ აფხაზეთი დაიბრუნონ მათ, ვისაც ხელები მათ სისხლში აქვთ გათხვრილი.

შევარდნაზე კომუნისტური მართვის ეპოქაში, როცა საქართველოში **"მეფობდა"**, მაშინც ყველაფერს აკეთებდა აფხაზეთის გასასხვისებლად. სწორედ მისი ზეობის ჟამს საქართველოსა და აფხაზეთში სომხებზე იყიდებოდა ყველაფერი, რაც აფხაზებისა და ქართველების დიდ გულისწყრომას იწვევდა.

ამდენად, აფხაზეთის დაბრუნება იმ მეთოდებით, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ყოვლად დაუშვებელია. ამისთვის სულ სხვა მეთოდებია საჭირო, რომლის თაობაზე დღევანდელ ხელისუფლებას ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნია. აფხაზების ნდობის მოპოვება და მათი საქართველოსაკენ შემოტრიალება მხოლოდ იმ ქართველს ხელეწიფება, რომელიც აფხაზეთშია დაბადებული და გაზრდილი...

ის დიდი სითბო, სიყვარული, მოფერება და ავტორიტეტი სჭირდება აფხაზებისა და ოსების გულის მოგებას, რომლის შესახებაც იქადაგა 6 ნოემბერს გერმანიიდან დაბრუნებულმა საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

მანამდე კი ყველამ უნდა იცოდეს, რომ აფხაზი, ოსი და ქართველი ხალხის ინტერესები ერთი მუჭა კარიერისტების სავარძლებსა და მომხვეჭელთა ანგარებას ეწირება!

მურმან სართანია,
სენაკი, დავითაიას ქუჩა, 16.

მე შაირი არ მინდოდა...

(ყველა მეგრელთმოძულეს სამეგრელოს მიწა ფეხქვეშ უნდა ეწვოდეს...)

"მე შაირი არ მინდოდა..." – ამ ფრაზით ამთავრებდა თავის შაირებს ცნობილი მარელისელი მეწისქვილე ანდრია ლორთქიფანიძე, რომელიც გადაკრული სიტყვის უძლეველ მოპაექრედ იყო მიჩნეული მთელ ზემო იმერეთში. ამ სიტყვებით იგი ხაზგასმით შეამკობდა ხოლმე იმ პიროვნებას, რომელიც მას ახირებით გამოიწვევდა საშაიროდ და რომელსაც, როგორც წესი, დაამარცხებდა...

მას შემდეგ, რაც "ე.წ. პროფესორ" სოსო სიგუას "ილორის" 92-ე ნომერში სამართლიანად მივუთითეთ მისი არაკორექტული საქციელის გამო, რაც გამჟღავნდა მის მიერ 1-7 ნოემბრის გაზეთ "კვირის პალიტრაში" (№44) გამოქვეყნებულ პასქვილში "ქვეყნის დაშლა "შურობუმურად", სიმართლე გითხრათ, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, არც გვქონია იმის ილუზია, რომ იგი მოინანიებდა საკუთარ საძრახის საქციელს. შეიძლება იგი შეგნებულადაც ამწვავებდეს სიტუაციას, რათა შემდეგ მის მოწყალე ნაციონალებს შესჩივლოს: "რახან თქვენგან მოძულებულ სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" და გაზეთ "ილორს" ასე ძლიერ არ ვუყვარვარ, ესე იგი, თქვენთვის უადრესად საჭირო და გამოსადეგი პიროვნება ვარო." ეს ხომ მისი მხრიდან პოლიტიკური პროსტიტუციის პირველი გამოვლინება არ გახლავთ – იგი ადრეც უამრავჯერ შენიშნულა მსგავს საძრახის საქციელში. ამიტომ, გადავწყვიტეთ, გამოვამზეუროთ და ზემოთმითითებული რუბრიკით მივაწოდოთ ჩვენს მკითხველს სოსო სიგუას პოლიტიკური, მეცნიერული და ადამიანური სულმოკლეობის დამადასტურებელი ყველა "ნიმუში", რაც მას გამოუქვეყნებია, ან რის თაობაზეც მას მწვავე შენიშვნებს აძლევდნენ სხვა მეცნიერები. ამ პუბლიკაციებით ირკვევა, რომ სოსო სიგუას მხოლოდ პიროვნული ტაქტი არ ღალატობს და იგი მეცნიერებაშიც საკმაოდ ანგარიშგასაწევი ლაფსუსებით გამოირჩევა... გვეყო ენის მოჩლექით საუბარი ყველა იმ მეცნიერთან თუ "გამოპოლიტიკოსებულ", მეცნიერებას მიტმასნილ ადამიანებთან, რომლებიც პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად საკუთარი მშობლებისა და კუთხის დაწიხვლასა აუგად ხსენებასაც კი არ ერიდებიან.

***ჩვენ არ ვაღვივებთ სიძულვილის სინდრომს, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებთ:* ყველა მეგრელთმოძულეს სამეგრელოს მიწა ფეხქვეშ ეწვოდეს!**

ამჯერად გაზეთ "ილორის" მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს ანზორ შონიას 2003 წელს გამოცემული წიგნიდან "ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა".

რაღა შორს წავიდეთ, საქართველოში არსებული ერთსახოვანი პარტიები და ხელისუფლებისათვის გააფთრებით მებრძოლი ძალები და აშკარად არ ერიდებიან ამ უადრესად ანტიეროვნული დატვირთვის მქონე ფაქტორებით სპეკულირებას, რაც, ვფიქრობ, გაცილებით საშიშია, ვიდრე გარეშე მტრის ფაქტორი. ეს ძალები განსაკუთრებით მოწადინებული არიან გამოიყენონ ე.წ. **"მეგრული კუთხურობის"** ფაქტორი. ეტყობა, თავიანთი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად სამეგრელოსა და მეგრელი ხალხის გამოყენება უფრო პერსპექტიული ეჩვენებათ, ვარაუდობენ, რომ მათი ჩათრევა პოლიტიკურ პროვოკაციაში შედარებით ადვილია.

ამის საილისტრაციოდ მიზანშეწონილად მიმაჩნია შემდეგი მაგალითის მოყვანა: გაზეთ **"კავკასიონში"** (1999 წ. 8-12 ოქტ.) გამოქვეყნდა წერილი: **"აია – კოლხეთი ლაზიკა (ეგრისი) – სამეგრელო (ოდიში): საქართველოს უსახო და უენო პროვინცია?"**. წერილი გადმობეჭდილი იყო **"აღორძინების"** პარტიის გაზეთ **"XXI საუკუნიდან"**, რომლის რედაქტორი ყოფილა გაზეთ **"ლიტერატურული საქართველოს"** ყოფილი რედაქტორი ბატონი სოსო სიგუა...

ვერ გეტყვით, მათი დაწერილია თუ არა ეს წერილი, რადგანაც იგი ხელმოუწერელია, მაგრამ ავტორი მეტ-ნაკლებად ერკვევა ჩვენი ერის ისტორიაში და საკმაოდ ეფექტურად იყენებს ქართველ მეცნიერთა ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს საქართველოს შორეულ წარსულზე, ქართველი ხალხის წარმომავლობაზე, ქართულ-მეგრული ენების რაობაზე და ა.შ.

წერილს, ნებსით თუ უნებლიეთ, აშკარად ანტიეროვნული დატვირთვა აქვს და ცალსახად პოლიტიკურ მიზანს ისახავს, რაც არც ისე ძნელი მისახვედრია. სწორედ იმან გამაკვირვა, რომ ასეთი პიროვნების ხელმოწერილი გაზეთით გამოდის წერილი, რომელიც კუთხური ფაქტორით სპეკულირების პრიმიტიული მცდელობაა.

არ შევუდგები მთელი წერილის განხილვას, მაგრამ შევეცდები საზოგადოების ყურადღება გავამახვილო ზოგიერთ მომენტზე, რამაც ჩემი შეშფოთება გამოიწვია. **"აია – კოლხეთი ლაზიკა (ეგრისი) – სამეგრელო (ოდიში): საქართველოს უსახო და უენო პროვინცია?"**-ს ავტორები ამაში გულისხმობენ, თუ როგორ იწოდებოდა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფო. ნიშანდობლივია, რომ წერილის სათაურშივე დაშვებული გარკვეული შეცდომები:

"აია" "კოლხეთი" სწორედ დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს ბერძნებმა უწოდეს, ხოლო ბიზანტიელებმა – **"ლაზიკა"**, შესაბამისად ტერმინი **"ეგრისი"** არსებობდა უხსოვარი დროიდან და არ წარმოჩენილა **"ლაზიკის"** პარალელურად.

"სამეგრელო" და **"ოდიში"** – იდენტური ცნებები არაა დადგენილი, რომ ერთიანი საქართველოს დაშლის (XV საუკ.) მომდევნო ეპოქაში ეგრისის სამეფო არ აღმსდგარა, მას ჩამოშორდა ლაზიკის ძირითადი ნაწილი, რომელიც ოსმანთა ომპერიის გავლენის ქვეშ მოექცა, მის აღმოსავლეთ ნაწილში, არგვეთის საერისთავოს და მოხარისის ტერიტორიაზე (მდინარე ცხენიწყლიდან ქუთაისამდე) ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფო, ხოლო ყოფილი ეგრისის სამეფოს დანარჩენ ნაწილს XV საუკუნიდან ეწოდა სამეგრელო, იგი სამთავრო იყო, მაგრამ ხშირად სამეგრელოს სამეფოდ მოიხსენიებდა და მასში შედიოდა გურიის, აფხაზეთის, ლეჩხუმისა და ოდიშის საერისთავოები.

მას შემდეგ კი, რაც გურია და აფხაზეთი სამეგრელოსგან დამოუკიდებელი სამთავროები გახდნენ (XVI-XVII საუკუნეები), სამეგრელო ოდიშთან ერთად მოიცავდა ხონის რაიონს, მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროს, საწილაოს, სამტრედიის რაიონს და ლეჩხუმს, თითქმის კომუნისტურ ეპოქამდე...

...ავტორი დარწმუნებულია, რომ საქართველო ორი ურთიერთდამოუკიდებელი, სხვადასხვა ქვეყნის – ქართლისა და ეგრისის გაერთიანებაა, ქართველი ხალხი კი ორი სხვადასხვა ეთნოგენეზის მქონე ერის – ქართველებისა და მეგრელებისაგან შედგება; იგი დაუშვებლად მიიჩნევს ქართლელები და მეგრელები საერთო ეთნოსის, წარმომავლობის ხალხები ყოფილიყვნენ, ვინაიდან თურმე მათ ერთმანეთისგან ჰყოფს რთული მთიანი სისტემა, რაც, ვფიქრობ, არასერიოზული არგუმენტია – თითქოს ერთიანი საქართველოს ეპოქაში ეს მთიანი სისტემა არ არსებულიყო!

ასევე დაუშვებლად მიიჩნევს, რომ შეიძლებოდა შორეულ წარსულში არსებულიყო ერთი ქვეყნის იბერია ან კოლხეთი (ეგრისი), რომელიც ისტორიული მოვლენების შედეგად დაიშალაა ორ – იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოდ, ხოლო ქართლელები და მეგრელები საერთო ეთნოსის მქონე ხალხები იყვნენ, და ეს მაშინ, როცა დასამტკიცებლად ორივე ვარიანტი ერთნაირად რთულია. ჩვენმა დიდმა ისტორიკოსებმა ვერ შეძლეს რომელიმე ვარიანტისათვის მიენიჭათ მიენიჭებინათ უპირატესობა და ამას ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე აკეთებს პიროვნება, რომელსაც **"ქართლი"** და **"საქართველო"** იდენტური ცნებები ჰგონია, თურმე **"ლ"**-ბგერის შეცვლა **"ვ"**-ინით მხედველობაში მისაღები არ არის!

ასე პრიმიტიულად წყვეტენ ასეთ რთულ საკითხს.

სამწუხაროდ, ასეთი **"კომპეტენტური"** ისტორიკოსების დამსახურებაა, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებულია შეხედულება, თითქოს ქართლელებს მეტი უფლება აქვთ ქართველობაზე, ვიდრე მეგრელებს და სხვა კუთხის მკვიდრებს, რის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად მიიჩნევენ ჩვენი ქვეყნის სახელს – საქართველოს...

რ. შალამბერიძე
(გაგრძელება უსათუოდ იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტვილი ანუ ანდრიადიდი

(ღვთიური პოემა)

1. მიძღვნა

ანდრიადიდი, ანდრიაწმინდა,
მისი სიდიდით ვადიდო მინდა...
ანდრიადიდი, ანდრიაწმინდა
მისი სიწმინდით ვადიდო მინდა...
ამბავი ძველი, არა ახალი,
დიდისტორია დიდი მარტვილის...
ამ ისტორიას ლექსად დავხარი,
ამ ისტორია ლექსად დავსტირი...
თავი დახარეთ, ისმინეთ ისე,
მიმძიმს თქმა, თითქოს ენაც დამება...
ვადიდოთ მამა ღმერთი, ძე – ქრისტე
და სულიწმინდა – წმინდა სამება...
ძირს ეშმა, ეშმა ისევ სისინებს
სისინი ვერ სძლევს ღვთის ხმით ნახარებს...
თავი დახარეთ, ისე ისმინეთ,
რაც მე გახარეთ, ლექსად გახარეთ...
რაც მე მახარებს, რაც მე მატირებს,
ვუძღვნი პოემას, ნათლიდან ნათელს,
წმინდა მარტვილს და ყველა მარტვილელს,
მთლად საქართველოს, სულყველა ქართველს...
ვუძღვნი პოემას ასევე, ეგრე,
ყველა ქრისტიანს, ვინც კი ნაღდია,
სამეგრელოს, კოლხთ, ლაზთ, ზანთ, ჭანთ:
მეგრელთ,
გვარს – ხარებავას, სახელს – ანდრიას...
ყველა ანდრიას და ხარებავას
სულ ყველას ვუძღვნი პოემას ამას...
ხარება ვარ და სახარება ვარ,
თქვა სულიწმინდამ, ღვთის ძემ, ღმერთმამამ...
ამეტებს ასტრალს სულისა ანძა,
ვწერ პოემას, ვწერ, ვგრძნობ, ცოცხლად ვცხონ-
დი...
სახატებავოს, სალხინოს, ბანძას,
ვუძღვნი სერგიეთს, ტალერს და დიდ ჭყონ-
დიდს...
რომ ვწერ პოემას, ვგრძნობ ცოცხლად ვცხონ-
დი,
რასაც შევქმნი და რასაც მოვასწრებ,
ვუძღვნი ჭყონდიდელს, ყველას, დიდ ჭყონდიდს,
სალხინოს წმინდა მამათ მონასტერს...
მარტვილის ყველა სოფელს და სოფლის
ყველასი ყველა კუთხეს და უბანს...
რა ღრმაა გრძნობა, სიტყვა არ მყოფნის,
ისეთ თემაზე ვიწყებ საუბარს...
ყოველი სიმი სულისა ღელავს...
ღელავს და ელავს ყოველი ნერვი...
განუზომელი გრძნობით მე ყველა
მიყვარხართ, ბევრჯერ მსურს გითხრათ, ბევრი...
ანდრია დიდი, ანდრიაწმინდა
უფლის სიდიდით ვადიდო მინდა...
ანდრია დიდი, ანდრიაწმინდა
უფლის სიწმინდით ვადიდო მინდა...
არს ეს ამბავი ნათელღებისა,
ნათლისღებისა, სულ პირველისა,
საქართველოსი, ღვთის დიდებისა,
ქართველთა მიერ, საკვირველისა...
ესე ამბავი ნათლისღებისა,
საუკუნისა, სულ პირველისა,
ქართველთა მიერ ღვთის დიდებისა,
საქართველოსგან, საკვირველისა...
გრძნობათა ზღვაო, გულს დამებადე,
გმირნი, წმინდანნი, გულში იღვწიან...
ახლა სულ ახლოს ვხედავ ლებარდეს,
ვედიდკარს, ნოღას, კურზუს, კიწიას...
ონოღია და გოჭკადილია,
ლეხაინდრაო და ნაჯახაო
და საგვაზავო და რა დიდია,
სალოცავად და სასანახავოდ...
და ვედიდკარის ოჩქა, მუხურჩა,
ლეფოჩხუეა და ლევახანე,
ბალდა და ხუნწი და თუ გამომრჩა
სადმე სახელი, თქვენვე მახარეთ...

II. ქრისტეს ჯვარცმიდან

ქრისტეს ჯვარცმიდან დგას ათი წელი,
საუკუნეა პირველი ჯერაც,
მსურს ვთქვა ამბავი ძველი და მწველი,
ნამდვილია და ნამდვილად მჯერა...
მსურს ვთქვა ამბავი ძველი და გრძელი,
მსურს ვთქვა ამბავი ძველი და მწველი...
ამბავი – ჯვარცმა და ჯვარცმის ძელი...
ჯვარცმიდან ათი გასულა წელი...
ქრისტეს ჯვარცმიდან წელია ათი,
ჯერაც პირველი საუკუნეა,
ცად გარდმოსულა ნათელი ნათლის
ღვთის, მსოფლიოში ჯერ უკუნეა...
ქრისტეს ჯვარცმიდან წელი დგას ათი,
საუკუნეა ჯერაც პირველი,
ათი მცნებიდან ჩანს ათინათი
ღვთის, საოცარი, ღვთის საკვირველი...
თქმა მინდა, თანაც თითქოს არ მინდა,
მიმძიმს მისი თქმა, რისი თქმაც მინდა...
წელია ათი, ათი, ჯვარცმიდან,
ქრისტეს ჯვარცმიდან, ქრისტეს ჯვარცმიდან...

მერაბ ხუბუა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

"ივერიელნი" მოსკოვში მიემგზავრებიან

ახლადშექმნილი ახალგაზრდული მოძრაობა **„ივერიელნის"** წევრები მომავალ კვირას მოსკოვში მიემგზავრებიან და ქართულ დიასპორასთან შეხვდრას გეგმავენ. მოძრაობა კულტურულ ხასიათს ატარებს და პოლიტიკისგან შორსაა. მისი მიზანია, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობის დამყარება.

მომავალში თუ რა გეგმები აქვს ახალგაზრდულ მოძრაობას საქინფორმს მოძრაობა **„ივერიელნის"** თავჯდომარე **ანა რეხვიაშვილი** ესაუბრა.

– როდის შეიქმნა თქვენი მოძრაობა და რა არის მისი მიზანი?

– ჩემი და ჩემი მეგობრების ინიციატივით, 2010 წლის ზაფხულში ახალგაზრდული საზოგადოებრივი მოძრაობა **„ივერიელნი"** ჩამოვაყალიბეთ. ორგანიზაცის მიზანი მთელს მსოფლიოში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან ურთიერთობის დამყარებაა. გვინდა ყველაფერი გავაკეთოთ, რათა უცხოეთში მცხოვრებმა ქართველობამ იგრძნოს, რომ ჩვენ ისინი გვახსოვს. გვინდა ჩვენმა ემიგრანტებმა არ დაივიწყონ, რომ არიან საქართველოს შვილები, ასევე არ დაივიწყონ ქართული ენა. სამწუხაროდ, ბევრი ქართულად უკვე ვეღარ საუბრობს. ჩვენი მოძრაობის ნიშა სწორედ ისაა, რომ სამშობლოს გარეთ მყოფ ყველა ქართველთან ვითანამშრომლოთ და ერთად შევავსოთ ის ვაკუმი, რომელიც ახლა ჩვენს შორისაა.

– თქვენი მოძრაობა თუ შეეხება პოლიტიკურ საკითხებს?

– მოძრაობა **„ივერიელნი"** არის მხოლოდ კულტურული მოძრაობა, რომელიც არანაირად არ ეხება პოლიტიკას.

– რა გეგმები აქვს ახლად შექმნილი ახალგაზრდულ მოძრაობას?

– ჩვენი მოძრაობის პირველი პროექტია ვიზიტი მოსკოვში. ხშირად მეკითხებიან, რატომ მაინცდამაინც მოსკოვში? ამაზე პასუხი ძალიან მარტივია. პირველი, დღეს რუსეთში მილიონნახევარი ქართველი ცხოვრობს, ანუ ქართველთა ყველაზე დიდი დიასპორა რუსეთშია. მეორე, მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის სტუდენტი ვარ და მესამე, დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემა ყველაზე აქტუალურია. ამიტომაც დავგეგმეთ მოსკოვში ერთკვირიანი ვიზიტი. ამის შესახებ მივწერეთ რუსეთში ქართულ დიასპორას – ქართველთა კავშირს რუსეთში და მის თავმჯდომარეს. წერილში საუბარი იყო ჩვენი ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ და ასევე თხოვა, რომ ჩვენი ორგანიზაციისთვის ემასპინძლათ. წერილის გაგზავნიდან მალევე გამოგვეხმაურა რუსეთში ქართული დიასპორა – და გვითხრეს, რომ გველოდებიან და სიამოვნებით გაგვიწევენ მასპინძლობას.

– როდის მიემგზავრებიან მოძრაობის წევრები მოსკოვში და რამდენი ადამიანია დელეგატთა შემადგენლობაში?

– 19 ნოემბერს 15-კაციანი დელეგაცია გაემგზავრება. ესენი არიან ჩვენი მოძრაობის ახალგაზრდა დიპლომატები და ჟურნალისტები. ისინი ერთი კვირის განმავლობაში სპეციალურ შეხვედრებს მოაწყობენ.

– კონკრეტულად რა ღონისძიებები იგეგმება ამ ერთი კვირის განმავლობაში და ვის შეხვდებიან დელეგაციის წევრები?

– ჩვენი პროგრამა ძალიან დატვირთულია. პირველ რიგში, იქნება შეხვედრა დიასპორასთან, შემდეგ შევხვდებით რუსეთში მცხოვრებ ახალგაზრდა ქართველებს. იქნება სადისკუსიო კლუბი, სადაც ჩვენ ჩვენსას ვიტყვით, ისინი – თავისას. ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ ქართველი ემიგრანტები რუსეთში და რუსი ემიგრანტები – საქართველოში. ასევე დადეგმილია შეხვედრა რუსეთში მცხოვრებ გამოჩენილ ქართველებთან, მაგალითად, ზურაბ წერეთელთან, რომელმაც თავის გალერეაში მიგვიწვია. ჩვენი დელეგაციის წევრები ასევე მოილოცავენ მოსკოვში არსებულ ეკლესია-მონასტრებს. ეს იქნება ერთკვირიანი კულტურული პროგრამა.

– რას მოელით ამ ვიზიტისგან?

– ყველაფერ კარგს, მაგრამ ამაზე უკვე მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ უკეთ გეტყვით.

– რუსეთის შემდეგ, „ივერიელნი" რომელი ქვეყნის დიასპორასთან აპირებს შეხვედრას?

– ჩვენმა მოძრაობამ მოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებულ ქართულ დიასპორას მიმართა. უკვე პასუხი მოგვივიდა თურქეთის, უკრაინის, ისრაელისა და ინგლისის დიასპორებიდან. ჩვენი ორგანიზაცია რუსეთის შემდეგ უკრაინაში ჩავა და იქაურ დიასპორას შეხვდება. ეს შეხვედრები იქნება პერმანენტული და ჩვენი მოძრაობა ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შეხვდება ყველა ქვეყანაში არსებულ ქართულ დიასპორას.

– როგორც ვიცით, გამგზავრების წინ პრესკონფერენციას გეგმავთ.

– დიახ, მომავალ ხუთშაბათს, **„რია ნოვოსტის"**თბილისის ოფისში გავმართავთ პრესკონფერენციას და გავახმოვანებთ ჩვენს გეგმებსა და მიზნებს. საზოგადოებას ვეტყვით, რომ ჩვენს ურთიერთობებს, კავშირებსა და შესაძლებლობებს გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციისთვის მთელს მსოფლიოში.

სააგენტო საქინფორმი

ჟამი ქვათა შეგროვებისა...

ავანთოთ სანთელი, ავწიოთ სასმისი სულის მოსახსენიებლად ქართველთა და აფხაზთა, ვინც საიმქვეყნოდ გასწირა ქართველთა და აფხაზთა ძმათამკვლელობის ქარიშხალმა. გავიხსენოთ ყოველივე და... შევუნდოთ. და გავუწოდოთ ხელი შესარიგებლად. იქნებ, მართლაც დადგა დრო სასურველი – შერიგების ჟამი?

ჩვენ შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ საამისო სიტუაცია მართლაც მომწიფდა. უმეტესად, აფხაზეთის მკვიდრნი არიან ისინი, ვისაც მზიან მხარეში დარჩათ არა მარტო სახლები და ნათესავთა საფლავები, არამედ – ახლობლები, მეგობრები, მეზობლები, ვისთანაც ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ ყოველთვის. დაუჯერებელია, მაგრამ ბევრი მათგანი ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარებას დღესაც ახერხებს. ამიტომ ყურმოკვრით კი არა, პირველწყაროდან მიღებული ინფორმაციით იციან, თუ რას ფიქრობენ, რა აწუხებთ, რისი იმედი აქვთ აფხაზეთში მცხოვრებ თანამემამულეებს.

წამქეზებელთა ბოროტი ნებითა და სურვილით ჩატეხილი ხიდების აგება, უპრიანია, დაიწყონ დიდი გამოცდილების მქონე ადამიანებმა, ვისაც თანაცხოვრების წლები აკავშირებდა იმათთან, ვისთანაც გაჰყარა ვერაგმა ბედმა და ენგურის სხვადასხვა ნაპირზე მიუჩინა სამყოფელი. ასეთი ადამიანები კავკასიაში ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ, ხოლო მათი აზრი ცხოვრების სხვადასხვა ბედისმიერ კოლიზიებთან დაკავშირებით მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებად მიიჩნეოდა, გონივრულ რეკომენდაციად და მოქმედების სახელმძღვანელოდაც.

ასეთი იყო არგუმენტების ლოგიკა, რომელმაც შვა საქართველოს უხუცესთა საბჭო. მის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა **"შერიგებისა და აღორძინების ფონდის"** შექმნა, რომელთანაც ეს საბჭო არსებობს.

უხუცესთა ორგანიზაციაში შევიდნენ საქართველოსა და აფხაზეთში კარგად ცნობილი პიროვნებები. ხელმძღვანელად არჩეულია **კონსტანტინე მარშავა,** აფხაზეთის ენერგოქსელის ყოფილი მმართველი და ენგურის ჰიდროელსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე. მასთან ერთად საბჭოს ბირთვი შექმნეს საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა **გურამ გვეტაძემ**, თადარიგის პოლკოვნიკმა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარემ **მამანტი ჯოლიამ,** აკადემიკოსმა-ნეიროქირურგმა **ნაპოლეონ მესხიამ,** კარდიოლოგიის ცენტრის უფროსმა, აკადემიკოსმა **ნოდარ ემუხვარმა,** პროფესორმა **ოთარ ვახანიამ,** მწერალმა **მირიან ჯალაღონიამ** და ქვეყნის სხვა ცნობილმა ადამიანებმა.

თქვენი კორესპონდენტი დაესწრო უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთ სხდომას, რომელიც ახლახან გაიმართა. განიხილეს და მიიღეს სპეციალური **"მიმართვა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოსადმი"**, რომელიც პირველი სერიოზული ნაბიჯია მხარეთა ურთიერთნდობის აღდგენისა და შერიგების გზაზე

მიმართვა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოსადმი

ძვირფასო მეგობრებო, ძმებო!

მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ცხოვრებისეული სიბრძნით აღჭურვილ ადამიანთა შორის გულახდილი დიალოგის გამართვის რწმენამ გვიკარნახა, გამოგვეგზავნა თქვენთვის ეს მიმართვა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ, შევიმუშაოთ მოქმედების გონივრული პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების ურთიერთნდობის აღდგენასა და შერიგებას, ტრადიციულ ღირებულებათა აღორძინებას, რაც ახასიათებდა ქართველთა და აფხაზთა ერთობლივად ცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

ომის პოლიტიკამ ქართველები და აფხაზები საერთო ტრაგედიამდე მიგვიყვანა, გამოიწვია ათასობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი. ერთი რამაა ნათელი - ჩვენი ხალხების ინტერესებს არ უპასუხებს მეგობრების, ნათესავებისა და ახლობლების დაპირისპირების დრამატულმა რეალობა, მათ შორის პრაქტიკულად ყველა კავშირია გაწყვეტილი, გაპარტახებულია ქალაქები და სოფლები.

კონფორტაციის გაგრძელებას, სიძულვილს სარგებლობა არავისთვის მოუტანია, მათ შორის, - არც აფხაზებისა და ქართველებისთვის. აუცილებელია, ვიპოვოთ ჩიხიდან გამოსვლის რეალური გზები.

ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, ვაღიაროთ ჩვენი წილი იმ დანაშაულისა, რომელიც 1992-1993 წლებში მოხდა აფხაზეთში.

შეიძლება, დაუსრულებლად ვუსაყვედუროთ ერთმანეთს დაშვებული შეცდომების გამო. მაგრამ განა უმჯობესი არ არის, რომ გავიცხოველოთ ხსოვნა ჩვენი ძმური ურთიერთობის ისტორიით, რისი მაგალითებიც უამრავია. ჩვენ იმედითა და ოპტიმიზმით შევცქერით მომავალს. ამიტომაც იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მიმართვა და ჩვენი ხელი, რომელსაც შერიგებისთვის და მეგობრობის აღსადგენად გამოგიწოდეთ, უპასუხოდ არ დარჩება.

გთავაზობთ, შევხვდეთ ერთმანეთს შუამავლების გარეშე და ერთად ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ როგორ აღვადგინოთ ნორმალური ურთიერთობა და ერთობლივი მშვიდობიანი ცხოვრება.

ჩვენი ხალხები აქეთკენ უნდა წავიდნენ, ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის ნებისმიერ მოწინააღმდეგეთა სურვილის მიუხედავად.

სიტყვა თქვენზეა. გულწრფელად გვჯერა, რომ გაგვიგებთ და გამოგვეხმაურებით.

პატივისცემით,

საქართველოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე

კონსტანტინე მარშავა

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ჰუნარ გრენი

დაიბადა 1920 წლის 31 ოქტომბერს, შვეციაში.

თამაშობდა კლუბებში **"იფკ გეტებორგი"** (შვეცია), **"მილანი"**, **"ფიორენტინა"** (იტალია), **"ორგრიტი"**, **"ჰაის გეტებორგი"** (შვეცია).

ჰუნარ გრენი 1948 წელს შვეციის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ეს მოხდა ქალაქ ლონდონში. გრენმა მაშინ თავისი უნაკლო თამაშით ფეხბურთის იტალიელი სპეციალისტებისა და მწვრთნელების ყურადღება მიიპყრო. გამალებული სატრანსფერო შეჯიბრი მაშინ მილანმა მოიგო, რომელიც იმ პერიოდისათვის ფინანსურად საკმაოდ მდიდარი საფეხბურთო კლუბი გახლდათ. ამ დროს **"მილანში"** უკვე თამაშობდნენ გრენის თანამემამულეები ნორდალემი და ლიდჰოლმი (ეს ის ლიდჰოლმი გახლავთ, რომელმაც შვეციაში 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში პირველი გოლი გაიტანა ბრაზილიელთა კარში), რომელთან ერთადაც ახლადშეძენილმა ფორვარდმა ნამდვილი ფურორი მოახდინა იტალიურ ფეხბურთში (მათ წარმატება შემდგომში **"გრენოლად"** მოინათლა).

თავად ლიდჰოლმს მაშინდელ საფეხბურთო წრეებში პროფესორად მოიხსენიებდნენ. ამის მიზეზად მიიჩნეოდა როგორც გრენის სიმელოტე, ასევე ფეხბურთის თამაშის ეშმაკური სტილი, რადგან მისი ჩანაფიქრის გაშიფვრა მანამდე არ ხერხდებოდა, ვიდრე გრენი გოლს არ გაიტანდა. შემდეგ გრენი **"ფიორენტინამ"** შეიძინა, სადაც ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა 1955 წლამდე ითამაშა და სამშობლოში დაბრუნდა. მისი უკანასკნელი მატჩი შედგა 1958 წელს, შვეციაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ზემოდნახსენებ ფინალურ მატჩში ბრაზილიელებთან. ეს გახლდათ შვეციის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში მისი 57-ე მონაწილეობა.

რუუდ გულიტი

დაიბადა 1962 წლის 1 სექტემბერს ჰოლანდიაში

თამაშობდა კლუბებში **"ჰაარლემი"**, **"ფეინოორდი"**, **"პსვ ეინდჰოვენი"** (ჰოლანდია), **"მილანი"**, **"სამპდორია"** (იტალია), **"ჩელსი"**.

გულიტი სხვა ფეხბურთელებისაგან არა მხოლოდ თავისი ფრიად ორიგინალური ვარცხნილობით გამოირჩეოდა. იგი გახლდათ 1980-1990-იანი წლების მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა. მან თავისი საფეხბურთო კარიერა ნახევარმცველად დაიწყო და მალე მოიპოვა უბადლო **"მწმენდავის"** სახელი, მაგრამ გაითვალისწინეს რა მისი სიჩქარე, ტექნიკა და ენერგია, რუუდ გულიტს მალე თავდასხმაში მიუჩინეს ადგილი. ამ ექსპერიმენტმა გაამართლა, რაც აშკარად დაეტყო ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების შედეგებს. 1987 წელს გულიტი იმ დროისათვის სარეკორდო თანხად – 6 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეიძინა იტალიის **"მილანმა"**. ერთი წლის შემდეგ, ამ გუნდის შემადგენლობაში გულიტმა მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, ხოლო ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში გახდა ევროპის ჩემპიონი. მაგრამ ეს წარმატებები ბედისწერად ექცა ამ შესანიშნავ ფეხბურთელს, რადგამ რამდენიმე ტრავმის შემდეგ მუხლის ტკივილი მისი მუდმივი თანამგზავრი გახდა. მიუხედავად ამისა, **"ჩელსიში"** გატარებული ერთი სეზონის შემდეგ გულიტი ამ გუნდის მოთამაშე მწვრთნელი გახდა და პირველივე ცდაზე გუნდი ინგლისის თასის მფლობელი გახდა.

მალე რუუდ გულიტი დიდი სკანდალის შედეგად წავიდა **"ჩელსიდან"** და ახლა ინგლისურ კლუბ **"ნიუკასლს"** ჩაუდგა სათავეში. მან მოახერხა ის, რომ გუნდი 1999 წელს გაიყვანა ინგლისის ტასის ფინალში, შემდეგ კი მწვრთნელის პოსტი ბობი რობსონს დაუთმო.

გეორგე ხაჯი

დაიბადა 1965 წლის 5 თებერვალს, რუმინეთში.

"კონსტანცა", **"სპორტულ სტუდენეცესკ"**, **"სტიაუა"** (რუმინეთი), **"რეალი"** მადრიდი (ესპანეთი), **"ბრეშია"**, (იტ.) **"ბარსელონა"** (ესპანეთი), **"გალატასარაი"** (თურქეთი).

15 წლის ხაჯი უკვე თამაშობდა რუმინეთის ახალგაზრდულ საფეხბურთო ნაკრებში, 17 წლის ასაკში იგი რუმინეთის ეროვნული ფეხბურთის ვარსკვლავად იქცა, 18 წლის ასაკში კი პირველად მოირგო რუმინეთის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მაისური. ერთი წლის შემდეგ გეორგ ხაჯიმ მონაწილეობა მიიღო ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში. 1985 წელს რუმინეთის ჩემპიონატებში გაიტანა 20 გოლი, 1986 წელს კი – 31 გოლი. ამასთან, მან ერთ მატჩში 6 გოლი გაიტანა, რაც დღესაც რჩება არა მხოლოდ რუმინეთის რეკორდად. ავტორიტეტულ გუნდ **"სტიაუაში"**, შეიძლება ითქვას, რომ ხაჯი გარკვეული დეტექტიური წიაღსვლების შედეგად მოხვდა, რადგან იგი მართლაც ქუჩიდან მოიპარეს რუმინული სპორტის მესვეურებმა. რა თქმა უნდა, ფეხბურთელის **"მოპარვა"** რუმინეთის დიქტატორ ნიკოლა ჩაუშესკუს ხელდასხმით მოხდა, რომელიც **"სტიაუას"** დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერი გახლდათ.

1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ, როცა რუმინეთი უკვე **"გახსნილი"** სახელმწიფო გახდა, გეორგ ხაჯი ჯერ ესპანეთის კლუბებში თამაშობდა, შემდეგ კი იტალიაში გადაინაცვლა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში **"ბარსელონაში"** თამაშობდა, მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატშიც, მაგრამ შემდეგ ისეთი რეზულტატიანი ვეღარ იყო და მალე დაანება თავი დიდ მინდორზე თამაშს.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

– აღიარეთ, რომ მთვრალმა ბიბლიოთეკაში ქალს შეურაცხყოფა მიაყენეთ!

– ვაღიარებ! აბა, კაცო, რაა ეს სიმთვრალე! ფხიზელს ბიბლიოთეკაში რა შემიყვანდა?

* * *

– სად მქონდა თავი, შენ რომ ცოლად მოგყვებოდი?

– სად გქონდა და ჩემს თავთან, ბალიშზე.

* * *

– რავა ხარ, თუ იცი?

– ქე ვარ პამპერსივით!

– მაი რაფრა?

– ვისრუტავ და ვისრუტავ ამ უბედურ ცხოვრებას.

* * *

– მგონი ჩემმა მეზობელმა არაყი გამოხადა.

– რა იცი?

– მისი წიწილები ჩემს ინდაურებს ურტყავენ!

* * *

– მომკლა ამ უფულობამ, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა,– აქებს ქმარი ცოლს,– მეც რომ შენნაირი სამსახური მაშოვნინა...

– არა, არა, შენ მაგას ვერ გაუძლებ!

* * *

სამშობიარო სახლთან ავტომობილი დამუხრუჭდა და აქოშინებული კაცი გადმოხტა:

– ჩქარა, ჩქარა!

– თქვენ უნდა იმშობიაროთ? – გაუკვირდა მედდას.

– აუ, ამ სიჩქარეში ცოლი ქე დამრჩენია სახლში.

.ბიუჯეტიდან დაფინანსება მხოლოდ ზაზა გოროზიას უწყებას გაეზრდება

სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფო რწმუნებულებიდან ბიუჯეტში დაფინანსება მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ზაზა გოროზიას ადმინისტრაციას გაეზრდება.

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწუნებულის ადმინისტრაციის დაფინანსება მომავალ წელს 1, 140.0 ათასი ლარი იქნება.

ბიუჯეტის პროექტის პირვანდელ ვარიანტში კი ადმინისტრაციისთვის 1.115.0 ათასი ლარი იყო განსაზღვრული.

დანარჩენი გუბერბატორების ადმინისტრაციების დაფინანსება უცვლელი რჩება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგადად, მიმდინარე წელს, თითქმის ყველა ადმინისტრაციას მილიონიანი დაფინანსება აქვს, მომავალ წელს კი მილიონიანი დაფინანება მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუნერნატორს ექნება.

ქეცბაია ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელებს შანსს აძლევს

ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა – თემურ ქეცბაიამ სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ პრესკონფერენცია გამართა. საუბარი შეეხო სლოვენიასთან ამხანაგური მატჩისთვის მზადებასა და ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს. როგორც იცით, ქეცბაიამ სასლოვენიოდ 30 ფეხბურთელს უხმო, აქედან 23 ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელია, ხოლო დანარჩენი – ლეგიონერი.

„ნაკრებში უმეტესად ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელები გამოვიძახე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ჩემპიონატში სახარბიელო მდგომარეობა არ არის, ჩვენ მაინც მივცემთ იმ ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას, რომლებიც კარგად თამაშობენ. ოფიციალურ შეხვედრებში ექსპერიმენტების ჩატარება არ შეიძლება. ამის საშუალება ამხანაგურ შეხვედრაში მოგვეცა და დავინახავთ, რა შეუძლიათ ამ ფეხბურთელებს“, – განაცხადა ქეცბაიამ.

როგორც მთავარი მწვრთნელი ამბობს, გამოძახებულთაგან ყველა მწყობრშია და ტრავმა არავის აწუხებს. ყველა ფეხბურთელი არ ჩამოსულა ჯერ საქართველოში, ლეგიონერების ნაწილი პირდაპირ სლოვენიაში შეუერთდება გუნდს.

ქეცბაიას კითხვა იმ ფეხბურთელებზეც დაუსვეს, ვინც გამოძახებული იყო და ვერ ჩამოვიდა.

„ყველა ფეხბურთელს ეხება. ვისაც გამოვიძახებთ, უნდა ჩამოვიდნენ და ჩვენ გადავწყვეტთ შემდეგ, ის იქნება სათამაშოდ მზად თუ არა. იყო ისეთი ფაქტები, რომ გამოვიძახეთ და კლუბებმა არ გამოუშვეს, შემდეგ ფეხბურთელებს მაინც მოუნდათ ჩამოსვლა და მე უარი ვთქვი, ვინაიდან მათ ადგილზე უკვე სხვა ჩავანაცვლე. ნაკრებში 50 ფეხბურთელის გამოძახებულის უფლება არ მაქვს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს ასეთი პრობლემები. ყველა გამოძახებული უნდა ჩამოვიდეს და ჩვენ გადავწყვეტთ, ვინ ითამაშებს და ვინ არა“.

როგორც ქეცბაია ამბობს, განაცხადში მხოლოდ 18 კაცის შეყვანის უფლება აქვს. თუ მხარეები ბევრ ცვლილებაზე შეთანხმდებიან, მაშინ ის ყველა ფეხბურთელს გამოცდის.

„იოლი თამაში არ გველის, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგური თამაშია, სერიოზულად ვემზადებით და როგორც ვიცი, ასევეა სლოვენიის ნაკრები. მათაც ძირითადის ფეხბურთელები გამოიძახეს“.

საქართველოს ეროვნული ნაკრები სლოვენიაში 16 ნოემბერს გაემგზავრა, მატჩში კი გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ამრიგად, ქართველმა 2010 წლის საფეხბურთო სეზონი დაუმარცხებლად განვლეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ფეხბურთი აშკარად იმყოფება აღმავლობის გზაზე.



ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27